საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით შანიძე

მრეწველობის საბანკო დაკრედიტების წინააღმდეგობები და მათი დაძლევის მიმართულებები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: „ტრანსპორტის და მრეწველობის მენეჯმენტი“

შიფრი: 02

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2016 წელი

საავტორო უფლება © 2016 შანიძე დავითი

თბილისი
2016

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის
დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით შანიძე დავითის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: მრეწველობის საბანკო დაკრედიტების წინააღმდეგობები და მათი დაძლევის მიმართულებები და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

08.07.2016

ხელმძღვანელი: პროფ. გ. ტყეშელაშვილი

რეცენზენტი: ასოც. პროფ. ს. ამანათაშვილი

რეცენზენტი: პროფ. გ.თელია

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016 წელი

ავტორი: შანიძე დავითი

დასახელება: მრეწველობის საბანკო დაკრედიტების წინააღმდეგობები და მათი დაძლევის მიმართულებები

ფაკულტეტი : სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწია სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლონის მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა, ვისი განსაკუთრებული დახმარებითა და რჩევით შესაძლებელი გახდა დისერტაციის შესრულება , რისთვისაც მის მიმართ დიდ მადლიერებას გამოვხატავ.

მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

ასევე სადოქტოროს სწავლის საფასურის ფინანსური დახმარებისთვის და მთელი სწავლის პროცესის განმავლობაში მხარდაჭერისთვის უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ მამაჩემის ჯონი შანიძის მიმართ.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომი „მრეწველობის საბანკო დაკრედიტების წინააღმდეგობები და მათი დაძლევის მიმართულებები“ აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მრეწველობის დაჩქარებული განვითარება საქართველოსთვის აუცილებელია, ხოლო მისი ხელისშემშლელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი საბანკო დაკრედიტებაში არსებული წინააღმდეგობებია

. ნაშრომი შედგება 162 გვერდისგან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს,ხელმოწერების გვერდს, საავტორო უფლებების გვერდს, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართულ - ინგლისური), შინაარსს (სარჩევს), ცხრილების და ნახაზების ნუსხას. ძირითადი ტექსტი შედგება შესავლის, რვა თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

შესავალში განხილულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ობიექტი, საგანი და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამჟამად ეკონომიკური მეცნიერება ეძებს ახალ მიმართულებებს, რომელთა გამოყენებითაც შედარებით სრულად აისახება ცვლილებები საზოგადოებაში, ტექნოლოგიებში და ასევე მრეწველობაში. ცხადია ისიც, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე სულ უფრო მეტად მოქმედებენ გლობალური პრობლემები, პროცესები და ბუნებრივია, ეკონომიკა არაეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. რის გამოც ტრადიციული ეკონომეტრიკის გამოყენება ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას, ფუნქციის პარამეტრების შეფასებას და სამომავლო პროგნოზს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების დამუშავება, პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ამ ძირითადი მიზნის მიღწევისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

-განისაზღვროს მრეწველობის კრიზისის ჩვენეული ხედვა, გაანალიზდეს მისი არსი. საქართველოს ეკენოემიკის პოტენციალურ შესაძლებლობათა ჩამოყალიბება და მისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში

-დახასიათდეს გლობალური და დარგობრივი ეკონომიკური კრიზისი, მასთან კავშირში გამოირჩეს ის პრიორიტეტები , რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაძლევა.

-დადგინდეს საქართველოს მრეწველობის ძირეული პრობლემები და მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი საქართველოს ეკონომიკასთან.

-განხორციელდეს მაკროეკენომიკური მართვის ეფექტიანობის კავშირის კვლევა მრეწველობის ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებაში.

-გადაწყდეს იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომლების ხელს შეუწყობენ მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლას დაკრედიტების სისტემის გაუმჯობესების ხარჯზე.

კვლევის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

-გაანალიზებულია საქართველოში მრეწველობისა და საბანკო სექტორის წარმოშვება და განვითარება , დახასიათებულია ეკონომიკური კრიზისები საერთოდ და მათი გამოვლენა საწარმოო სიმძლავრეთა განვითარების დინამიკაში.

-გაკეთებულია დასკვნა, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთიანი და სტანდარტული თეორია არ არსებობს, ამდენად რეგულირების ეფექტიანობით განისაზღვრება კრიზის წარმოშვება და დაძლევაც.

-მრეწველობის ეკონომიკური კრიზისის გადაჭრის რეკომენდაციები, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სისტემურ ღონისძიებათა სახით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს : საგადასახადო სისტემის სრულყოფა, სახელმწიფო დახმარება და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი მაქსიმალური ხელშეწყობა, საბანკო საქმის განვითარება და ფინანსური სისტემის სრულყოფა, მენეჯმენტის ორგანიზაცია.

დისერტაციის პირველ თავი „მრეწველობა და მისი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის“ და მეორე თავი „ საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემის მიმოხილვა და ეკონომიკური კრიზისები“ მოიცავს შემდეგ საკითხებს: საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა , საქრთველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, დაკრედიტების პრინციპები, ფუნქციები და ფორმები.

ბანკის არსის, ფუნქციონირების, დაკრედიტების პრინციპების საკრედიტო ურთიერთობების განვითარების და მათზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ინტერესების ცენტრშია. საბანკო საქმის წარმოშობა განვითარება დაკავშირებულია პროცენტის (მოგების) მომტან კაპიტალთან, რომელსაც ისტორიულად წინ უსწრებდა სავახშო კაპიტალი, იგი არსებობდა პირველყოფილი წყობის პერიოდშიც, სწორედ სავახშო კაპიტალის წარმოქმნასა და განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშრებული საბანკო საქმის წარმოშობა.

დისერტაციის მესამე თავსა „საკრედიტო დაფინანსების მნიშვნელობის კვლევა საქართელოს მრეწველობაში„ და მეოთხე თავში - „საბანკო საპროცენტო განაკვეთები და მრეწველობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში“ - განხილულია შემდეგი საკითხები: ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, მოსახლების რაციონალური დასაქმება და ოპტიმალური საგადასახადო ბალანსის ფორმირება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის ისეთი შესაბამისი მექანიზმების შექმნა , რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის მოძრაობის ოპტიმალურ დინამიკას

საქართველოში ბანკის პრიორიტეტები მომდევნო სამი წლის განმავლობაში ფოკუსირებული იქნება კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდაზე, ენერგო სექტორის მოდერნიზებაზე და საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკენომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

დისერტაციის მეხუთე თავსა - „მრეწველობის საკრედიტო დაფინანსების გაუმჯობესების მაკროეკონომიკური ფაქტორების კვლევა„ და მეექვსე თავში - „მიკროეკენომიკური ფაქტორები მრეწველობის საბანკო დაკრედიტებაში“, განხილულია ის ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ მრეწველობის განვითარებას. ძირითადი ყურადღება ექცევა საბანკო დაკრედიტების საკითხებს, საპროცენტო განაკვეთებს, უზრუნველყოფას, დაზღვევას და ა.შ..

საკრედიტო-საფინანსო სისტემის კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლის გააქტიურებას საინვესტიციო პროცესის უზრუნველყოფაში, ანუ უნდა მოხდეს სახელმწიფო გარანტიის მექანიზმის განვითარება.

დისერტაციის მეშვიდე თავსა „მრეწველობის საბანკო და არასაბანკო დაკრედიტების გაუმჯობესების მიმართულება“ და მერვე თავში „ პრობლემური ფაქტორები მრეწველობის საბანკო დაკრედიტებაში“, განხილულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები : მრეწველობის საბანკო და არასაბანკო დაკრედიტების გაუმჯობესების გზების გამონახვა, სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შერჩევა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციები.

ეკონომისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკაში სახელწიფო ჩარევა უნდა დავიდეს მინიმუმამდე. მეორენი პირიქით სახელმწიფოს ქმედით მონაწილეობას ემხრობიან ეკონომიკის რეგულირებაში. ხოლო საუკეთესო გამოსავალი კი იქნება სახელმწიფო და საბაზრო ღონისძიებათა გონივრული შერწყმა ეკონომიკისა და საბანკო სისტემის რეგულირებისთვის

ბოლოს მოცემულია დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

ჩვენს მიერ შემუშავებული სამეწარმეო და საბანკო სექტორის აქტივობაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

კვლევის შედეგად შემუშავებული მეცნიერული დასკვნების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

Abstract

The doctoral thesis „Bank Crediting Barriers of the Industry and the Directions to Overcome them" is active, since the accelerated development of industry is necessary for Georgia and the obstacles existing in the bank lending is one of the main hampering factors for it.

The thesis consists of 162 pages. According to the instructions on drawing up the thesis submitted to acquire doctoral degree its includes: title page, page for signatures, page for copywriting, resume in two languages (Georgian-English), content (table of content), list of figures and tables. The main text consists of the introduction, eight chapters, conclusion and list of references.

The actuality of the topic, tasks and objectives of research, the object of research, the subject, theoretical and methodological basis, scientific innovation of the thesis and its practical importance are discussed in the introduction.

Nowadays economic science looks for the new directions, the usage of which will give the possibility to reflect the changes completely in society, technologies and industry as well. It is evident, that global problems and processes have more influence on the economic development of separate countries and it is natural that economy is significantly influenced by the non-economic factors. Therefore, the usage of traditional econometrics considers the collection of data, evaluation of function parameters and prognosis for future.

The main objective of the thesis is to process methodological issues and methods in order to take Georgian economy out of the crisis and to set out practical reccomendations. Following issues shall be solved in order to achieve the above mentioned objective:

-Our opinion regarding the industrial crisis shell be defined and its essence shall be analyazed. The economic potential of Georgia and its position in the world economy shall be determined as well.

-Global and sectoral economic crisis shall be characterized and the priorities shall be distinguished that will give the possibility to overcome the economic crisis in Georgia.

-The fundamental problems of Georgian industry and their casual links to Georgian economy shall be defined.

-The effectiveness of macroeconomic management shall be studied in regard of economic crisis.

-The system of economic measures that will enable the industry to overcome the crisis on the basis of the improvement of lending system shall be set as well.

Following scientific innovations have been established as a result of research:

-The origin and development of industry and bank sector in Georgia is analyzed; economic crisis in general and their detection within the dynamics of industrial capacity development is characterized.

-It was concluded that the unified and standard theory to overcome the economic crisis does not exist, therefore the emerging and overcoming of the crisis is defined in accordance with the effectiveness of regulation.

-Based on the results of the research, recommendations for solving the economic crisis of industry are formed in a form of systemic measures, envisaging following main directions: improvement of tax system, state aid and creation of favorable investment environment, maximum support for the development of market infrastructure, development of banking and improvement of financial system, management organization.

The first chapter of the thesis „Industry and its importance for the economic development of Georgia“ and the second chapter „Review of Georgian banking and credit system and the economic crisis“ contain the following issues: the essence and structure of credit system, modern credit system of Georgia, , forms and functions of bank lending principles.

The research of bank essence, functioning, crediting principles, development of credit relationships and the factors influencing them are in the center of economic science. The emergence and development of banking activities are connected to the interest (profit) giving capital, that was historically preceeded by usurious capital. The latter existed even primitive society. The emergence of banking activity is closely connected to the creation and development of usurious capital.

Following issues are discussed in the third „Research of the importance of credit financing in Georgian industry” and fourth chapter „Bank interest rates and the role of industry in the development of the economy of the country“ of the thesis: the economic growth of the country, stability of the national currency, rational employment of the population and formation of optimal tax balance. The main task of the monetary-credit policy shall be the working out of the measures and creation the mechanisms for their practical realization, that will ensure the optimal dynamics of cash flow.

During the next three years the bank priorities in Georgia shall be focused on the increase of investments in private sector, modernization of energy sector and promotion of global and regional economic integration of Georgia.

Economic factors hampering the development of industry are discussed in the fifth - „ Research of macroeconomic factors for the improvement of credit financing of the industry” and sixth chapter -„Microeconomic factors in the bank crediting of industry“ of the thesis. The main attention is paid to the issues of bank crediting, interest rates, securities, insurance and so on.

Particular importance lies in the activation of role of the state with respect of investment process in order to overcome the crisis of credit-financial system. This means that the development of state guarantee mechanism is necessary.

Following important issues are discussed in the seventh „Improvement direction of the bank and non-bank crediting of industry” and eighth chapter „ Problematic factors in the bank crediting of the industry“, of the thesis: find the ways for the improvement of bank and non-bank crediting of the industry,

selection of right investment policy, introduction of new technologies and innovations.

The necessity for the state regulation of banking activities causes controversy between economists. Some specialists believe that government intervention in the economy should be reduced to a minimum. Others, on the contrary, are in favor for the active participation of the state in the regulation of economy. The best option will be the sensible merge of state and market measures for the regulation of economic and banking system.

Conclusions and list of the references are given in the end of the thesis.

The classification of factors affecting the activities of the entrepreneurial and bank sectors developed by us, will give the possibility to the state to develop the priority sectors and obtain the competitive advantage within the international division of labor

Practical implementation of scientific conclusions adopted as a result of the research will promote the growth of economic welfare of the country.

შინაარსი

შესავალი..... 14

1. ლიტერატურის მიმოხილვა..... 24
2. შედეგები და მათი განსჯა..... 39

2.1 საქართველოს მრეწველობა და მისი დაკრედიტების ანალიზი 39

2.2 საკრედიტო დაფინასების მნიშვნელობის კვლევა საქართველოს მრეწველობაში..... ... 54

2.3 საბანკო საპროცენტო განაკვეთები და მრეწველობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში..... 63-113

2.4 მრეწველობის საკრედიტო დაფინანსების გაუმჯობესების მიკროეკონომიკური ფაქტორების კვლევა 114-123

2.5 მიკროეკონომიკური ფაქტორები მრეწველობის საბანკო დაკრედიტებაში.....124-133

2.6 მრეწველობის საბანკო და არასაბანკო დაკრედიტების გაუმჯობესების მიმართულება 134-144

2.7 პრობლემური ფაქტორები მრეწველობის საბანკო დაკრედიტებაში.....144-154

3. დასკვნა.....155-160

გამოყენებული ლიტერატურა.....161-164

ცხრილების ნუსხა

ცხრილის №	დასახელება	გვ.
ცხრილი 1	მშპ და მისი ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკა	118
ცხრილი 2	საქართველოს მშპ ბოლო პერიოდში	122
ცხრილი 3	მრეწველობის სექტორის დინამიკა 2010-2015 წწ.	126
ცხრილი 4	სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთების დინამიკა	128
ცხრილი 5	გაცემული სესხების დინამიკა	129
ცხრილი 6	სესხები ვალუტის სახის მიხედვით	131
ცხრილი 7	გაცემული სესხები ეკონომიკის სექტორების მიხედვით	141

ნახაზების ნუსხა

ნახაზის №	დასახელება	გვ.
1	საქმიანი ციკლის ფორმა	30
2	ფილიპსის მრუდი	53
3	უცხოური ინვესტიციების დინამიკა	126
4	მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის დიაგრამა	127

შესავალი

პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი ს ა ქ ტ უ ა ლ უ რ ო ბ ა – საქართველო უკვე რამდენიმე წელია იმყოფება ღრმა ეკონომიკურ კრიზისში, რომლის აღიარებასაც დიდი ხნის განმავლობაში თავს არიდებდნენ, ამიტომაც კრიზისიდან გამოსვლის დროის პერიოდი უსაშველოდ გაიჭიმა და შეესაბამება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის არც ზოგადად აღიარებულ თეორიას და არც მსოფლიო პრაქტიკას. შედეგად უკიდურესობამდე დაეცა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, შესაბამისად – ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლი არნახულ მასშტაბებს მიაღწია უმუშევრობამ. გამწვავდა სოციალური მდგომარეობა, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. საქართველო, რომელიც თავისი სოციალური – ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად ითვლებოდა 80-იანი წლებისათვის, განვითარებადი ქვეყნების რიგში აღმოჩნდა და აქაც ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. კრიზისული მდგომარეობა გამოწვეულია მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით. ობიექტური ფაქტორებიდან უპირველესია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ადმინისტრაციულ – მბრძანებლური სისტემიდან კერძო საკუთრებასა დასაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ასეთი ობიექტური წინააღმდეგობები შეხვდა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას, მაგრამ მათ ეს წინააღმდეგობა მეტ-ნაკლებად წარმატებით დაძლიეს. განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა და მაღალი ტემპით უზრუნველყოფენ, მოწინავე ქვეყნებთანშედარებით, ჩამორჩენილობის დაძლევას. საქართველოში კი პროცესი გაუმართლებლად ჭიანურდება. ობიექტური ფაქტორებიდან, გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის არაეფექტურობა, მისი მასტიმულირებელი როლის გამორიცხვა, საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა,

პრივატიზაციაში დაშვებული უამრავი შეცდომა საგადასახადო კანონმდებლობის ხარვეზები და სხვა მრავალი, რომლებიც არ აძლევს საშუალებას საქართველოს ეკონომიკას დაძლიოსწინააღმდეგობები და განვითარების გზას დაადგეს. წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად გაანალიზებულია ის ეკონომიკური საკიხთები, რომლებიც მიზნად ისახავენ აღნიშნულ წინააღმდეგობათაგადალახვას, რაც მას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის.

ეკონომიკური კრიზისები – თავისუფალი მეწარმეობისპირმშოა, ისინი გარკვეული კანონზომიერებებით პერიოდულად მეორდება ცალკეულ სახელმწიფოებში, ან მსოფლიოს მასშტაბით. აქედან გამომდინარე კი იქმნებოდა ეკონომიკური თეორიები კრიზისების თავიდან აცილების ან მათგან თავის სწრაფად დაღწევის მიზნით. დღეისათვის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეისიანისტური და მონეტარიზმის თეორიები, რომელთა უპირველესი დამსახურებაა, რომ დიდი დეპრესიის შემდგომ ფართომასშტაბიან კრიზისებს ადგილი არ ჰქონია.

ბუნებრივია ჩვენთან თითქმის არ არსებობს გამოკვლევები მიმართული ეკონომიური კრიზისის მეცნიერული კვლევისადმი. პრაქტიკამ კი დაადასტურა ეკონომიკური კრიზისის განსაკუთრებულად სიღრმისეული გამოვლინება, რომლის დაძლევისათვის არც ეკონომიკური მეცნიერება აღმოჩნდა მზად, არც საზოგადოება და აქედან გამომდინარე – არც ხელისუფლება. ამიტომაცაა, რომ წარმოების დაცემა როგორც საქართველოში, ისე სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე გრძელდებოდა და მისი შედეგების დაძლევა ძნელად მიმდინარეობს. ყოველივე არჩეული საკვლევი თემის აქტუალურობას.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგებისა, რაც მიღებულია ცალკეული ეკონომიკური მიმდინარეობების მიერ, აგრეთვე იმ პრაქტიკული შედეგებისა, რომლებსაც მიაღწიეს ცალკეულმა

სახელმწიფოებმა ეკონომიკური კრიზისების დაძლევის საკითხში, დღესაც მრავალი მეთოდოლოგიური, მეთოდური და პრაქტიკული საკითდები არ არის საკმაო დონეზე შესწავლილი და შემდგომ დამუშავებას საჭიროებს. აღნიშნულის ფონზე განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ არ არის ჩამოაყალიბებული ეკონომიკური კრიზისების აცილების და მისი სასწრაფოდ დაძლევის ერთიანი თეორია, თუმცა ამ ბოლო დროს ამ მიმართულებით ეკონომისტთა დიდძალი ძალისხმევა იგრძნობა.

საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე არა მარტო საწარმოო ძალთა განვითარებისაგან და მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესიის მიღწევებისაგან, არამედ საზოგადოებრივი შემეცნებისაგან დამოკიდებულებითაც, პოპულარული ხდება ეკონომიკის ესა თუ ის მიმდინარეობა, რომლებიც ასე თუ ისე განაპირობებს საზოგადოების მატერიალური სფეროს ფუნქციონირების დადებით ჭრილში წარმართვას. ასე მაგალითად, ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოსათვის ძალზედ პოპულარული გახდა კეინსიალიზმი, რასაც უკავშირებდნენ მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის დიდი დეპრესიიდან გამოსვლას. ომის შემდგომ ფართო პოპულარობით გამოირჩევა მონეტარიზმის მიმდინარეობა და სხვა. ყველა ამ მიმართულებებს უდაოდ შეაქვს დიდი წვლილი კრიზისების დაძლევის საკითხების გადაწყვეტაში, მაგრამ ის მაინც ბოლომდე ვერ ამოწურავს ხოლმე საკითხის პრობლემატურ და შინაარსობრივ მხარეებს და გარკვეული დროის შემდეგ პოპულარობას სხვა მიმდინარეობები ჰპოულობენ. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც დიალექტიკის მოძრაობის უწყვეტობის კანონის შესაბამისად განუწყვეტლივ იცვლება ის გარემო, სადაც ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე განუწყვეტლივ იცვლება ეკონომიკური კრიზისების გამომწვევი ფაქტორები და მათი აბსოლუტური მნიშვნელობები. ამდენად კრიზისიდან გამოსვლის გზებიც და

ეკონომიკური კრიტერიუმებიც იცვლება. შედეგად აქტუალური ხდება ესა თუ ის მიმდინარეობა, რომელიც მოცემულ მომენტში, ან დროის გარკვეულ მონაკვეთში უკეთგანაპირობებს ეკონომიკური კრიზისის დაძლევას. დროის დინამიკაში იცვლება საზოგადოების მოთხოვნილებებიც, გემოვნება და მოდაც, ამდენად კრიზისის დაძლევის მიმართულებებიც შეიძლება დროსთან მიმართებაში განსხვავებული იყოს.

საქართველო ბოლო ათწლეულია დეგრადაციის გზას ადგას. აქ თავმოყრილი საწარმოო სიმძლავრეები განუწყვეტლივ მცირდება, ხოლო არსებული სიმძლავრეები მინიმალურადაა დატვირთული, ეს შეეხება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრეწველობის უმოქმედობა. არსებული სამრეწველო საწარმოების უმეტესობა ან საერთოდ არ ფუნქციონირებს, ან იგი უმნიშვნელოდაა დატვირთული, თუ არ ჩათვლით ზოგიერთ კვების მრეწველობის საწარმოებს. აამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა, გამოშვებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობაა მსოფლიო და შიგა ბაზარზე, განპირობებული ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით. ესეც ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საკითხებს უაღრესად აქტუალურს ხდის.

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება წარმოების ეფექტიანობას. თუ მოხერხდება ეფექტიანობის ამაღლება, დაიძლევა ეკონომიკური კრიზისიც. მართალია კრიზისიდან გამოსვლის საკითხები ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერჯერობით ნაკლებად განიხილება, მაგრამ იგი მჭიდრო კავშირშია წარმოების ეფექტიანობის, სტრუქტურული ცვლილებების და კადრების საკითხებთან, რომლებისადმი მიძღვნილი აქვთ შრომები ასეთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს, როგორებიცაა: პ. გუგუშვილი, ა. გუნია, ვ. მელქაძე, ნ. ჭითანავა, გ. მალაშხია, თუმცა თანამედროვე ეტაპზე წარმოშვებული პრობლემატური საკითხები არ

შეიძლება სრულად ყოფილიყო ეკონომიკურ ლიტერატურაში გაშუქებული. ეს განაპირობა ბოლო ათწლეულში საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებულმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა. უპირველესად შეიცვალა საკუთრების ფორმა. თუ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ეკონომიკა წარმოდგენილი იყო სახელმწიფო საკუთრების დომინანტური მდგომარეობით, დღეისათვის დომინანტის როლი კერძო საკუთრებასა და კერძო ინიციატივას უკავია. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები რეგულირდებოდა, უფრო მეტიც, ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით. დღეს აღნიშნული პროცესი თავისუფალია, რამაც ძირეულად შეცვალა ინტეგრაციის დონე და მიმართულებები. წარმოიშვა და ყალიბდება საბაზრო ინფრასტრუქტურა, რაც საქართველოს ეკონომიკისათვის ახალია და ა.შ. ამ ასპექტებმაც სხვასთან ერთად განაპირობა ჩვენს მიერ სადისერტაციო კვლევის თემის შერჩევა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობა ეკონომიკურ კრიზისში იმჰოფება, მაგრამ როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და ეკონომისტებიც აღიარებენ, საქართველო მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია. შედეგად, უმუშევრობა საშიშ მასშტაბებს აღწევს, განუწყვეტლივ იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმზენაკლებია, მკვეთრად უარესდება სოციალური ფონი, იზრდება მიგრაცია სხვა ქვეყნებში. ყოველივე ამას კი განაპირობებს უკვე პერმანენტულად ქცეული ეკონომიკური კრიზისი, რომლის სასწრაფო დაძლევა გადაუდებელი ამოცანაა. ამდენად ამ პიზიციებიდანაც თემის აქტუალობა ცხადია.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. დისერტაციის ძირითადი მიზანია საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების დამუშავება, პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ამ ძირითადი მიზნის მიღწევისათვის საჭიროაშემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- განისაზღვროს მრეწველობის დაქვეითების ჩვენეული ხედვა, მისი არსი. გაანალიზდეს საქართველოს ეკონომიკის წარმოშვება და განვითარება. საქართველოს ეკონომიკის პოტენციალურ შესაძლებლობათა ჩამოყალიბება და მისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში,
- დახასიათდეს გლობალური და დარგობრივი ეკონომიკური კრიზისი, მასთან კავშირში გამოირჩეს ის პრიორიტეტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საქართველოში ეკონომიკურიკრიზისის დაძლევა;
- დადგინდეს საქართველოს მრეწველობის დაცემის მიზეზ - შედეგობრივი კავშირი საერთოდ საქართველოს ეკონომიკურ კრიზისთან. მრეწველობის კრიზისის განპირობებელი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა და დახასიათება. მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლის აუცილებელ ეკონომიკურ ამოცანათა გადაჭრის სპექტრის წარმოჩენა, კონკრეტული რეკომენდაციების ჩამოყალიბება იმ ამოცანათა გადაჭრის მიზნოთ, რომელიც განაპირობებს საქართველოს მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლის დაწყებას და მის შემდგომ განვითარებას;
- განხორციელდეს მაკროეკონომიკური მართვის ეფეტიანობის კავშირის კვლევა მრეწველობის ეკონომიკურ ვარდნასთან მიმართებაში;
- დახასიათდეს მიკროეკონომიკური მართვის პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და საბოლოოდ კრიზისიდან დაძლევაში;
- ჩამოყალიბდეს საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები და მისი დაძლევის გზები, როგორც კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ მაგისტრალური მიმართულება;

- გადაწყდეს იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლას.

კ ვ ლ ე ვ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ი დ ა ს ა გ ა ნ ი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევისობიექტია მრეწველობის ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხები საბაზრო ეკონომიკის განვითარების დღევანდელი დონის გათვალისწინებით.

კ ვ ლ ე ვ ი ს მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ა დ ა მ ე თ ო დ ი კ ა , სადისერტაციო შრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორია.ზოგადად, თანამედროვ მენეჯმენტის, წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მარკეტინგის თეორიები. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული უცხოელი და ქართველი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფები. სტატიები ეკონომიკური კრიზისის გამოვლენის და მისი აღმოფხვრის ცალკეული ასპექტების შესახებ. ამასთან ერთად გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა ოფიციალური უწყებების მასალები, ტასისის პროგრამით განხორციელებული გამოკვლევები, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ დამუშავებული საკითხები და ა.შ. ნაშრომში გამოყენებულია მეცნიერული გამოკვლევის ანალიზის და სინთეზის, სტატისტიკური, მატემატიკური, დიალექტური და სისტემური მიდგომის მეთოდები, აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერთა დებულებები.

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ი ა ხ ლ ე. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სიახლე არის, რომ იგი საქართველოს სინამდვილეში არის ერთერთი პირველი მცდელობა მიძღვნილი საქართველოს ეკონომიკაში არსებული კრიზისის დაძლევის ეკონომიკური პრობლემებისადმი. კკრიზისის დაძლევის მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების გამოვლენისა და სისტემატიზაციისადმი. აქედან გამომდინარე კვლევის ნოვატორობა გამოიხატება შემდეგი კერძო სიახლეებით;

- გაანალიზებულია საქართველოში მრეწველობისა და საბანკო სექტორის წარმოშვება და განვითარება, დახასიათებულია ეკონომიკური კრიზისები საერთოდ და მათი გამოვლენა საწარმოო სიმძლავრეთა განვითარების დინამიკაში.
- გაკეთებულია დასკვნა, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთიანი და სტანდარტული თეორია არ არსებობს და ვერც იარსებებს იმდენად, რამდენადაც გარემოებები რომლებიც განაპირობებენ კრიზისების წარმოშვებას, ერთნაირი არასოდეს არ არის. თუმცა აღიარებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრინციპი კრიზისების დაძლევის ზოგად თეორიად. ამდენად რეგულირების ეფექტიანობით განისაზღვრება კრიზისის წარმოშვება და დაძლევაც. ამ კუთხითაა აუცილებელი მრეწველობაში ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებაც;
- საქართველოს მრეწველობა ბოლო ათწლეულის მანძილზე ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, შედეგად უკიდურესად შემცირდა არამარტო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, არამედ მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვიანობა, საწარმოო სიმძლავრეებიც განიცდიან რაოდენობირივ შემცირებას მათი დემონტაჟისა და ექსპორტის გზით, ხოლო არსებული სიმძლავრეები მორალური ცვეთის დამთრგუნველ გავლენას განიცდიან. ამიტომ თუ სასწრაფოდ არ იქნა ხელშეწყობა მრეწველობის ფუნქციონირებისადმი, დიდია მისი საერთოდ განადგურების პერსპექტივა, რაც თავის მხრივ ხანგრძლივად დაასამარებს ინდუსტრიულ ქვეყნად აღდგენის იმედსაც. ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით სადისარტაციო ნაშრომში განიხილება და სისტემატიზირდება ის ობიექტური და შედარებით სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა დროზე გადაწყვეტა უზრუნველყოფს მრეწველობის აღდგენას;
- უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარეობს ფართო მასშტაბიანი პრივატიზაცია, მისი განხორციელების მიუხედავად

პრივატიზებული საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა ისე, როგორც ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამრეწველო საწარმოები უმოქმედოდ არიან. აქედან გამომდინარე არსებობს რაღაც ობიექტური ხელისშემშლელი პირობები, რომლებიც წარმოების მუხრუჭად გვევლინება. ამ პირობებიდან სადისერტაციო ნაშრომში განიხილება მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადების განაკვეთების სიდიდეები წარმოების ეფექტიანობასთან მიმართებაში. შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები საგადასახადო სისტემის მასტიმულირებელი როლის წარმოშვებისა და განვითარებისათვის;

- კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა პროდუქციის განაწილების ცენტრალიზებული სისტემა, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოში ვერ განვითარდა თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურა, ეს შეეხება, როგორც სასაქონლო ბირჟებს, ასევე საფონდო და ფასიანი ქაღალდების ბაზარს. ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და დასახულია მისი განვითარების გზები;
- მრეწველობის ეკონომიკური კრიზისის გადაჭრის რეკომენდაციები, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია სისტემურ ღონისძიებათა სახით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: საგადასახადო სისტემის სრულყოფა, სახელმწიფო დახმარება და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი მაქსიმალური ხელშეწყობა, ტექნიკური პერსონალის მომზადებისადმი ხელშეწყობა, საბანკო საქმის განვითარება და ფინანსური სისტემის სრულყოფა, მენეჯმენტის ორგანიზაცია.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული მნიშვნელობა. გამოიხატება იმაში, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნას ეკონომიკური კრიზისების თეორიის შემდგომი დამუშავებისათვის, მრეწველობის განვითარების ეკონომიკური თეორიის სრულყოფისათვის. დისერტაციის თეორიულ ნაწილში მიღებული შედეგები წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორიის გაუმჯობესების მცდელობას და ამ მიმართებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების საქმეში დადებით როლს შეასრულებს.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგებს და მიღებულ რეკომენდაციებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურებისათვის, იმ მაკროეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ღრმა ეკონომიკურ კრიზისის და მათ შორის მრეწველობის კრიზისის დაძლევის პროცესის განხორციელების დაწყებას. ააქედან გამომდინარე მიღებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნას საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანისათვის, კანონში "ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ" სრულყოფის ღონისძიებათა გატარებისათვის, საფონდო ბირჟების შესახებ კანონის პროექტის დამუშავებისათვის და ა.შ. ამასთან ერთად ეკონომიკის სამინისტროს შეუძლია მრეწველობის დარგისათვის გაითვალისწინოს ნაშრომში მიღებული რეკომენდაციები.

საერთოდ სადისერტაციო ნაშრომში მიღებული დასკვნების პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მკვეთრ ამაღლებას და უმუშევრობის დონის შემცირებას, აქედან გამომდინარე ყველა დადებითი შედეგებით.

1 . ლიტერატურის მიმოხილვა

საზოგადოებრივი ცხოვრება ათასეულობით წლებს ითვლის, მაგრამ მისი სწრაფი განვითარება მხოლოდ რამდენიმე ასწლეულს თუ მოიცავს, რაც განპირობებულია მეცნიერულ – ტექნიკური წარმოების სფეროში გამოყენებით, საზოგადოებრივი განვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც გამოგონებულ და დანერგილ იქნა მანქანური წარმოება მექანიკური ამძრავით, მითუმეტეს 1774 წლიდან ინგლისში უალტის მიერ ორთქლით მამოძრავებელი მექანიზმის ორმაგ-მოქმედი მანქანის შექმნის შემდეგ მანქანურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების იმ დროისავის იმ დროისთვის არნახულ გადიდებას მიაღწიეს, 1787 წლიდან მექანიკური საქსელების დანერგვამ ხელი შეუწყო დიდი მოცულობის და იაფი ქსოვილების გამოშვებას, რომელიც რამდეჯნერმე აღემატებოდა ინგლისის აუცილებელ მოთხოვნებს. შემდგომ კი მანქანური წარმოება სწრაფად გავრცელდა ევროპასა და ამერიკაში, რასაც მოჰყვა მრეწველობის, როგორც ინდუსტრიული დარგის ჩამოყალიბება და გასული საუკუნის ბოლოსათვის ეკონომიკამ დაახლოებით ისეთივე სახე მიიღო, როგორსაც ის დღემდე ინარჩუნებს. მეოცე საუკუნე ისტორიაში შევა, როგორც მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის საუკუნე, რასაც მოჰყვა მატერიალური სიმდიდრის არნახული ზრდა, მოსახლეობის რიცხოვნების და მათი ცხოვრების დონის განუხრელ აღმავლობასთან ერთად, მას სათავე დაუდო მეცხრამეტე საუკუნემ.

ამერიკის შეერთებული შტატების სიმდიდრემ 1840 წელს შეადგინა 3700 მილიონი დოლარი, რომელიც 1890 წლისათვის 88 მილიარდ დოლარამდე ავიდა, (1894 წლების ფასებით), ასევე ინგლისსა და ირლანდიაშიც დროის ამავე პერიოდისათვის ეროვნული სიმდიდრე 5-6-

ჯერ გაიზარდა. ასეთივე ტენდენციით ხასიათდება ევროპის სხვა ქვეყნები. [1]

მანქანური წარმოების გავლენით საწარმოო ძალთა მანამდე არნახულმა განვითარებამ მეცნიერებაში განავითარა რწმენა, რომ თავისუფალი კონკურენცია საყოველთაო კეთილდღეობის გარანტიაა. საზოგადოებაც და წარმოებაც აღმავალი გზით წავლენ. ასეთები იყვნენ ნორტი, ა. სმიტი, დ. რიკარდო, ფიზიოკრატები და სხვა. მაგრამ სწორედ უპირველესად თავისუფალმა კონკურენციამ, სამეწარმეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობამ მალე იჩინა თავი. სამრეწველო დაწესებულებებში წარმოების სწრაფად განვითარებამ საქონლის ზედმეტი დამზადება გამოიწვია. დაირღვა წონასწორობა საქონლის წარმოების და მისი მოხმარების მოცულობებს შორის, ამას მოჰყვა უმუშევრობის ზრდა და სოციალური მდგომარეობის გაუარესება, რასაც მოგვიანებით ეკონომიკური კრიზისების სახელწოდება მიიღო. კრიზისების გამოვლენას თან მოჰყვა იმ საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმოშობა, რომლებიც ხსნიდნენ არსებულ მდგომარეობას და გვთავაზობდნენ თავიანთ შეხედულებებს კრიზისების გამომწვევ მიზეზების შესახებ. ამის შედეგი იყო რობერტ მალთუსის სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელიც იმ დროისათვის არნახულად პოპულარული გახდა და მრავალთა მიერ კრიტიკის ქარცეცხლში გაიარა. უკეთესი ცხოვრების მოწყობის გზებს გვთავაზობდნენ სენ-სიმონი, შარლ ფურიე, რობერტ ოუენი, სისმონდი, პრუდონი, ლისტი, როდბერტუს-იაგოცევი და სხვა მრავალი, მათ შორის, ჩვენი აზრით, უნდა განიხილებოდეს კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრებაც.

გასულ საუკუნეში არსებული ჩავარდნები ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდაა განხილული, მაგრამ ეს განხილვა მიმდინარეობდა მარქსიზმის პოზიციებიდან, უფრო სწორად ჩვენი მეცნიერება არსებითად იმეორებდა მარქსიზმის შეხედულებას ეკონომიკური კრიზისების შესახებ. ამიტომ ჩვენ შევეცდებით გასულ

საუკუნეში არსებული კრიზისები დღევანდელი გადასახედიდან დავახასიათოდ.

ეკონომიკური კრიზისების წარმოშვება ყოველთვის ეფუძნება წარმოებასა და მოხმარებას შორის შეუსაბამობას, ანუ წარმოებული პროდუქცია ბაზარზე მიწოდების ფასის შესაბამისად, ხოლო ფასი თვითღირებულებისაგან გამომდინარე სუსტად ექვემდებარება შემცირებას, ვერ პოულობს მოთხოვნილებას, უფრო ზუსტად იმ ფასში, რა ფასადაც იგი ბაზარს მიეწოდება, ვერ პოულობს საჭირო რაოდენობის მომხმარებელს სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო ანუ ირღვევა ბალანსი მიწოდება – მოხმარებას შორის. წარმოიშვება ერთგვარი ჭარბი წარმოება, ამიტომ ამ კრიზისებმა "ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების" სახელწოდება მიიღეს. [2]

სიტყვა "კრიზისი" ბერძნული წარმოშობისაა და პირდაპირი მნიშვნელობით მძიმე მდგომარეობის აღმნიშვნელია. ეკონომიკური კრიზისების ქვეშ ესმით ეკონომიკის და მისი ცალკეული სფეროების მძიმე მდგომარეობა. აქედან გამომდინარე შეიძლება გავარჩიოთ ეკონომიკური კრიზისი, როცა ადგილი აქვს მატერიალური წარმოების მთლიან ვარდნას და დეგრადაციას. ასევე ცალკე გამოიყოფა ფინანსური (საფინანსო), აგრარული, სამრეწველო (მრეწველობის) ენერგო და ა.შ. სხვა დარგების კრიზისები. თავიდანვე განვიხილოთ ეკონომიკური კრიზისების საერთო წარმოშობა და მისი განპირობებული მიზეზები. Ქკონომიკური განვითარება, რომ კერძო წარმოებასა, კერძო საკუთრებასა და კერძო ივესტიციაზეა დაფუძნებული, ეჭვს არ იწვევს, თუმცა იგივე წარმოების საშუალებათა წარმოება არის მიზეზიც ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნისა, რამდენადაც კერძო საკუთრება განაპირობებს თავისუფალ კონკურეციას, ხოლო თავისუფალი კონკურენციის სტიქიური ძალა წარმოშობს კერძო მესაკუთრეთა მისწრაფებას უსაზღვრო განვითარებისადმი, რაც რა თქმა უნდა, თავისთავად უაღრესად პროგრესულია და მამოძრავებელი საწარმო ძალთა

განვითარებისა. ცალკე მწარმოებელს, იქნება იგი ერთი პიროვნების ან რამდენიმე პიროვნების კოლექტიური საკუთრება, არ შეუძლია გვერდი აუაროს ტექნიკურ განვითარებას, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესთა წარმოებაში დანერგვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სრული დამარცხება მოელის კონკურენტების მხრიდან.

როდესაც საქონლის დამზადებას ან მომსახურეობის გაწევას იწყებს, მესაკუთრემ იცის, რომ ამ სახის სამუშაოთა გაფართოება სრულიად უსარგებლოა, თუ შესაბამისი ბაზარი არ არსებობს, მაგრამ მან იცის, რომ სამუშაოების მასშტაბის შემცირება სრულებით უსარგებლოა, რამდენადაც საზოგადოდ თითოეული მეწარმის გადაწყვეტილება ბაზრის მოთხოვნილებაზე გავლენას ვერ მოახდენს და ამ შემთხვევაში მოგებაში დარჩება მხოლოდ მისი კონკურენტები. ამასთან ერთად თუ ბაზრის მასშტაბი შემცირდა, ანუ შემცირდა ამ კონკრეტული ხასიათის მომსახურეობასა და პროდუქციაზე მოთხოვნილება, პირველ რიგში დაზარალდება ის მესაკუთრე, ვინც ვერ შეძლო წარმოების მოცულობის თავისდროული გადიდება.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში იქმნება გარკვეული შეუსაბამობა წარმოებული საქონლის ან შეთავაზებული მომსახურეობის ზრდის ტემპებსა და ამ საქონელზე (ან მომსახურეობაზე) მოთხოვნილების ზრდას შორის. ყოველთვის არსებობს რაღაც დოზით გაუწონასწორებლობა. რაც უფრო იზრდება გაუწონასწორებლობის მასშტაბი, მით უფრო ვუახლოვდებით ეკონომიკური კრიზისის წარმოშობას. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნა ისაზრვრება არა საზოგადოების წევრთა ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების სიდიდით, არამედ ამ მოთხოვნილებებთან მყიდველუნარიანობის შესაბამისობით, ამიტომ ხშირად შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ვთქვათ საწვავზე მოთხოვნილება ქვეყანაში ძლიერ მაღალია, ბევრია აგრეთვე შეთავაზებული საწვავის მოცულობაც, მაგრამ მისი სიძვირის გამო საწვავის გასაღების ბაზარი ფრიად შეზღუდულია.

ასეთივე მდგომარეობა შეიძლება იყოს ელექტროენერგიის, სამრეწველო პროდუქციის და სხვათა მხრივაც. ეუფრო მეტიც, შესაძლებელიაბაზარი ფრიად გადატვირთული იყოს ფიზიოლოგიურად აუცილებელია პირველადი მოხმარების საქონლით (პური, რძე, ხორცი, კარაქი და სხვა) არსებობდეს მასზე საზოგადოების მოთხოვნილება, მაგრამ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილის არა მსყიდველუნარიანობის გამო ქვეყანაში ასეთი სახის პროდუქციის მოთხოვნილება საშუალოდ ფიზიოლოგიურ ნორმებზე ნაკლები იყოს, როგორც ეს საქართველოშია. [3]

მოთხოვნის შესახებ თავისუფალი კონკურენცია ყოველთვის ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენციით ხასიათდება. ერთი მუდამ მოთხოვნის გადიდებისკენაა მიმართული, მეორე კი – შემცირებისკენ. პირველი გამომდინარეობს მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესიის გავლენით წარმოებულ საქონელზე ფასების შემცირებით, რაც ამ საქონელს ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომს ხდის, რის გამოც რეალური მოთხოვნილება ამ საქონელზე იზრდება. აღნიშნულის მაგალითებია აუდიო და ვიდეო აპარატურა, კალკულატორები, იაფი ტანსაცმელი და სხვა. მმეორეს მხრივ მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესიის წარმოებაში ფართომასშტაბიანი დანერგვა საშუალებას იძლევა არნახულად გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროდუქციის მოცულობის გადიდების უზრუნველყოფას, მომუშავეთა ნაწილობრივი გამონთავისუფლების შემთხვევაშიც კი. აქედან გამომდინარე იზრდება უმუშევართა რიცხვი, ანუ საზოგადოებაში იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა მსყიდველუნარიანობა კლებულობს, განსაკუთრებით ეკონომიკურად დაუძლურებულ სახელმწიფოებში, რომლისკენაც საქართველოს ფაქტიური მდგომარეობაც მიისწრაფვის, ამიტომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის დროის გაწელვა უფრო თვალსაჩინოს გახდის შეუსაბამობას წარმოებასა და მოხმარებას შორის.

საქართველოში დღეს ეკონომიკა წარმოადგება კაპიტალისტური კანონზომიერებათა ადეკვატური ასახვით, მაგრამ მას ჯერ არ მიუღწევია ურთიერთობათა კლასიკური, ადაპტური ასახვისათვის, რამდენადაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ მისულა სახელმწიფო – საზოგადოებრივი საკუთრების განსახელმწიფოებრიობა. აამასთან ერთად პრივატიზებულ საწარმოებშიც ჯერ კიდევ მცირე დროა გასული იმისათვის, რომ მესაკუთრეებმა სრულად აღიქვან თავისუფალი კონკურენციის კანონზომიერებანი, ისინი თავიანთი ფსიქიკით და მენტალიტეტით ჯერ კიდევ გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან, თუმცა დინამიკაში სულ უფრო ახლოსაა თავისუფალი საბზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების დროის მომენტი. საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციულობის აუცილებლობა განსაკუთრებით მაღალი დონით, ჩვენი ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ კანონზომიერებებს სპეციფიკურ ნიშან – თვისებებს შეძენს. [4]

შეუსაბამობის წარმოშვება ერთის მხრივ წარმოებასა და მეორეს მხრივ მოხმარებას შორის წარმოშობს სამრეწველო კრიზისს. ასე გამოვლინდებოდა სამრეწველო კრიზისები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთანავე. "სამრეწველო კრიზისი" არის ღრმა და ვრცლად შერყევა საზოგადოებრივი მეურნეობის მთელი სისტემისა, იგი რთული კომპლექსია მრავალგვარი მოვლენებისა, თავისი ხასიათით გასაშტერებელი და სახიფათო: ფასების ძლიერ დაცემა, აუარებელ სამრეწველო დაწესებულებათა განადგურება, მასიური უმუშევრობა და სხვადასხვა. აი რა არის სამრეწველო კრიზისი.

ეკონომიკური კრიზისები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად გამოვლინდებიან, მაგრამ მათ მაინც აქვთ საერთო კანონზომიერებანი, ამიტომ ახასიათებენ ეკონომიკურ კრიზისებს კლასიკური გაგებით. ამ თეორიის შესაბამისად გამოყოფენ საქმიან ციკლს, როგორც ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპს. ნაზახ 1.1 –ზე წარმოდგენილია "ტიპიური" საქმიანი ციკლის ფორმა. ეკონომიკის

საერთო აღმავლობის ფონზე, რომელიც წყვეტილი ხაზითაა აღნიშნული, საქმიანი ციკლი შეიძლება დაიყოს ოთხ ნაწილად. ისინი საქმიანი ციკლის ფაზებად იწოდებიან და მოიხსენებიან ეკონომიკურ მეცნიერებაში თითქმის საუკუნის განმავლობაში. მმისი აღრიცხვა ხდება წერტილიდან, რომელიც წოდებულია "ციკლის პიკად". აღნიშნული წერტილი წინა ციკლის ყველაზე განვითარებული წარმოების აღმნიშვნელია, ამასთანავე მოცემული ციკლისათვის ამ წერტილში იწყება წარმოების დაცემის პროცესი. "დაცემის ფაზაში" წარმოებული პროდუქციისრეალური მოცულობა თანდათანობით მცირდება და დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ აღწევს წარმოების მოცულობის მინიმალურ სიდიდეს ე.წ. "ფსკერს", რომლის შემდგომაც იწყება წარმოების "გაფართოების ფაზა". იგი გრძელდება დროის ასევე განსაზღვრულ პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგაც მიიღწევა "საქმიანი ციკლის პიკი" ფაზა. ესაა იმ ციკლის უკანასკნელი ფაზა, რომლის შემდგომაც, ანუ ამავე წერტილიდან დასაწყისს იღებს ახალი საქმიანი ფაზა.



ნახ. 1. საქმიანი ციკლის ფორმა

ასეთი საქმიანი ციკლი მისაღებია დაამის გარეშე ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისეთმა განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, ინგლისი და სხვა, რამდენიმე ციკლი განვლეს, მაგრამ დაცემის ფაზა ამ შემთხვევაში არ გულისხმობს აუცილებლად ეკონომიკურ კრიზისს, რამდენადაც დაცემა ნორმალურ შემთხვევაში დაახლოებით ნახევარი წლის დროის პერიოდით განისაზღვრება და პროდუქციის რეალური მოცულობა მხოლოდ რამდენიმე პროცენტული პუნქტით ეცემა. ეკონომიკურ კრიზისთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც დაცემული ეკონომიკა "ფსკერის" მდგომარეობაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაშია და ამასთანავე "პიკის" პირველ ფაზასა და "ფსკერს" შორის აბსოლუტურ მაჩვენებელთა სხვაობა სიგრძობრივია. [5]

ეკონომიკური კრიზისების წარმოშვება გამოვლინდა მეცხრამეტე საუკუნეში, მაშინ როცა მანქანურმა წარმოებამ გარკვეულ აღმავლობას მიაღწია. წარმოების პირველი საყოველთაო კრიზისი 1852 – 1826 წლებით თარიღდება, მეორე მოხდა 1836 – 1837 წელს, შემდეგ 1847 – სა და 1857 წლებში. პერიოდული ხასითი კრიზისებს თითქმის დღემდე შემორჩა, მაგრამ არ არის დაცული მისი განმეორებადობის დროის პერიოდი. თუ შემოთ ჩამოთვლილ თარიღებს დავაკვირდებით აშკარაა, რომ კრიზისებს შორის პერიოდი 9-11 წლით განისაზღვრებოდა და კრიზისი საშუალოდ 1 – 2 წელი გრძელდებოდა, ხოლო "აღმავლობის" ანუ იგივე "აწვავების" პერიოდი, როგორც მას ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს, გრძელდებოდა საშუალოდ 8-9 წელი. 1873 წელს ადგილი ჰქონდა მსოფლიო კრიზისს, რომელმაც თავისი ძალით და განხორციელებით ყველა მანამდე არსებულ კრიზისს გადააჭარბა. ამ კრიზისმა დაახლოებით ხუთწლიანი პერიოდი მოიცვა და მაშინდელი განვითარებული მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოედო. შემფგომი კრიზისი აღნიშნა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების

მიჯნაზე 1899-1901 წლებში. თუ ამ კრიზისებს შორის პერიოდს დავაკვირდებით, აშკარაა, რომ რაც უფრო ვითარდება მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესი და იხვეწება წარმოების ორგანიზაციის ფორმები, დროის პერიოდიც კრიზისებს შორის იმატებს, ამის გამო თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კრიზისებს შორის დრო დაახლოებით 10 წელი იყო, საუკუნის ბოლოსათვის მან 20 წელი შეადგინა. მოვლენათა ასეთი განვითარება გაგრძელდა უკანასკნელ საუკუნეებშიც. ამის დასტურია ისიც, რომ ამ საუკუნეში "ბუნებრივად" წარმოშვებული კრიზისი, რომელიც "დიდი დეპრესიის " სახელითაა ცნობილი ოცდაათიანი წლებით ტარირდება, ანუ ამ შემთხვევაში კრიზისებს შორის პერიოდი 30 წლით განისაზღვრება, ხოლო ამის შემდგომ საყოველთაო ეკონომიკური კრიზისი დღემდე არ გამოვლენილა და მეცნიერთა გათვლით არც არის მოსალოდნელი, რაც მთელი რიგი ფაქტორებით მიიღწა და მას ნაშრომში ქვევით შევეხებით. ააქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესიის არნახული ტემპები, წარმოების მართვის პროგრესული ფორმების დანერგვა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ის ძირიტადი ფაქტორებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ბალანსირებულ, მეტნაკლებას თანაბარზომიერ განვითარებას.

ზოგადი კრიზისიდან ლიტერატურაში გამოარჩევენ კერძო ეკონომიკურ კრიზისებს. ეს უკანასკნელი თავისი გავრცელების მასშტაბებით არ არიან ყოვლის მომცველნი და არ ვრცელდებიან სახელმწიფოთა უმეტესობაზე ან გამოწვეულნი არიან არაბუნებრივი, ნორმალური განვითარებით, არამედ რაიმე კერძო მიზეზებით, აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისის ბამბის კრიზისი 1863-1864 წლებში, რაც გამოიწვია აშშ-ში სამოქალაქო ომმა. 1891-1892 წლების რუსეთის კრიზისი გამოწვეული იყო ამ წლებში მოუსავლიანობით, შემდგომ რუსეთის და მის ბაზაზე შექმნილი

საბჭოთა კავშირის უკანასკნელი საუკუნის 20-იანი წლების კრიზისი სამოქალაქო ომმა და რევოლუციურმა პროცესებმა განაპირობა და ა.შ.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ეკონომიკამ მეცხრამეტე საუნუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში განიცადა რამდენიმე საქმიანი ციკლის დაცემა, მაგრამ არცერთი არ გადაზრდილა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში თავისი ბუნებრივი განვითარების გამო. უფრო მეტიც – დროის ოცდაათწლლიანი პერიოდისათვის მეორცე საუკუნის დასაწყისში ეკონომიკა განიცდიდა განუხრელ აღმავლობას. გგამონაკლისს წარმოადგენს ე.წ. "დიდი დეპრესია". 30-იანი წლების "დიდი დეპრესია" ხასიათდებოდა "დაცემის" ორი პერიოდით, რომელთა შემდგომაც ვერ იქნა მიღწეული "საქმიანი ციკლის" სრულყოფილი განხორციელება. შედეგად წარმოიქმნა ეკონომიკის მასშტაბური კრიზისი. იგი აშშ-თვის ასეთი ძირითადი მაჩვეენებლებით ხასიათდებოდა: წარმოების მოცულობა დაეცა მესამედით, მეოთხედით შემცირდა ფასები სამრეწველო პროდუქციაზე, ხოლო უმუშევართა ნორმამ შეადგინა 24 პროცენტი, მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა განვითარებული ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში, მათ შორის ინგლისში სამრეწველო წარმოება შემცირდა ერთი მესამედით, საფრანგეთში ერთი მეოთხედით, გერმანიაში 20 პროცენტით და ა.შ. ამის შემდეგ "საქმიანი ციკლის" "დაცემის" ფაზა არ ყოფილა ასეთი დამთრგუნველი განვითარებული ინდუსტრიული მსოფლიოსათვის, ამიტომ "დიდი დეპრესია" მოიხსენიება მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში. [6]

რაც შეეხება რუსეთს, რომლის შემადგენელიც იყო საქართველო და რომელ ისტორიულ რეალობას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, იგი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე რჩებოდა ინდუსტრიულად ჩამორჩენილ სახელმწიფოდ. თუმცა თავისი მასშტაბების გამო მას დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოზე. აღნიშნულს შემდეგ ციფრობრივი მონაცემებიც ადასტურებს: 1890 წელს "რუსეთში

გამოდნობილ იქნა 8-ჯერ ნაკლები თუჯი, ვიდრე აშშ-ში, 6-ჯერ ნაკლები ვიდრე გერმანიაში, 3-ჯერ ნაკლები ვიდრე საფრანგეთში". ამის შემდეგ რუსეთის ინდუსტრია რათქმაუნდა განვითარდა, მაგრამ განვითარების ტემპები რამდენამდე ჩამოვარდებოდა ინდუსტრიულ ქვეყნებში გაანვითარების ტემპებს და 1913 წლისათვის იგივე თუჯის გამოდნობა 11-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ში, 8-ჯერ ნაკლები ვიდრე გერმანიაში და 4-ჯერ ნაკლები ვიდრე საფრანგეთში. აქ თუჯის შესახებ მონაცემები მოვიყვანეთ იმ მოსაზრებით, რომ მეტალურგია განეკუთვნებოდა მრეწველობის იმ დარგს, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებდა მაშინ ყვეეყნის ინდუსტრიალიზაციის დონეს.

რუსეთი მეორე მსოფლიო ომამდე, მიუხედავად იმისა, რომ აღწევდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს მაინც რჩებოდა ინდუსტრიულად ჩამორჩენილ სახელმწიფოდ და არც თუ მომზადებული შეხვდა პირველ მსოფლიო ომს. შემდგომ წლებში კი მსოფლიო ომმა, შიგნით რევოლუციებმა და გადატრიალებებმა მისი ეკონომიკა მთლიანად გაანადგურა.

პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია რუსეთში ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც შემდგომ სოციალური და პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა, რასაც ვერ ვიტყვით მეორე მსოფლიო ომზე. მმიუხედავად ეკონომიკაში დიდი წარმატებებისა მაშინდელი საბჭოთა კავშირი ტექნიკურად არ იდგა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დონეზე ეკონომიკურაად, რასაც ლოგიკურად მოჰყვა მძიმე დანაკარგები მეორე მსოფლიო ომში, ამან დიდი გავლენა იქონია საქართველოზეც. მმეორე მსოფლიო ომი ძირითადად და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ამიტომ დიდი იყო დანაკარგები, მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყანამ შეძლო არა მარტო შეენარჩუნებინა სამრეწველო პოტენციალი, არამედ განევითარებინა კიდევაც ის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტში. მმეორე მსოფლიო ომის განმავლობაში რუსეთის უდიდეს დანაკარგებს შემდეგი მაჩვენებლებიც

ახასიათებს: საომარი მოქმედებებით მიყენებული პირდაპირი დანაკარგები 1941 წლის ფასებით შეადგენდა 679 მლრდ. მანეთს. ომმა დაანგრია 32 ათასი საწარმო, 65 ათასი კმ რკინიგზა თავისი დამხმარე ნაგებობებითა და სადგურებით, დაინგრა 1710 ქალაქი, განადგურდა 6 მილიონი შენობა და ნაგებობა. მიუხედავად ამისა 1947 წლისათვის მიღწეული იქნა სამრეწველო პროდუქციის საშუალოდ კვარტალური გამოშვება იმისწინა 1940 წლის დონეზე, ხოლო 1948 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 18 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ყოველივე ეს ხორციელდებოდა მკაცრი ცენტრალიზაციის ფონზე.აქედან გამომდინარე ცენტრალიზებული და ერთნაირი იყო სამომხმარებლო პროდუქციის ფასები მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეკონომიკის წარმატებებმა განაპირობა 1948-1953 წლებში სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების ყოველწლიური შემცირება საშუალოდ წლიური 15 პროცენტით, რაც მააშინ უაღრესად პროგრესულ ღონისძიებად იქნა აღქმული.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკას, იგი რათქმაუნდა მიბმული იყო ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე და ისიც დაახლოებით იმ ტენდენციებით ხასიათდებოდა, როგორითაც რუსეთის ეკონომიკა. [7]

კაპიტალიზმის, განსაკუთრებით კი მანქანური წარმოების წარმოშვებას და განვითარებას საქართველო მოუმზადებელი შეხვდა და მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო მას ფეხი ვერ აუწყო, თუმცა შუა საუკუნეებისათვის საქართველოს ეკონომიკა მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ განვითარებულად ითვლებოდა. ააკადემიკოს პ. გუგუშვილის მიერ მიკვლეულ წყაროებში, შემონახულია გაზან ყაენის მიერ 1336 წელს დამტკიცებული ნუსხა დაპყრობილ ქვეყნებზე შეწერილ ხარჯებისა. აამ ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოდან ილხანების ხაზინაში წლიურად შედიოდა 120 მონგოლური თუმანი და 2000 დინარი, ე.ი. 901500 ოქროს მანეთი(დაახლოებით ტონამდე ოქრო). აამის

შესაბამისად აკადემიკოსი ვ. ბარტნოლდი შენიშნავს, რომ "საქართველო თავისი შემოსავლიანობით მონგოლთა სახელმწიფოს სხვაქვეყნების უდიდეს ნაწილზე, განსაკუთრებით მეზობელ პროვინციებზე, მნიშვნელოვნად უფრო მაღლა იდგაო", მონგოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებს შორის შედარებით მეტ შემოსავალს იძლეოდნენ მხოლოდ მცირე აზია (330 მონგოლური თუმანი 2 475 000 მან.), არაბული ერაყი (330 თუმანზე მეტი, 2 153 000 მან.), ხოლო საქართველოს მეზობელ ქვეყანათაგან, მაგალითად შირვანიდან მონგოლთა ხაზინაში შედიოდა სულ 11 თუმანი და 3000 დინარი (84 750 მანეთი), ირანიდან 30 თუმანი და 3000 დინარი (227 520 მან.), დიდი სომხეთიდან (რომლის დედაქალაქად მაშინ ითვლებოდა ვანის ტბის ნაპირზე მდებარე ქ. ხლათი), 39 თუმანი(292 500 მანეთი). ირანის ქვეყნებიდან ქერმანს შეჰქონდა 67 თუმარნი და 6500 დინარი (507 375 მანეთი), ისპაჰანს - 50 თუმანი(375 000 მან.), ზუხისტანს – 32.5 თუმანი (243 750 მან.).

აკადემიკოს ვ.ბარტნოლდს აქვე მოჰყავს ჰამდალაჰ ყაზვინის ხნობა იმის შესახებ, რომ "წინანდელი დროის" საქართველოს შემოსავალი 500 მონგოლურ თუმანს, ანუ 3 375 000 ოქროს მანეთს უდრიდა.

მონგოლური ბატონების ხანაში და მის შემდეგ საქართველოს ეკონომიკას მძიმე ჟამი დაუდგა, რის გამოც ჩაკვდა აღებ- მიმცემობა, უკიდურესად შეიზღუდა ფულის, როგორც საქონლის საყოველთაო ექვივალენტის მოქმედების არეალი. ამიტომ მოსახლეობა გადასახადებს ნატურით იხდიდა და მისი შეცვლა ანუ კომუნიკაცია მხოლოდ 1837 წლიდან განხორციელდა, მაშინ, როცა საქართველო უკვე რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა. კომუტაციამ მოსსხლეობის მასიური გაღარიბება გამოიწვია, ამდენად რამდენადაც საქონლის ფულზე გადაცვლის პროპორციულობა ამ დროისათვის საქართველოში უკიდურესად დარღვეული იყო. 1873 წელს გაზეთ "გუნთის დედაში" ანტონ ფურცელაძე წერდა: " რომ შეიკრიბებოდეს სტატისტიკური

მონაცემები, ვნახოთ რომ მომეტებულს ნაწილს ჩვენი მამულის მეპატრონედ – გლეხთა და თავადაზნაურთა, ჰმართებ იმდენი ვალი, რომ მამულები არ აუხდებათ ამ ვალსა. მომეტებული ნაწილი ამ მამულების შემოსავლისა მიდისმამულის სარგებელში და რამდენი ხანიც გადის,, იმდენი მოკლების მაგივრად ემატებათ ამ ვალებს.

ი.ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ "წინათ ხალხი სახელმწიფო გადასახადსაც კი პურით და ღვინით იხდიდა და კომუტაციამ მოშალა ტრადიციული მეურნეობა და გააღარიბა მოსახლეობა", ამიტომ იყო, რომ ბევრი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადო მოღვაწე გამოდიოდა "საადგილმამულო ბანკში". მმამულების გირავნობის წინააღმდეგ, მათ შორის ვ. მაჩაბელიც რომეელიც ამავეე ბანკის ვიცე პრეზიდენტი იყო. მიუხედავად ამისა, როგორც პროფესორი ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს "კომუტაციამ დადებითად იმოქმედა კარჩაკეტილობის აღმოფხვრაზე" და მოამზადა ნიადაგი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისათვის. [8]

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის კაპიტალისტური წარმოება საქართველოში წარმოდგენილი იყო მხოლოდ და მხოლოდ მანუფაქტურული წარმოებით, სამრეწველო ხასიათის საწარმოებიდან საქართველოში არსებობდა მხოლოდ რკინიგზის ვაგონების შემკეთებელი სახელმწიფო საწარმო (შემდეგ ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა), ტყავის დამუშავების ქარხანა, ფეხსაცმლის სამკერვალო ფაბრიკა, თბილისის კონიაკისა და ვარციხის ღვინის ქარხნები. მე-20 საუკუნის ოციანი, განსაკუთრებით კი 30-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სამრეწველო სიმძლავრეები სწრაფად განვითარებას განიცდის, რის გამოც 80-იანი წლებისათვის საქართველო ჩამოყალიბდა, როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძლიერ ინდუსტრიული რეგიონი. 1985 წლისათვის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მაშინდელ ფულად ერთეულებში (რომელიც დღევანდელი აშშ დოლარის რეალურ

მსყიდველობით უნარიანობასთან შეიძლება ვთქვათ, რომ დაახლოებით ტოლფარდობაში იმყოფება ე.ი. 1 აშშ დოლარი = 1 საბჭოურ მანეტს 1985 წლისათვის) შეადგენდა 21967.7 მლნ. მანეთს, მათ შორის მრეწველობის პროდუქცია 13074.1 მლნ. მანეთი, ანუ 59.5% იყო, მაშინ როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ შეადგინა 4249.2 მლნ. მანეთი, ანუ 19.3% ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ – 600.2 მლნ. მან., ანუ 2.7%, მშენებლობამ – 2082.7 მლნ. მან., ანუ 9.5%.

საქართველოს ეკონომიკა თავისი სწრაფი განვითარების თითქმის ასწლიანი პერიოდის მანძილზე ზრდის ერთნაირი ტემპებით რათქმაუნდა არ ხასიათდებოდა და მან იგივე კრიზისული პერიოდები განვლო, რაც რუსეთის ეკონომიკამ. დღეისათვის კი საქართველოს ეკონომიკა მთლიანად, განსაკუთრებით კი მრეწველობა ღრმა კრიზისშია.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1 საქართველოს მრეწველობა და მისი დაკრედიტების ანალიზი

ბანკი არის საკრედიტო საფინანსო დაწესებულება, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველოში სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იბერიისა და კოლხეთის სამეფოში ძვ.წ. მე-6 საუკუნეშ გამოჩნდა სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები, ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემის წინამორბედებს წარმოადგენენ.

ეკონომიკური კრიზისები მაკროეკონომიკურ დონეზე გამოვლინდება ქვეყნის მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი შემცირებით, რასაც თან ახლავს საზოგადეოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტების გაუარესებაც. Ეუპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებით და პოლიტიკურ სიტუაციათა გამწვავებით. Ჭეკონომიკა, როგორც უკვე აღნიშნული, ხასიათდება ციკლური განვითარებით, თუმცა დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის (იგულისხმება ორი და მეტი წელი) იგი აუცილებელ ზრდას ავლენს. ასეთი განვითარება აღიარებულია ნორმალურ მოვლენად. კკრიზისების პერიოდში ციკლური განვითარების პერიოდულობაც და მასშტაბებიც ირღვევა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებში.

ეკონომიკის მეცნიერების განვითარება რამდენიმე პერიოდად თუ მიმდინარეობად იყოფა, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერებები განსხვავებული ნიშნების მიხედვით აღაგებენ. სოციალიზმის დროს ჩვენთან მიღებული იყო ეკონომიკური მეცნიერების დაყოფა მარქსიზმად და ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მიმდინარეობებად. ზოგჯერ კი ბურჟუაზიულ ეკონომიკაში გამოჰყოფდნენ კლასიკურ ეკონომიკურ

სკოლას და მასში გულისხმობდნენ მარქსამდელ ეკონომიკურ გამოკვლევებს და მათ ავტორებს, ხოლო მარქსის შემდგომი ეკონომიკური თეორიები მოიხსენიებოდნენ, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიკური მიმდინარეობები.

კეინსის თეორიის მიხედვით "კლასიკურ ეკონომიკურ სკოლად" მოიაზრება ყველა მანამდე არსებული მიმდინარეობა, მაშინ როცა თვით კარლ მარქსი "კლასიკურ" თეორიაში გულისმობდა მხოლოდ ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს მოძღვრებას, მოგვიანებით ამ ტერმინის ცნება გაფართოვდა და მასში გულისხმობდნენ როგირც მარკსამდე ეკონომიკურ მოძღვრებებს. ასევე ისეთ ორთოდოქს ეკონომისტსაც, როგორიც იყო ჯონ სტიუარტ მილი. რათქმაუნდა თვით მარქსის ჩათვლით შემდეგი დაყოფა ითვალისწინებდა "კლასიკურიდან" ცალკე "ნეოკლასიკური" სკოლის გამოყოფას, რომლის დამაარსებლად აღიარებულია ალფრედ მარშალი. ამავე მიმდინარეობაში იგულისხმება კემბრიჯის ჯგუფი ა. პიტის მეთაურობით. ზოგიერთი თანამედროვე ეკონომისტების აზრით ტერმინ "კლასიკურში" იგულისხმება ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს მოძღვრებები, ამასთანავე ცალკე გამოყოფენ მარქსიზმს, ნეოკლაციზისმს, მარჟინალიზმს, კეინსიალიზმს, მონეტარიზმს და ინსტიტუციურ – სოციოლოგიურ მომართულებებს.

ყველა ჩამოთვლილი მიმართულებები ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი დახასიათებისათვის აუცილებლად იყენებს შემდეგ სამ ძირითად პარამეტრს, ესენია: წარმოების მოცულობა, უმუშევრობის დონე და ფასების სიდიდე (ინფლაცია). კრიზისი აუცილებლად გულისხმობს წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობის საგრძნობ შემცირებას, რაც გამოწვეულია მისი რეალიზაციის შეუძლებლობით უფრო ზუსტად რეალიზაციის შეძლების მდგომარეობით, მას კი თავის მხრივ მოჰყვება ბაზარზე ფასების ცვლილება, ადგილი აქვს უმუშევართა დონის გადიდებას ესენი კი

თავისთავად მიუთითებს ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაზე ანუ კრიზისის დადგომაზე.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდმა დეპრესიამ საფუძველი დაუდო რამდენიმე ეკონომიკურ თეორიას, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესწავლას და მისი დაძლევის ეკონომიკური თეორიის შემუშავებას. უპირველესი თეორია ჩამოთვლილთაგან კეინსინიალიზმია. 1936 წელს გამოცემულმა ჯონ მეინარდ კეინსის წიგნმა "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადმა თეორიამ" სწრაფად ჰპოვა აღიარება და ფართოდ გავრცელდა მაშინდელ ახალგაზრდა ეკონომისტებს შორის, ისინი კეინსიანისტები გახდნენ. აღნიშნული თეორია საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული "ღრმა ვარდნის" პროცესი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საშუალებით. ეს იყო თანამედროვე ეკონომიკური პროცესების შესწავლის პირველი, მაგრამ რათქმაუნდა, არა ბოლო მიდგომა. ჭეს თეორია მართალია იძლეოდა რეკომენდაციებს ღრმა კრიზისის თავიდან ასაცილებლად, რასაც თან დევს უმუშევრობისა და ინფლაციის დიდი მასშტაბები, მაგრამ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მას გამოუჩნდა მოწინააღმდეგეები "მონეტარისტების" სახით. მათ გამომწვევად შეუტიეს კეინსიანელებს. აღნიშნული მიმართულების ფუძემდებლად ითვლებოდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი მილტონ ფრიდმენი.მონეტარისტებს ხელაღებით არ უარყვიათ კეინსის თეორია, უფრო მეტიც ისინი დათანხმდნენ მათ კრიზისის გამომწვევი მიზეზების აღიარებაში გარდა ინფლაციის ასპექტისა და ეს სინამდვილეში ასე იყო. მონეტარიზმის ძირითადი კრედო ინფლაციური პროცესების მართვაში გამოიხატება ფულის მასის რეგულირებაში. [9]

მონეტარიზმისა და კეინსიალიზმის გარდა ფართო გასაქანი ჰპოვა ე.წ. "რაციონალური ლოდინის მაკროეკონომიკურმა სკოლამ" რომლის ფუძემდებლად აღიარებულნი არიან ჩიკაგოს უნივერსიტეტის

პროფესორი რობერტ ლუკასი, აგრეთვე მინესოტისა და სტანფორდის უნივერსიტეტების პროფესორი ტომას სარჟენტი. ამ სკოლის მიხედვით კრიზისების გამომწვევი შეიძლება გახდეს მწარმოებელთა და მომხმარებელთა ფსიქოლოგიური განწყობა მომავალი პროცესებისადმი.

დღეისათვის მაკროეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელნი ანალიზს აკეთებენ სამივე ამ თეორიის კომპინირებული გამოყენებით, რაც მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკური პროცესების მართვის სახელმწიფო რეგულირებაში, მონეტარული პოლიტიკის რაციონალურ განხორციელებაში და ლოდინის ფსიქოლოგიური განწყობის თეორიაში. სხვა სიტყვებით ეკონომიკის ნორმალური განვითარება შესაძლებელია თუ დაცულია თანაფარდობა მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის, ამავე დროს მოთხოვნილება შესაბამისობაში იმყოფრბა მოსახლეობის კულტურის და განათლების დონესთან, ხოლო მიწოდება შეიძლება გაიზომოს განყენებული ღირებულების მაჩვენებლებით, რამდენადაც სახელმწიფოთაშორისი ფართო კოოპერაცია სხვაგვარი მიდგომის საშუალებას გამორიცხავს.

ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებად დღემდე არსებული ყველა ეკონომიკური მეცნიერებათა მიმართულებები მეტნაკლებად იყენებენ შემდეგ მაჩენებლებს: წარმოებული პროდუქციის მოცულობას, უმუშევრობის დონეს დაინფლაციას. ამასთან წარმოებული პროდუქციის მოცულობას გამოხატავენ "მთლიანი შიდა პროდუქტის", "ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის", "ეროვნული შემოსავლის", "ეროვნული პროდუქტის" დასხვა სახელწოდებებით. ყველაზე ხშირად კი ეკონომიკურ მდგომარეობას გამოხატავენ მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობით. ესაა ეკონომიკის სფეროში შექმნილი საერთო საქონელი და მომსახურეობა. მას ხშირად უწოდებენ "მთლიან შიდა პროდუქტს" (მშპ). მშპ-ის მოცულობის შემცირება, დეპრესიის მიმანიშნებელია, როდესაც ადგილი აქვს ქვეყნის ეკონომიკის მშპ-ს

გაზრდას, მაშინ დადებითი ტენდენციებით ხასიათდება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც, როგორიცაა უმუშევრობის დონე და ინფლაცია. საბოლოო სამში კი ადგილი აქვს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, რაც ამ მატერიალური წარმოების საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

მშპ-ის მოცულობის დროის სხვადასხვა პერიოდებში მერყეობით ხასიათდება და მარტო საქართველოსათვის, არამედ განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოებისათვისაც კი საერთოდ აღიარებულია, რომ მშპ-ის მოცულობის ზრდა 3 პროცენტიანია განაკვეთის არეშია წლიურად, ეკონომიკა ნორმალურად ფუნქციონირებს. რათამაუნდა არ იგულისხმება მშპ-ის მოცულობის რეალური და არა ნომინალური ცვლილება.

ხშირად ეკონომისტები ერთმანეთისგან განასხვავებენ "მთლიანი ეროვნული პროდუქტის" და "მთლიანი შიდა პროდუქტის" ქვეშ დამატებით გაითვალისწინება "საზღვარგარეთიდან სუფთა შემოსასვლელების"სიდიდე. აღნიშნული საგრძნობია იმ ქვეყნებისათვის, ვისაც ფართოდ მიმართავენ "კაპიტალის ექსპორტს. ასეთებს წარმოადგენდნენ განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოები და ის სახელმწიფოები, სადაც განლაგებულნი არიან მსხვილი მსოფლიო ბანაკები.ამ სახელმწიფოთა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაიტანონ კაპიტალი სხვა განვითარებად სახელმწიფოებში, განახორციელონ იქ ინვესტიციები ფინანსურად ან საგნობრივად და მიიღონ შემოსავლები, რომელთა სიდიდესაც მიაკუთვნებენ "საერთო ეროვნული პროდუქტის" მოცულობას, მაგრამ არა ეროვნულ შემოსავალს. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ ასეთი ოპერაციების განცხორციელება თითქმის არ ხდება, ამიტომ იგი კონკრეტული მსჯელობის დროს შეიძლება არც იქნას გათვალისწინებული.

ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისათვის პრაქტიკაში "მთლიანი შიდა პროდუქტის" მოცულობის ცნებებთან ერთად ფართოდ გამოიყენება "მთლიანი ეროვნული პროდუქტის: მაჩვენებელიც, რომელიც იგივე მთლიანი პროდუქტია, შემცირებული ამორტიზაციის სიდიდით ქვეყნის მასშტაბით. ამ მაჩვენებლის გამოყენება მიზანშეწონილია იმ მიმართულებით, რომ ამორტიზაციის სიდიდე წარმოადგენს ეკონომიკის ფაქტიურ აუნაზღაურებად დანაკარგებს და მისი გაანგარიშებებში გაუთვალისწინებლობამ შეიძლება რამდენადმე მცდარი დასკვნების გაკეთებისაკენ უბიძგოს მკვლევარს.

ჩვენს პრაქტიკაში ხშირად გამოყენებულ " ეროვნული შემოსავლის" ცნებაში იგულისმება "ეკონიმიკის ერთობლივი შემოსავალი, მიღებული წარმოების ფაქტორების მფლობელების: შრომის, კაპიტალის და მიწის მიერ". იმისათვის, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობიდან მივიღოთ ეროვნული შემოსავალი საჭიროა პირველ რიგში მშპ-ს გამოვაკლოთ ამორტიზაციის სიდიდე, მივიღებთ წმინდა შიდა პროდუქტს (მწპ). რამდენადაც ეროვნული შემოსავალი "შემოსავლის" მნიშვნელობისაგან გამომდინარე არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს დანახარჯებს, ამდენადაც " ამორტიზაცია" რომელიც მხოლოდ დანახარჯების კატეგორიას განეკუთვნება, არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნება "შემოსავალს". მას არ შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე გადასახადების ის სიდიდე, რომლებიც მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით ზრდის პროდუქციის ფასს, მაგრამ არა მისი საბაზრო მოთხოვნილებების შესაბამისად, არამედ მასზე სახელმწიფო აწესებს ფასის ზრდას. ასეთს მიეკუთვნებოდა ზოგიერთი სახის პროდუქციაზე დაწესებული აქციზი, მაგალითად, საქართველოს მაგალითზე ასეთებს წარმოადგენს იქციზი ნავთობპროდუქტებზე, სპირტიან სასმელებზე, სიგარეტის ნაწარმზე და ა.შ. ამ გზით გაზრდილი ღირებულება (ფასი) მიეკუთვნება მშპ-ს, მაგრამ არა "ეროვნულ შემოსავალს" ამდენად წშპ-ს აკლდება აღნიშნული გზით მიღებული შემოსავალი სახელმწიფო

ბიუჯეტისათვის და არა წარმოების ფაქტორები მფლობელებისათვის. მეორეს მხრივ ზოგიერთი სახის პროდუქციაზე შესაძლებელია დაწესდეს დოტაცია სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებით ეს ითქმის აუცილებელი მოთხოვნილების პროდუქციაზე, რომელთა წარმოების გადიდებით დაინტერესებულია სახელმწიფო. ყველა განვითარებულ სახელმწიფოში ასეთებს წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის პროდუქტი, საქართველოშიდაც არის მცდელობა დოტირებული იქნას ჩაის წარმოება, ამ შემთხვევაში "დოტაციის" სიდიდე ემატება წშპ-ის მოცულობას ეროვნული შემოსავლის სიდიდის მისაღებად.

თავის მხრივ ეროვნული შემოსავლის შემადგენლობა გამოისახება ბანკის პროცენტის და სარემონტო შემოსავლებით, მოგებით, დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებით, ზოგიერთი მკვლევარი ეროვნულ შემოსავალში გულისხმობს ე.წ "თვითდასაქმებულთა" შემოსავლებს, რომლებიც ერთობ გაუგებარი კატეგორიაა საქართველოს სინამდვილეში, ამიტომ ასეთი შემოსავლების არსებობას ვერ დავეთანხმებით.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში ,,უმუშევრობის ცნება უცხო იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის, ისე როგორც სოციალისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიკისათვის, ამიტომაც მარქსიზმი უმუშევრობას მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის უარყოფით მხარედ განიხილავდა. აქედან გამომდინარე, უმუშვერობა, როგორც ერთ ერთი ყველაზე ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი ჩვენს პრაქტიკაში თითქმის არ შეისწავლებოდა.

1. უცხოეთიდან წმინდა შემოსავლები მიღებული კაპიტალის ექსპორტით.
2. ბანკის პროცენტი და სარენტო შემოსავლები.
3. შრომის ანაზღაურების სიდიდე.

მარქსისტული ეკონომიკური თეორიის თანახმად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა გულისხმობს დამატებით მატერიალურ ფასეულობათა წარმოებას და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას, ასეთივე მიდგომა გააჩნია დღევანდელ პოზიციურ

ეკონომიკურ თეორიებსაც. ეკონომიკური სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე შეთავაზებული შრომის მაქსიმალურ გამოყენებას, საყოველთაო აღიარების შესაბამისად, მიჩნეულია ნაკლოვანებების შემცვლელად და ეს ნაკლოვანებები მათ მით უფრო ღრმაა, რაც უფრო მეტია შრომის გამოუყენებლობის დონე. საზოგადოებრივი პროდუქტის მიუღებელმა სიდიდემ, გამოწვეულმა უმუშევრობით, შეიძლება მიაღწიოს მრავალმილიარდიან ნიშნულს და უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამასთან ერთად შრომის შედეგად მიღებული შემოსავლები ესაა ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლები და განსაზღვრავენ მათივე სოციალური ცხოვრების დონეს. მოსახლეობა მიღებული შემოსავლებით ანუ დასაქმების შედეგად მიღებული შრომის ანაზღაურებით გადის სასაქონლო ბაზარზე და შეისყიდის წარმოებულ პროდუქციას, ამით თავის მხრივ სტიმული ეძლევა წარმოების პროცესს და მიმდინარეობს „წარმოება - გაცვლის“ განუწყვეტელი ციკლი, რაც უფრო დიდი მოცულობითი სიდიდით ხასიათდება ეს ციკლი მით უფრო განვითარებულია და გაძლიერებულის აღწარმოების პროცესი. [10]

ასევე დიდი მნიშვნელობას ანიჭებს უმუშევრობის ზრდის შედეგად მოსახლეობის დანახარჯებს გაწეულთ მათივე ცხოვრიბისეული ინტერესების დაუკმაყოფილებლობისათვის. ადამიანთა დიდი მასებისათვის თავმოყვარეობა, პატივი და ღირსება პირდაპირ უკავშირდება იმ საქმეს, რომლითაც ისინი დაკავებულნი არიან, ამიტომ მიხვდებიან რა, რომ მათ შრომას არ ითხოვს არცერთი მეწარმე ან თუნდაც სახელმწიფო, ადამიანებში ხდება ფსიქოლოგიური გადახრები, სტატისტიკით დამტკიცებულია, რომ განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებშიც კი, სადაც ეკონომიკური დეპრესიის დროსაც ნაკლებადაა შიში აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობისა, უმუშევრობის შედეგად, იზრდება დაშლილი ოჯახების რაოდენობა, რამდენადმე ხდება დანაშაულებათ გახშირება,

ადგილი აქვს დაავადებათა ზრდას, უმეტესად გამოწვეულს ნერვიული სისტემის მოშლილობით. აღნიშნულს საქართველოში ემატება თვითმკვლელობათა რიცხვის არნახული ზრდაც. აქედან გამომდინარე ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს და მისი ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის უმუშევრობის დონის შემცირებას.

მიუხედავად აღნიშნულისა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება უარყოფითად ახასიათებს სრული დასაქმების საჭიროებასაც. ეკონომიკური ეფექტიანობის და საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე უპრიანად მიიჩნევა უმუშვერობის ისეთი დონის შენარჩუნება, რაც განაპირობებს ეკონომიკურ წონასწორობას, ანუ მოთხოვნა - მიწოდების დაბალანსებას. უმუშევრობის გარკვეული დონის შენარჩუნება ერთის მხრივ ზრდის დაინტერესებას მოსახლეობის მხრიდან განათლების და კვალიფიკაციის დონის ამაღლებისადმი და მეორე მხრივ ასტიმულირებს მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესიის მოთხოვნათა შესაბამისად ახალი პროფესიების შესწავლა - ათვისებისადმი ინტერესს.

უმუშვრობის ნორმის განსაზღვრისას მას გარკვეულ ინტერვალში აქცევენ, რათა ეკონომიკური კვლევებისას მაქსიმალურად შეამცირონ გადაცდომათა სიდიდე. აშშ- ში მიჩნეულია, რომ უმუშევრობის ნორმა თავსდება 4-დან 6,5 პროცენტამდე ინტერვალში და მისგან ყოველგვარი გადახრა, ანუ უმუშევრობის შემცირება 4 პროცენტზე ნაკლებ და მისი გაზრდა 6,5 პროცენტზე ზევით ანომალურ გადახრად ჩაითვლება. ევროპის ინდუსტრიულ სახელმწიფოებში უმუშევრობის ნორმის მაქსიმალური სიდიდე რამდენამდე გაზრდილია, მაგრამ იგი არ არემატება 7 პროცენტს, ეს უკანასკნელი განპირობებულია ევროპის ქვეყნებში უმუშევრობის დონის რამდენამდე მაღალი მაჩვენებლით, ვიდრე აშშ-სა და იაპონიაში. ევროპის სახელმწიფოებში უმუშევრობის შედარებით მაღალ მაჩვენებელს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან ერთ-ერთ უპირველესია დადგენილი მინიმალური შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი სიდიდე, ვიდრე აშშ-სა და იაპონიაში.

უმუშევრობის ნორმა შრომის ბაზრის სიტუაციის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია, მაგრამ მარტო ამით საერთო ეკონომიკური სიტუაციის დახასიათება შეუძლებელია, რადგან უმუშევრობის ნორმა მხოლოდ დაუსაქმებელთა თანაფარდობას გამოასხავს შრომის მაძიებელთა რიცხოვნებასთან. თანაფარდობაში, ამიტომ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ე.წ. „დასაქმების დონის კოეფიციენტი“ იგი არის ფარდობა მომუშავეთა რიცხვისა მოსახლეობის საერთო რიცხოვნებასთან. ამ მაჩვენებლის გამოყენებას შეუძლია წარმატებით აუაროს გვერდი ისეთ სტატისტიკურ გადაცდომებს, რომლებიც შრომის ბირჟათა აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობაში ანდა მისდამი მოახლეობის უნდობლობაში გამოიხატება.

ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში როგორც წესი ადგილი აქვს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მაგრამ ხშირად უმუშევრობის ნორმის სიდიდე უცვლელია, ანდა იცვლება არასაკმარისი კორელაციურობით. ეს გამოწვეულია რიგი ფაქტორების ზემოქმედებით რომელთა ნაწილი ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. ამ ნაკლოვანებებს შეიძლება გვერდი ავუაროთ დასაქმების დონის კოეფიციენტის გამოყენებით, რამდენადაც დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნებაზე სტატისტიკურ მონაცემთა მოძიება უფრო საიმედოა, ვიდრე უმუშევართა რიცხვის განსაზღვრა. ასევე ყველა ქვეყნის სტატისტიკური ორგანოები, დემოგრაფიული საზოგადოებები და სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული სამსახურები სისტემატიურად აქვეყნებენ მონაცემებს ქვეყნის მოსახლეობის და მისი დემოგრაფიული შემადგენლობის შესახებ, ხოლო პერიოდულად ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერა კიდევ უფრო ზუსტ მონაცემებს იძლევა. ინდუსტრიულ სახელმწიფოთა ეკონომიკა ბოლო ორი ათეული წელია განვითარების მაღალი ტემპებით ხასიათდებიან და შესაბამისად იზრდება დასაქმების დონის კოეფიციენტის მნიშვნელობებიც. იგი დღეისათვის 59 - დან 62 პროცენტამდე ინტერვალში მერყეობს. [11]

უმუშევრობის საკითხის განხილვისას განასხვავებენ ფუნქციონალურ და სტრუქტურულ უმუშევრობას, ხოლო ამ ორივე სახის უმუშევრობის ნორმათა ჯამს ლიტერატურაში უწოდებენ უმუშევრობის ბუნებრივ ნორმას. ეკონომიკური ციკლის სხვადასხვა დროის მომენტებში ფაქტიურ უმუშევრობას ხშირად უწოდებენ „ციკლურ უმუშევრობასაც“.

შემდეგ ძირითად მაკრო ეკონომიკურ მაჩვენებელს, რომლის გამოყენებასაც არ შეიძლება გვერდი აევლოს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის დახასიათებისათვის წარმოადგენს ინფლაცია. იგი ლათინური წარმოშვების სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით „გაბერვას“, „უზომოდ გადიდებას“ აღნიშნავს. ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში კი შინაარსობრივად „ფასების გაბერვას“, „ფასების არნახულ გაზრდას“ აღნიშნავს. მარქსიზმი ინფლაციის ქვეშ გულისხმობდა „კაპიტალიზმის“ დროის ფულით უზრუნველყოფის პროცესს, გამოვლინებადს ნაწარმსა და მომსახურეობაზე ფასების არათანაბარ ზრდაში, რაც იწვევს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას მშრომელთა ძირითადი მასის საზიანოდ და ზოციალურ დიფერენციაციას. თუმცა კაპიტალიზმთან ერთად ინფლაციური პროცესების არნახული გაქანებით ხასიათდებოდა სოციალისტური სისტემაც.

ინფლაციური პროცესების გავლენით 1918-1924 წლებში სამჯერ განხორციელდა ფულის რეფორმა - შეიცვალა მოქმედი ფულადი ნიშნებიც და მათი ნომინალური მნიშვნელობებიც. ასევე მოხდა 1947, 1961, 1989 წლებშიც. მსგავსი პროცესები ვითარდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წარმოქმნილ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც.

1985 წლიდან დაწყებული ე.წ. „გარდაქმნას“ თან მოჰყვა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის ინფლაციის, მანეთის გაუფასურების ტემპი 8,4 პროცენტის ტოლი იყო. 1989 წელს წინა ათწლიან პერიოდთან შედარებით ფულის ემისიამ მაშინდელ სსრკ-

ში 3-ჯერ იმატა. უარესი მდგომარეობით ხასიათდებოდა საქართველო. მიუხედავად ამისა მე-12 საუკუნის ხუთწლედში საქართველოში ფულადი შემსოავლები დანახარჯებზე გაცილებით დიდი მეტობით იგეგმებოდა. თუ 1985 წელს საქართველოში ფულად შემოსავლებმა მხოლოდ 773 მილიონი მანეთი შეადგინა (მხოლოდ ხელფასის სახით), 1990 წელს იგი უკვე 2,6 მილიარდამდე ავიდა. მომდევნო წლებიდან კი განვითარდა ჰიპერინფლაცია.

ინფლაციის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა, ხოლო თვითონ ინფლაცია მაკროეკონომიკურ დონეზე გვევლინება, როგორც შეუსაბამო ერთობლივ მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის. ასეთი შეუსაბამობა არღვევს მათ შორის ღირებულებით ბალანსს. [12]

ინფლაციური პროცესების შეფასების სხვადასხვა მიდგომაა ეკონომიკურ ლიტერატურაში. კეინსიალიზმი ინფლაციას, როგორი ტემპითაც არუნდა ხასიათდებოდეს იგი, ერთმნიშვნელოვნად განიხილავს ეკონომიკის უარყოფით მოვლენად და მოუწოდებს შესაბამის სახელმწიფო რეგულირების ორგანოებს მისი მინიმუმამდე შემცირებისაკენ. ასეთი შეხედულების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო პირველ რიგში დიდი დეპრესიის პერიოდში ინფლაციური პროცესების არსებობამ.

საპირისპიროს ამტკიცებს მონეტარისტული თეორია. მათი შეხედულებით ინფლაციის არსებობა არა მარტო გარდაუვალი, არამედ აუცილებელი და სასურველია ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მონეტარისტები ინფლაციის გარკვეულ ზომასთან აკავშირებენ ეკონომიკის აღმავლობას. გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების გაზრდას და უმუშევრობის შემცირებას. მსგავსი პოზიცია უკავია „ახალი ეკონომიკური სკოლის“ წარმომადგენლებსაც.

ინფლაცია საყოველთაოდ აღიარებულია უარყოფით ეკონომიკურ მოვლენად. თუმცა მას პრაქტიკაში დაშვებას გვერდს ვერ უვლის

ვერცერთი სახელმწიფო, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოზიციებიდან გამომდინარე. მკაცრი ფულად - საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, რამდენადაც მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა და კრიზისული სიტუაციების წარმოშვება. არაიშვიათად კი ეკონომიკური კრიზისიც აღნიშნულ იმფლაციური პროცესებიდან ყველაზე მეტად საშიშს, ახალი ეკონომიკური სკოლის წარმოამადგენლები, მიიჩნევენ ინფლაციას გამოწვეულს მოთხოვნილების მოცულობის შემცირებით, რასაც შედეგად მოჰყვება წარმოების მოცულობის დაცემაც, თუ არ იქნა განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები მოთხოვნილების გაზრდის მიმართულებით. ამ მხრივ ძირითადი სამოქმედო სფეროა სახელმწიფო კონტროლის ხელფასებსა და ფასებზე. პირველი მიღწევა ხელფასის მინიმალური დონის დაწესებით და მათი ინფლაციის შესაბამისი ინდექსაციით, ხოლო ფასებზე კონტროლი შესაძლებელია სახელმწიფო შეკვეთების განხორციელებით. ასეთი შეკვეთების ეფექტი გაცილებით დიდია, ვიდრე გაწეული დანახარჯები. ეფექტის ამ სახის მულტიპლიკაციურ ეფექტს უწოდებენ. ეკონომისტებს შორის ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი მოსაზრება ფასებისა და ხელფასის სახელმწიფო კონტროლის დონის შესახებ. ხშირია შემთხვევები როცა ფასებზე ადმინისტრაციული შეზღუდვა უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ამიტომაც უფრო ეფექტურად მიიჩნევდა ფასებზე ზემოქმედება სახელმწიფო შეკვეთების მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ იწვევს ინფლაციიის აუცილებელ განვითარებას.

ინფლაციური პროცესების სოციალური დატვირთვის შესუსტების მიზნით ყველა ინდუსტრიულად განვითრარებულ სახელმწიფოებში მიმართავენ ხელფასების, პინსიონერების, გადასახადების, სასესხო ვალდებულებების და პროცენტული განაკვეთების სარგებელთა ინდექსაციას ინფლაციის შესაბამისად, ანუ ისინი არამგრძნობიარეა ინფლაციის დონის მიმართ. უკანასკენ პერიოდში ინდექსაციაზე უარი

არ უთქვამს ბრაზილიასაც კი, სადაც ინფლაცია სამნიშნაა რიცხვებით გამოიხატებოდა. მონეტარისტების თეორიის თანახმად ინდექსაცია იძლევა საშუალებას შემცირდეს ინფლაცია გამოწვეული მოთხოვნილების შემცირებით და უზრუნველყოფს ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას.

განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ინფლაციის ტემპები სხვადასხვაა დროის მონაკვეთებისაგან დამოკიდებულებით. გასული საუკუნის 70 - იანი წლებში ინფლაცია ევროპასა და აშშ 10 პროცენტს აღემატებოდა და გამოწვეული იყო ნავთობზე ფასების გაზრდით, ე.ი. მოხდა ინფლაციის ინსპირაცია დანახარჯების გადიდებით. ბუნებრივია დღის წესრიგში დადგა ღონისძიებათა გატარება ინფლაციის ტემპის შემცირებისათვის, რომლის ერთ-ერთი წინააღმდეგი გამოვიდა ამერიკელი მეცნიერი არტურ ოუკენი. მისი გაანგარიშებით მკაცრი - ფულად საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც თუნდაც ერთი პროცენტით შეამცირებს ინფლაციის ტემპს, გამოიწვევს წარმოების და მომსახურეობის ათ პროცენტიან შემცირებას, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა ეკონომიკური ვარდნა. ამავე დროის მისივე გაანგარიშებით უმუშევრობა 10 – 11 პროცენტამდე გაიზრდებოდა. მიუხედავად ასეთი შეხედულების პრაქტიკაში მაინც განახორციელეს მკაცრი ფულად - საკრედიტო პოლიტიკა, რასაც თან დაერთო ნავთობზე ფასების შემცირება და გადასახადთა განაკვეთების შერბილება. შედეგად ინფლაციის ტემპი 80-იანი წლებისათვის დაეცა 3-4 % მდე, რამდენადმე გაიზარდა უმუშვერობა და შემცირდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა, მაგრამ დროის მოკლე - სამ-ოთხ წლიანი პერიოდისათვის ეს მაცვენებლები თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა. აქედან ამის დასკვნა ეიძლება გაკეთდეს, რომ ინფლაცია ეკონომიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად აუცილებელიც კია, მაგრამ მისი ტემპები ჰიპერინფლაციაში არუნდა გადაიზარდოს. წინააღმდეგ

შემთავევაში ინფლაციით მიღებული შედეგები გაცილებით ჩამორცება იმ უარყოფით მოვლენებს, რომელსაც ჰიპერინფლაცია იწვევს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა ინფლაციის ტემპების მიზანშეწონილების შესახებ „ფილიპსის მრუდმა“ რომელიც მიღებულია ფაქტიურ მონაცემთა ანალიზით და აწესებს დამოკიდებულებას ინფლაციის ტემპებსა და უმუშევრობის დონეს შორის. ამ შეხედულების თანახმად მისაღებ ინტერვალში ინფლაციის ტემპის გადიდებით შესაძლებელია უმუშევრობის შემცირება. მეორეს მხრივ ფართოდაა აღიარებული ოუკენის კანონი, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის შემცირება პირდაპირპროპორციულ (ორჯერად) დამოკიდებულებაშია მშპ-ის მოცულობასთან თუ ამ ორივე შეხედულებას ერთმანეთს დავუკავშირებთ გამოდის, რომ ინფლაციის ტემპის შენარჩუნება იმ ზონეზე, რომელიც განაპირობებს მშპ-ის მუნებრივ მატებას დღეს აღიარებული ტემპის შესაბამისად და უმუშევრობის ბუნებრივი სიდიდის შენარჩუნებად, აუცილებელია ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

პრობლემა მხოლოდ იმაშია, თუ რა საზღვრებშია დასაშვები ინფლაციის ტემპები, ბუნებრივია ინფლაცია არ უნდა ატარებდეს ჰიპერინფლაციის ნიშნებს, იგი იშვიათად უნდა უახლოვდებოდეს ორნიშნა რიცხობრივ მახასიათებლებს, ხოლო კერძო სიტუაციებიდან გამომდინარე ინფლაციის ტემპი საჭიროა ისე შეირჩეს, რომ გარანტირებული იქნას ეკონომიკური წონასწორობა. დღეისათვის არსებული მდგომარეობიდან და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე ინფლაციის ბუნებრივი სიდიდედ შეიძლება ვაღიაროთ 3-4 პროცენტი წელიწადში. [13]

ინფლაციის ბუნებრივი სიდიდის მიღწევა ძალიან ძნელია იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა ვალუტაც მიბმულია, რომელიმე უცხო სახელმწიფოს მსოფლიოში აღიარებულ ვალუტასთან, როგორც ესაა დღეს საქართველოში. ამ შემთხვევაში ინფლაციის დადებითი

გავლენა ეკონომიკაზე მინიმალურია, რასაც უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში შევეხებით.



ნახ. 2. ფილიპსის მრუდი

ჩატარებული მსჯელობით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი ძირითადად აისახება ისეთი მაკროეკონომიკური მახასიათებლების ბუნებრივ დონესთან შედარებით როგორიცაა: წარმოებული პროდუქციის და მომსახურეობის მოცულობა მშპ და ეროვნული შემოსავალი: უმუშევრობის დონე და ინფლაცია.

2.2 საკრედიტო დაფინანსების მნიშვნელობის კვლევა საქართველოს მრეწველობაში

იმ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში ეროვნული ეკონომიკის და მრეწველობის აღორძინებაზე უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა: 1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა; 2. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; 3. მოსახლეობის რაციონალური დასაქმება; 4. ოპტიმალური საგადასახადო ბალანსის ფორმირება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მტავარი ამონაცნა უნდა იყოს ისეთი ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის ისეთი შესაბამისი მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის მოძრაობის ოპტიმალურ დინამიკას, რომლის საშუალებიტაც შესაძლებელი იქნება როგორც ინფლაციური პროცესების შეცერება, ასევე წარმოების განვითარების სტიმულირება. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია მოქნილი ბანკტაშორისი დაკრედიტების განვითარება, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება და საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვა.

ეკონომიკური კრიზისები შეიძლება მოიცავდეს მსოფლიო ეკონომიკის ძირითად განმსაზღვრელ სახელმწიფოებს, ქვეყნების ჯგუფს ან რომელიმე ცალკე არებულ სახელმწიფოს. ამის გარდა ქვეყნის შიგნითაც შესაძლებელია ეკონომიკური კრიზისი შეეხოს არა მთელ მატერიალურ წარმოებას, არამედ მის რომელიმე გამოვლინებას. აქედან გამომდინარე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კრიზისების მათი გამოვლენის სფეროს და მასშტაბის მიხედვით.

მარქსისტულ ეკონომიკურ ლიტერატურაში კრიზისების ორ სახეობად წარმოჩენა იყო მიღებული. ამის მიხედვით განასხვავებენ ზოგად კრიზისებს, რომელიც მოიცავდა მთელი მსოფლიოს

ეკონომიკას და კერძო კრიზისებს, რომელშიდაც გულისხმობდნენ ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკის კრიზისებს. „ზოგადი კრიზისებისაგან განირჩება კერძო კრიზისები პირველად იმით, რომ უფრო კერძო ხასიათის მიზეზებისაგან წარმოდგება და მეორე შედარებით ნაკლები ზომისაა: ეს კერძო კრიზისები ხან მთელ მხარეებს ედება, ხან კი საზოგადოებრივი მეურნეობის ზოგიერთ დარგებს, ამ განსაზღვრულ სფეროს მისი გავლენა ძლიერ ნაკლებად ემჩნევა. მაგრამ ასეთი მოკლე კრიზისებიც ხშირად მეტის-მეტად ძლიერია და თავისი მოქმედების ინტენსივობით ნამდვილად საყოველთაო მსოფლიო კრიზისებს არ ჩამოუვარდება“. აღნიშნავდა მარქსიზმის ერთ-ერთი პირველი მეცნიერ - ეკონომისტი ა. ბოგდანოვი.

კერძო კრიზისების მიზეზად მიიჩნევა ომები, რევოლუცია, მოუსავლიანობა და სხვა მსგავსი მოვლენები. თუ ამ კუთხით მივუდგებით კრიზისების სტრუქტურიზაციას, მაშინ არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ პოსტსოციალურ სისტემაშიც განვითარებული წარმოების დაცემის სიმპტომები, კერძო ეკონომიკურ კრიზისის გამოვლინება ყოფილა.

ეკონომიკური კრიზისები თავისი გავრცელების მასშტაბებით ზოგჯერ მართლაც არნახულია. ასეთს მიეკუთვენბა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების „დიდი დეპრესია“, რომელმაც მაშინდელი განვითარებული მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო მოიცვა. რათქმაუნდა ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კრიზისი თავისი მოქმედების მნიშვნელობით გლობალურია.

სიტყვა „გლობალური“ ფრანგულია და საყოველთაოს ნიშნავს, იგი წარმოშვებულია ლათუნური გლობუსისაგან (GLOBUS) და ორი მნიშვნელობით იხმარება: 1) მთელი დედამიწის მომცველობა, საყოველთაო და 2) მრავალმხრივი, სრული, უნივერსალური. სიტყვის შინაარსის ასეთი გაგებიდან გამომდინარე მსოფლიო კრიზისები გლობალურს მიეკუთვნება.

გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებს მიეკუთვნება კრიზისები გამოწვეული პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად. ომების დამთავრებისთანავე წაგებულ სახელმწიფოებში აუცილებლად ვითარდებოდა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისები. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ კრიზისები განვითარდა ანტანტის წევრ წვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც. აღნიშნული კრიზისი უპირველესად დაიწყო ჰიპერინფლაციით, რაც გამოიწვია მოკავშირეების მიერ რეპარაციული გადასახადის მოთხოვნამ 132 მილიარდი ოქროს მარკის ოდენობით. ეს უზარმაზარი თანხა იყო, დაახლოებით ორი ათას ტონა ოქროს უდრიდა. ამ თანხის შეგროვება ვაიმარის რესპუბლიკას არ შეეძლო გადასახადის გადამხდელებისაგან, ამიტომ ჰქონდა რა მას ბიუჯეტში უზარმაზარი დეფიციტი, მთავრობამ განახორციელა არნახული ემისია. ჰიპერინფლაციამ 1992 წელს 5470 პროცენტამდე მიაღწიეს, ხოლო მომდევნო ორ წელიწადში ინფლაციის ტემპის გაზომვაც კი შეუძლებელი შეიქმნა. ამან გამოიწვია წარმოების და მომსახურეობის არნახული დაცემა. უმუშევრობის რამდენჯერმე გადიდება. ერთი სიტყვით ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომლის აღმოფხვრაც 1925 წლიდან დაიწყო, ასეთივე პროცესები განვითარდა გერმანიის მოკავშირე სხვა ქვეყნებშიც.

მსგავს პროცესებს ჰქონდა ადგილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც, მაგალითისათვის უნგრეთიც გამოდგება, სადაც ინფლაციამ 1946 წელს გადალახა ყველა მანამდე ცნობილი რეკორდი და ერთი ფორინტის ღირებულება ომამდელზე 829 ოქტილიონით (829,10(22)) დაეცა. ანუ სრულად გაუფასურდა. 1947 წელს იაპონელი მეთევზეები და ფერმერები სასწორებით სარგებლობდნენ ხურდის ასაქონად დათვლა რომ გაეადვილებინათ. ბუნებრივია ასეთი ინფლაცია ღრმა ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული, მაგრამ ასეთი კრიზისების აღმოფხვრის დროის პერიოდი არცთუ ისე დიდი ხნით გაგრძელდა.

ანალოგიური პროცესები განვითარდა 1918-1921 წელს დამოუკიდებელ საქართველოშიც. მთავრობამ შემოიღო დამოუკიდებელი ფულის ერთეული - ბონი, რომლის ყველაზე უმსხვილესი ასიგნაცია მილიონიანი იყო. მას პერსონალური ხელმოწერები ამშვენებდა მაშინდელი მთავრობის მეთაურის ნ. რამიშვილის და ა. კანდელაკის. მთავრობას ვერ წარმოედგინა შემოღებული ფულის სწრაფი გაუფასურება, მაგრამ შემოღებისას უზარმაზარი ნომინალური მნიშვნელობის „მილიონიანი“ ასიგნაციის ღირებულება იმდენად დაეცა 1921 წლისათვის, რომ ამ თანხით ორი ცალი პურის შეძენად კი არ შეიძლებოდა. მსგავს ჰიპერინფლაციას ჰქონდა ადგილი 1917 წლის რევოლუციის შემდგომ რუსეთშიდაც.

გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებს უნდა მივაკუთვნოთ, კრიზისები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარდა. კრიზისის გავლენიდან თავი ვერ დაიცვა საბჭოთა კავშირის დაშლით წარმოშვებულმა ვერც ერთმა სახელმწიფომ, ოღონდ მისი გავრცელების სიღრმე სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის. უპირველესად კრიზისის დამანგრეველ გავლენას თავი დააღწია ბალტიის ქყვეყნებმა და ისინი ბოლო რამდენიმე წელია აღმავლობის გზას დაადგნენ. რიგი სახელმწიფოები, მათ შორის ისეთი უდიდესი სახელმწიფოები - როგორებიცაა რუსეთი და უკრაინა კრიზისის დაძლევის გზაზე არიან, თუმცა აქ კრიზისის სიღრმისეული გამოვლენა არც თუ ისეთი მკაცრი იყო. რაც შეეხებ ჩვენს ქვეყანას იგი იმ სახელმწიფოთა რიგში აღმოჩნდა, რომლებიც ჯერ კიდევ კრიზისულ მოვლენებს ავითარებს და მისი დამანგრეველი გავლენა გაუმართლებლად ჭიანურდება.

გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს საჭიროა მივაკუთვნოთ კრიზისი განვითარებული სახელმწიფო ეკონომიკის მთელ სფეროზეც. ასეთი მიკუთვნება გამართლებულია იმით, რომ ცალკეული

სახელმწიფოებისათვის და მისი მოსახლეობისათვის ყველა დონეზე კრიზისი დამანგრეველ გავლენას ახდენს და უმნიშვნელოვანესია.

ზემოთქმული იძლევა საშუალებას მივიჩნიოთ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებში მსოფლიოს სახელმწიფოთა ჯგუფის და ცალკეულ სახელმწიფოთა მთელი ეკონომიკის კრიზისები. ამ კრიზისების რაოდენობრივი დახასიათებისათვის უპირველეს ყოვლისა ზემოთ დახასიათებული მაჩვენებლების - წარმოების მოცულობის უმუშვერობის და ინფლაციის - გამოყენებაა შესაძლებელი.

გლობალური ეკონომიკური კრიზისებისაგან საჭირო განვასხვაოთ დარგობრივი ეკონომიკური კრიზისები. როგორც სახელწოდება მიუთითებს ასეთი სახის კრიზისი ვითარდება არა მთლიანად ეკონომიკაში, არამედ მის რომელიმე დარგში. ამავე დროს შეუძლებელია დარგში მომდინარე კრიზისმა გავლენა არ იქონიოს მომიჯნავე დარგსა და მთლიანად ეკონომიკაზე. მაგრამ აღნიშნული „გავლენის“ უაროფითი მახასიათებლები გაცილებით მცირეა, ვიდრე იმ დარგში, სადაც კრიზისი ვითარდება. [14]

დარგობრივი კრიზისები, გლობალურისაგან, გარდა განვითარების ექსტენსიური მასშტაბურობისა სხვა ნიშან-თვისებებით განსხვავდება, პირველ რიგში იმით, რომ დარგობრივი კრიზისი განვითარების სიღრმისეულობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გლობალურისა, ამის საშუალებას არ იძლევა დარგობრივი კრიზისის სივრცეში შემოსაზღვრულობა. ამასთან ერთად დარგობრივი კრიზისი მოქმედების დროის პერიოდის უფრო ნაკლები ხანგრძლივობითაც გამოირჩევა გლობალურისაგან, ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ დარგობრივი კრიზისი გლობალურში გადაიზრდება.

სახელმწიფოების ეკონომიკას ყოფენ ისეთ მსხვილ კომპლექსურ დარგებად, როგორებიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მშენებლობა და ვაჭრობა, რომლებიც შემდგომი დიფერენციაციით უამრავ დარგად იყოფა. დარგობრივი

კრიზისი შეიძლება შეეხოს ნებისმიერ დარგს ან მათ შორის რამდენიმეს, ხოლო გამომწვევ მიზეზთაგან უპირველესი შეიძლება იყოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუარესება, ბუნებრივ - კლიმატურიპირობები (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისათვის), სიმდიდრეთა შემოსაზღვრულობა, არასათანადო მმართველობა და ა.შ.

დარგობრივი კრიზისის მაგალითია გასული საუკუნის 70-იან წლებში განვითარებული ენერგეტუკული კრიზისი. როგორც სახელწოდება მიუთითებს აღნიშნული კრიზისის ენერგეტიკას შეეხებოდა. მისი ძირითადი მახასიათებელი ის იყო, რომ აღნიშნული დარგობრივი კრიზისი ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით კი არ განვითარდა, არამედ, მსოფლიოს განვიტარებული სახელმწიფოების უმეტესობას მოედო. ენერგეტიკული კრიზისი დაიწყო ნავთობპროდუქტებზე ფასების გადიდებით, რასაც პერმანენტულად მოჰყვა ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე, პირველ რიგში ელექტროენერგიაზე, ფასების ზრდა. მართალია ენერგეტიკულმა კრიზისმა გავლენა იქონია ეკონომიკის სხვა დარგებში პროდუქციის ფასის გაზრდაზე, მაგრამ კრიზისის დროის ხანგრძლივ პერიოდში თითქმის ათწლიანი - მოქმედებისა, იგი ვერ გადაიზარდა გლობალურ კრიზისში.

ენერგეტიკულმა კრიზისმა რათქმაუნდა უარყოფითი გავლენა იქონია იმ სახელმწიფოთა ეკონომიკაზე, სადაც ისინი განვითარდა, ხოლო იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ენერგომატარებლების მწარმოებლებად გვევლინებიან, პირიქით, ფასების ზრდამ ხელი შეუწყო მათი ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას.

დარგობრივი ეკონომიკური კრიზისების დახასიათებისათვის პრაქტიკაში გამოყენებას პოულობს იმ მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც დარგის საერთო ეკონომიკური დახასიათებისათვის გამოიყენება, ამათგან უპირველესი დარგში წარმატებული პროდუქციის და გაწეული მომსახურეობის რაოდენობაა. დინამიკაშ პროდუქციის

მოცულობის ანალიზი ახასიატებს ამ დარგის განვითრების ან პირიქით - რეგრესიულობის დონეს. დარგის ფუნქსიონირების მასშტაბებზე უპირველესად გავლენას ახდენს მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესიის მიღწევები. მეცნიერული აღმოცენებით და მის საფუძველზე მიღწეული პრაქტიკული გადაწყვეტით შესაძლებელია დარგის მიერ შექმნილი ღირებულებების მოცულობის ბუნებრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში დარგში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნების სემცირება შესაბამისად წარმოების მოცულობასაც შეამცირებს, რაც რათქმაუნდა დარგობრივი კრიზისის მანიშნებელია, თუმცა ამ შემთხვევაში იმდენად დიდია კრიზისის ბუნებრიობა, რომ მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე მინიმალურია.

უფრო ხშირად კრიზისული დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირება გამოწვეულია არა მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესიით, არამედ დარგში ეფექტიანობის დონის შემცირებით. დარგის მიერ გამოშცებული პროდუქციის რენტაბელობის დონე დონე თუ ჩამორჩება სხვა დარგებში რენტაბელობის დონეს, მაშინ უპირველესად ხდება ინვესტიციების რაოდენობის შემცირება მოცემულ დარგში ამ ინვესტიციების სხვა დარგებში გადადინების გზით, რაც სერიოზულ სემაფერხებელ გარემოებად ყალიბდება და მოიტხოვება საგანგებო ღონისძიებათა გატარება უარყოფითი ტენდენციების შესაცვლელად.

საერთო ეკონომიკური კრიზისის ფინზე შესაზლებელია და პრაქტიკაში ასედაც ხდება, რომ ცალკეული დარგები წარმოების დაცემის სხვადასხვა ტემპებით ხასიათდებიან. ეკონომიკური კრიზისი დარგებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით ეხება. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია გლობალურ კრიზისთან მიმართებაში გამოიკვეთოს დარგობრივი კრიზისი, არა როგორც ცალკე აღებული და იზოლირებული გლობალურისაგან, არამედ მისი თანმდევი და პარალელური. ამ შემთხვევაში დარგობრივი კრიზისის

დახასიათებისათვის, უპირველესად მოცემული დარგის სტრუქტურული მაჩვენებლები გამოიყენება, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის და შესრულებული სამუშაოების მოცულობის ხვერდითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში ან ეროვნულ შემოსავალში. პროდუქციის მოცულობასთან ერთად სეიძლება გამოყენებული იქნას მომუშავეთა რიცხოვნების და გამოყენებული ძირითადი ფონდების ხვედრი მაჩვენებლები.

გლობალური და დარგობრივი ეკონომიკური კრიზისების დახასიათებისას ცალკე უნდა შევეხოთ ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა ინფლაცია. გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს თითქმის ყოველთვის თან ახლავს ინფლაცია, რომლის ჰიპერინფალაციაში გადაზრდის დიდი შანსი არსებობს. თუ ადგილი აქვს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს და ვიტარდება მხოლოდ დარგობრივი კრიზისი, მაშინ უფრო ხშირად ადგილი აქვს ამ დარგის პროდუქციას ინფლაციის საპირისპირო პროცესს - დეფლაციას. ასეთ შემთხვავაში დარგობრივი კრიზისი უმეტესწილად ამ დარგის პროდუქციაზე მოთხოვნილების სესუსტება ითვალისწინებს, შესაბამისად მწარმოებლები იძულებულნი ხდებიან შეამცირონ ფასები თავიანთ პროდუქციაზე, ესემა რენტაბელობა და ეფექტიანობა, რაც დროის ხანგრძლივ პერიოდში გაგრძელების შემთხვევაში, ამცირებს მოცემულ დარგში ინვესტიციებს, იკვეცება წარმოება, გამონთავისუფლდებიან მომუშავებეები და ვითარდება დარგობრივი კრიზისი. [15]

სახელმწიფოთა ეკონომიკის განვიტარების ისტორია უჩვენებს, რომ დარგობრივი კრიზისი უფრო ხშირად ვიტარდება გლობალური კრიზისების ფონზე. რათქმაუნდა გლობალური კრიზისი თავის თავში გულისხმობს დარგობრივ კრიზისსაც და იშვიათია დარგი, რომელიც არ დაემორჩილება გლობალური კრიზისის განვითარებას, მაგრამ მიუხედავად ამისა დარგობრივი კრიზისი შეიძლება განვითარდეს

უფრო ღრმად, ვიდრე საერთოდ გლობალური კრიზისი, როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოს ეკონომიკის და მრეწველობის მაგალითზე. გლობალური კრიზისის ფონზე განვითარებული დარგობრივი კრიზისის სიღრმისეული პარამეტრებია ამ დარგში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირების შედარებითი სიდიდეები მშპ-ის ვარდნის მოცულობასთან. ასევე მომუშავეთა რიცხოვნების კლების შედარებითი მაჩვენებლები და გამოუყენებელი საწარმოო საშუალებები. ამ და სხვა მაჩვენებლების გამოყენებით ნაშრომის მეორე თავში დახასიათებულია საქართველოს მრეწველობის კრიზისი, როგორც საქართველოს საერთო გლობალური კრიზისის შემადგენელი მისი უფრო სიღრმისეული განვითარების მიხედვით.

2.3 საბანკო-საპროცენტო განაკვეთები და მრეწველობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

საქართველოს ეკონომიკური წინსვლა დაბოლო პერიოდში მიღებული სარგებელი საკმაოდ საგულისხმოა ფაქტორია ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაში. ეკონომიკამ განსაკუთრებული სარგებელი მიიღო ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების სრული პაკეტების შედეგად. თუმცა ლიბერალურ-ეკონომიკური მოდელის გარკვეულმა ნაკლმა თავი ბოლო დროს იჩინა. ახალმა მთავრობამ საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერის შედეგად მიიღო დრო და შესაძლებლობა გამოასწოროს საქართველოს განვითარების მიმდინარე მოდელის ხარვეზები, ამასთან შეინარჩუნოს ქვეყნის განუხრელი და მყარი განვითარების გზა. გარდამავალი პერიოდის დარჩენილი ძირითადი გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელია

ᲭᲑᲦᲓ-ის დაფინანსებითა და სტრატეგიასთან დაკავშირებული რჩევებით, რაც მოიცავს:

1. ეკონომიკაში კერძო ინვესტიციის დაბალი დონეა - კრიზისის დროს კერძო ინვესტიციები შემცირდა დაახლოებით მშპ-ის 8%-ით. უნდა გაფართოვდეს მთავრობის წალისხმევა წაახალისოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ინვესტორებისა და სექტორების უფრო დივერსიფიცირებული სპექტრის მოსაცველად. კერძო დაფინანსების განვითარება ხელს შეუწყობს ინვესტიციებს ასევე კაპიტალის ადგილობრივი ბაზრების განვიტარებას.

2. განახლებადი ენერგიის სექტორის გამოუყენებელი პოტენციალი - ქვეყნის ენერგეტიკულმა სექტორმა გარდამავალ პერიოდში განიცადა ფაქტობრივი კოლაფსი, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში დაექვემდებარა მნიშვნელოვან გარდაქმნას, ჰიდროენერგიის მოცულობების აღდგენით და გადამცემი ქსელების შექმნით, მაგრამ საქართველოს ინტეგრაცია რეგიონალ ენერგო ბაზარში არასრული რჩება.

3. შეზღუდული ინტეგრაცია წარმოების რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებსა და ღირებულებით ჯაჭვში - რეგიონალური ექსპანსია ხელს შეუწყობს ევროპული, რუსული და სხვა მეზობელი ბაზრების მეტ ხელმისაწვდომობას, რაცუფრო ფართომასშტაბიან ინვესტიციებს მოიზიდავს. საქართველოს მდებარეობა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი დაეხმარება გადასვას სტრატეგიული სატრანზიტო კორიდორიდან უფრო ფართო რეგიონის ლოჯისტიკურ პლატფორმაზე, ეს მოითხოვს სატრანსპორტო ონფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოში ბანკის პრიორიტეტები მომდევნო სამი წლის განმავლობაში ფოკუსირებული იქნება კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდაზე, ენერგო სექტორის მოდერნიზებაზე და საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის

ხელშეწყობაზე. ბანკი მხარს დაუჭერს საქართველოს ახალი მთავრობის პრიორიტეტს გახადოს ზრდა უფრო სოციალურად მიმართული, მაგალითად: მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, საქართველოს ნაკლებად განვიტარებულ რეგიონებში. საქართველოში ბანკის საქმიანობას ფოკუსირებული იქნება შემდეგ სფეროებზე:

1. კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა - ბანკი გაგრძელებს ოპერაციებს კერძო სექტორის კლიენტებთან პირდაპირ და არაპირდაპირ საქართველოში მომმედი კერძო ბანკების საშუალებით.
2. ენერგეტიკის სექტორის მოდერნიზაციის დასრულება - ბანკი დაასრულებს ენერგეტიკის სექტორში ადრე დაწყებულ პროექტებს, რომელთა მიზანია ენერგიის წარმოების ზრდა და საექსპორტო ბაზრების წვდომა.
3. საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა - ბანკი ფოკუსირებული იქნება პროექტებზე სხვადასხვა სფეროებში, ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ტელეკომუნიკაციების და ფინანსური სექტორის ცათვლით, რაც ხელს შეუწყობს ტრანსეკონომიკურ აქტივობებს.

საქართველოს ხანგრძლივი ისტორიული არსებობა იძლევა საფუძველს ვიფიქროთ მისი ეკონომიკური მდგომარეობის წარმატებულებაზე უხსოვარი დროიდან. აღნიშნულის დამადასტურებელი ქართული წერილობითი წყაროები რათქმაუნდა ჩვენამდე მოღწეული არ არის, მაგრამ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახული მითებია, ბერძნულ წყაროებში მოძიებული ცნობებიმ უცხოელ მწერალთა მოქმედება, გლობალური მსოფლიო მნისვნელობის ისტორიული მოვლენებში საქართველოს (იბერიის, კოლხას ....) მოხსენიება, ამ აზრის უცილობელ დასტურად შეიძლება გამოდგეს. კავკასიის მთებზე მიჯაჭვული ამირანი, არის სიმბოლო არა მარტო კაცობრიობის თავისუფალი სულის ტყვეობიდან გამოხსნის მცდელობისა, არამედ ჯაჭვის შექმნის ტექნოლოგიის წარმატებით

გამოყენებისაც, რომელიც არც ბრინჯაოსია და მითუმეტეს არც ქვის, არამედ რკინისაა. ამ უხსოვარი დროიდან საქართველოში უკვე ფლობდნენ რკინის გამოდნონის და მისგან სხვადასხვა იარაღების დამზადების ტექნოლოგიას.

მითი არგონავტების შესახებ დასტურია კოლხეთის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ არსებობისა, არა მხოლოდ არგონავდების ისტორიული მოგზაურობის დროისათვის, არამედ მეტად უფრო - მის წინა პერიოდში. ოქროს საწმისზე ლაშქრობა სიმბოლურად კოლხეთის შედარებითი დაკნინების სიმბოლური მაჩვენებელია და ბერძნული სახელმწიფოს აღზევებისა. ანუ ამ პერიოდისათვის კოლხეთს უკვე მიღწეული ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონისათვის და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები აქ „ტექნოლოგიათა“ და „მეცნიერული აზრის“ (ექიმობა) მოსატაცებლად, მოსაპარავად შემოსულან. ამ დაკნინების პერიოდშიდაც კი პოემაში კარგადაა წარმოცენილი მაშნდელი პირობების სესაბამისად აქ არსებული მოქინავე სატრნასპორტო საშუალებებისა და შესაბამისად გზების არსებობა: ინტენსიური, განვითარებული სამიწათმოქმედო მეურნეობისა და სახელმწიფოებრივი მართვის პროგრესული ფორმების ხანგრძლივი პრაქტიკული გამოყენება.

მსოფლიო ისტორიული განვიტარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ შეიძლება დასახელზე გლობალური მოვლენები, რომელთაც საქართველოსადმი ინტერესების გარეშე ჩაევლოს ასეთების ბერძნული სახელმწიფო ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი უძველესი განვითარება და რომაელთა დაპყრობითი ომედი. მაკედონელის, ცეზარის, კიროსის თაოსნობით მაშინდელი მსოფლიოს დამორჩილებისადმი წამოწყებული ლაშქრობები და რელიგიური მრწამსის გავრცელებისადმი მიმართული მისიონერული ღონისძიებები.

არქეოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, რომ ჩვ.წ. აღ-მდე, მე-6 -- მე-4 საუკუნეებში საქართველოში მეურნეობრივი და კულტურა

მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს ტოლს არ უდებდა, ამიტომაც ხანგრძლივი პერიოდის - საუკუნეების მანძილზე, ქართველური ტომები და ქართული სახელმწიფო წარმონაქმნები, მეზობელი სახელმწიფო წარმონაქმნებთან შედარებით გამორჩეული იყო.

თვით ის ფაქტი, რომ ივერია „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა“, ივერიის დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში, აქედან გამომდინარე გადაწყდა ალბათ თორმეტი ასურელი მამის მისიონერული მისია საქართველოში, რომელთა მოღვაწეობის მრწყინვალე შედეგად დღემდე შემორჩენილია გასაოცარი სამონასტრო კომპლექსები. ამ ნაგებობათა და წარმტაც მონასტერთა აგება მოითხოვდა არა მარტო დიდ სურვილს და სამუშაო ძალას, არამედ არქიტექტურული აზრისა და პრაქტიკის განვითარებას, სამშენებლო საქმის ცოდნას, შესაბამისად მათემატიკური და გამოყენებითი მეცნიერების ღრმად შეთვისებას. ესე რათქმაუნდა საქარტველოში მეურნეობის (ეკონომიკის) კარგად განვითარებაზე მიუთითებს.

მეურნეობის წარმატებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია შუა საუკუნეებში, რამაც საქართველო ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ აქცია მთელ წინა აზიაში და იგი ამ „ტიტულს“ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა.

საინტერესოა რა იყო საქართველოს მეურნეობრივი წარმატებების მთავარი მიზეზი ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობასთან ერთად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმატების მეზეზები უპირველეს ყოვლისა მესაკუთრესა და მწარმოებელს შორის ლიბელარულ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თიტქმის ვერ ჩამოყალიბდა მონათმფლობელური წყობა, მისი კლასიკური გაგებით, რამდენადაც ამ შემთხვევაში დამოკიდებულება მონასა და მის მფლობელს შორის უკიდურესად მკაცრია, ხოლო ჩვენი ერისათვის არსებული „ისტორიულად

ჩამოყალიბებული ფსიქიკური ერთობა“ ასეთ დამოკიდებულებას ვერ ეგუებოდა და შესაბამისად იგი არასასურველ ეფექტს იძლეოდა.

ჩვენამდე მოაღწია თამარ მეფის მიერ გამოცემულმა „წყალობის წიგნებმა“ ეკლესია - მონასტრებისადმი და ცალკეული ერისთავებისადმი, სადაც ნათლად ჩანს ყმების ვალდებულებათა მინიმალური სიდიდე იმდროინდელ სხვა სახელმწიფოთა ყმებთან შედარებით. მაგალითად, შიომღვიმის მონასტრის წყლით მომარაგების უზრუნველყოფისათვის მეფეს სათაო წყაროს მომსახურეობის მიზნით ამ წყაროს მიდამოებში დაუსახლებით გლეხები „კომლად ერთი და ოჯახით ორი“, რომლისათვისაც გადაუცია, სახნავი და საძოვარი ადგილები, ტყე და ა.შ. ხოლო ერთადერთ მოვალეობად წყაროს პერიოდულად გაწმენდა და მოვლა დაუვალებით. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ იმ დროისათვის გლეხების გადასახადთა შედარებით დაბალი დონე, რაც თავის მხრივ მწარმოებელთა დაინტერესებას ზრდიდა შრომის საბოლოო შედეგებისადმი და მთლიანობაში ქვეყანაც ძლიერებით გამოირჩეოდა.

აღნიშნულ ლიბერალობასთან ერთად შუა საუკუნეების ქართველი მეფეები დაინტერესებულნი იყვნენ ვაჭრობის განვითარებით. აქ გადიოდა უდიდესი მსოფლიო სავაჭრო გზები, ამიტომაც სახელმწიფო ზრუნავდა გზების მნიშვნელობასა და შეკეთებაზე. აგებდა ხიდებს და ავითარებდა შესაბამის ინფრასტრუქტურას, ქარავნების გადაადგილების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაშიც შემოსავლები მნიშვნელოვანი იყო. პროფესორ ფ.გოგიჩაიშვილის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით მეთორმეტე საუკუნის საქართველოში სახელმწიფო ხაზინაში მხოლოდ გადასახადებით შესული შემოსავლები სამნახევარჯერ აღემატებოდა იმდროინდელი ინგლისის ხაზინის შესაბამის მაჩვენებელს.

მოღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის სემდგომ, როგორც ცნობილია მათ აღწერეს საქართველოს მოსახლეობა, შემოიღეს

უმკაცრესი გადასახადები, რომელსაც თან ერთვოდა ადგილობრივ თავადებისა, ეკლესიისა და სამეფო კარისადმი განკუთვნილი გადასახადები, რამაც ამ გადასახადთა სიდისიე რამდენჯერმა ზრდა გამოიწვია, ამასთან მოჰყვა მეურნეობრიობის მოშლა - დაკნინების პროცესი.

საქართველო, როგორც სახელმწიფო ერთეული გამორჩეული იყო ამ ხანებში, მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით ეკონომიკური სიძლიერით. ამის დასტურია 1339 წელს შედგენილი ჰამდალლაჰ ყაზვინის ჩვენამდე მოღწეული გეოგრაფიული თხზულება. ამ თხზულებაში, რომელიც შეისწავლა აკადემიკოსმა პ.გუგუშვილმა, ხოლო მანამდე გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ვ.ბარტოლდმა, შემონახულია გაზან ყაენის მიერ 1336 წელს დამტკიცებული ნუსხა დაპყრობილ ქვეყნებზე შეწერილი ხარკებისა.

მე-11 და მე-12 საუკუინეებში მეურნეობრიობის აღმავლობას განაპირობებდა, რათქმაუნდა, არა მხოლოდ ლიბერალური გადასახადები. ამ დროისათვის საქართველოს საზღვრების და ტერიტორიების გაფართოებას თან სდევდა კანონიერებისა და სამართლიანობის განმტკიცებაც. ცნობილია თამარის სეფე სიტყვა მეფეთ კურთხევის დროს, სადაც იგი მიმართავს მართმსაჯულებას: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განმადეთ გულარძნილი, იწყეთ ჩემზედა, რამეთუ შარავენდედი ესე მეფობისა არს და არა ღვთისა ბრძოლობისა. ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა კლებყოფთ სიმცირისათვის“.

კანონიერების განმტკიცების პარალელურად სამეურნეო განვითარებაზე დადებითად მოქმედებდა ერთიანი საბაჟო - საგადასახადო სისტემის არსებობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“ და კასპიიდან შავ ზღვამდის“.

მე-13 საუკუნიდან სახელმწიფოს ჯერ ორ ნაწილად გახლეჩვამ, რასაც თან სდევდა მონგოლთა გაბატონებამ, შემდგომ კიდევ

სამთავროთა დამოუკიდებელი ერთეულების წარმოშვებამ, მოშალა ერთიანი სამეურნეო სისტემა და ინტენსიური მეურნეობა, ეს უკანასკნელი უფრო კარჩაკეტილი გახდა. ამასთან ერთად იზრდებოდა გადასახადთა სიდიდეებიც, რამაც საბოლოოდ ეკონომიკური დაკნინება გამოიწვია. ცალკეული მეფე - მთავრობის მცდელობები, როგორმე მიეღწია ეკონომიკური წარმატებებისათვის, ხელშესახები სედეგების გარეშე მთავრდებოდა.

მე-17 საუკუნეში, როდესაც ევროპა გაცხოველებული ეკონომიკური განვითარების გზას ადგა, საქართველო ჩამორჩენილ კარჩაკეტილი მცდელობით საქართველოში მიაღწიეს ზარბაზნების ჩამოსხმას, გააჩნდა რამდენიმე სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები, მაგრამ მათ ხანმოკლე არსებობამ ვერ მოიტანა რაიმე ხელშესახები შედეგები. თუმცა ფრანგი მოგზაურის შარდენის სიტყვებით, „მაგრამ მიუხედავად ამისა ამერეთს ჰქონდა მაინც ერთი ქალაქი თბილისი, სადაც ვაჭრობა და ხელოსნობა კარგა დიდი იყო“. „მე-18 საუკუნის 60-იან წლებში თბილისში 20000-მდე მცხოვრები ითვლებოდა, რაც ცოტა არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშნდელ დროს და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიპატარავეს“.

რუსეთთან საქართველოს შეერთების დროისათვის საქართველო უღარიბესი ქვეყანა იყო. აქ თითქმის საერთოდ არ არსებობდა კაპიტალისტური საწარმოები და მანუფაქტურები. ცარიზმის შემოსავლით საქართველოში ორი გუბერნია - თბილისის და ქუთაისის ჩამოყალიბდა. დამყარდა შედარებითი მშვიდობა. ბაზარზე კი ბატონობდა ირანული წარმოშვების საქონელი, რასაც ცუდად აღიქვამდა რუსეთის სახელმწიფო, ამასთან ერთად რუსულმა მმართვეობამ მიზნად დაისახა გამოეყენებინა საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1821 წელში რესეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიისათვის უცხოურ საქონელზე შეღავათიანი საბაჟო ტარიფის დაწესება. აღნიშნული სატარიფო სისტემა

1850 წლამდე მოქმედებდა. ტარიფის დაბალმა დონემ მწრაფად განდევნა ბაზრიდან ირანული საქონელი, მის ადგილზე კი გაბატონდა არა რუსული, არამედ ინგლისური ნაზარმი. რუსეთისათვის ესეც არასასურველი იყო. ამასთან ერთად ევროპულმა საქონელმა თვით ირანში და შუა აზიის ქვეყნებში კავკასიის გავლით დაიწყო შემოსავლა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ვაჭრობით უმეტესწოლად დაკავებულნი იყვნენ სომეხი მოქალაქეები, რომელთათვისაც რუსულმა მმართველობამ სპეციალურად საგადასახადო შეღავათები დააწესა. ასეთივე შეღავათებს აძლევდა რუსული მმართველობა მოგვიანებით გერმანულ კოლონისტებს. შუა რუსეთიდან გადასახლებულ სექტანტებს (მაგალითად, დუხობორებს). სრული განმკარგავი მემამულე გახდა უკვე მე-17, მე-18 საუკუნეებში, რაც გაგრძელდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშ. გლეხის მდგომარეობა რუსული მმართველობის შემოსვლასთან დაკავშირებით გართულდა კიდეც. რაც რათქმაუნდა ხელს ვერ შეუწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში. [16]

რუსული მმართველობის შემოსვლასთან ერთად ვაჭრობა იმდენად განვითარებულა, რომ „1825 წელს თბილისელი ვაჭრები ძირითადად სომეხი ეროვნების, ლაიპციგშიც კი ყოფილან იქაურ იარმარკობაზე“. ვაჭრობა სწრაფად ვითარდებოდა, მაგრამ ადგილობრივი წარმოება ძალიან ძნელად იკიდებდა ფეხს.

საქართველოში ბატონ-ყმობა ისტორიულად არ იყო მკაცრი, მაგრამ ეს დამოკიდებულება რთულდება მე-17 საუკუნიდან. აღნიშნული საკითხი შეისწავლა ა.ხახანაშვილმა ჯერ კიდევ მე-19 საუნუნეშ. ამ ავტორის წიგნში „ბატონ-ყმობა საქართველოშო“ არნიშნულია, რომ „რუსეთთან შეერთებამდის საქართველო ყმა, უფლებს მხრით, უარესს მდგომარეობაში არ იყო საქართვეკლოში, ვიდრე საბერძნეთსა და რუსეთში“. ქართველი გლეხი არ იყო სრულიად მოკლებული პირადს და ქონებრივ უფლებას. ამას შეეძლო ბატონის თანხმობით, მამულის

გაყიდვა, აგრეთვე საკუთრებად შეძენა სამკვიდრო ქონებისა, შეეძლო მოქმედ ყოფნა, ვალის არება და მისი გადახდა თავის სარჩოდან. ბატონს არ ჰქონდა უფლება ყმის სისხლით დასჯისა. იგი იყო მხოლოდ „მფარველი და პატრონი“. თავისი ნებით ყმად შესული იმ პირობით მიდის ბატონთან, რომ დაიფაროს იგი და ეყოს პატრონად. ყმას, ბატონის თანხმობით, შეეძლო დაეცვა მიცემული მამული არამცთუ ვაჟისთვის, არამედ ქალისათვისაც, თუ უკანასკნელი დარჩებოდა საბატონო მამულზე. ეს გვაძლევს უფლებას ჩვენი ხლეხი შევადაროთ არა რუსეთის ყმას, არამედ გერმანელთა ნახევრად თავისუფალ ლიტებსა, ლაცებსა და ალდიებსა“.

გლეხისა და მამულისა ურთიერთობები საქართველოში ვახტანდ მე-6 კანონით რეგულირდებოდა, მაგრამ შემდეგ ჩვეულებამ აღნიშნული კანონი უგულებელყო: 1) ვახტანგ მეფის დადგინებით ბატონს უფლება ჰქონდა ყმა დაეტუქსა, დაეშინებინა, ხოლო ჩვეულებამ მას ჯოხით ცემის უფლებაც მისცა, რასაც არაიშვითად სიკვდილი მოჰყვებოდა შედეგად; 2) ვახტანგმა დააწესა ზომა, დასდო ზღვარი ყმის სამსახურისა ბატონის წინაშე და უკრძალავდა შეეწუხებინა გლეხი გარდაბეტებულის სამსახურით ცხოვრება კი ისე შეაჭირა გლეხი, რომ იგი ბატონისაგან გარბოდა და სხვაგან ეძებდა თავშესაფარს; 3) კანონით ტყვეობისაგან გამოპარული გლეხი ტავისუფალი ხდებოდა. ცხოვრებამ კი სხვა აჩვენა; 4) ბატონს არ შეეძლო აეკრძალა გლეხისათვის ერთი ბატონიდან მეორესთან გადასხვლა; 5) კანონით აკრძალული იყო ყმის გაყიდვა, მაგრამ ცხოვრება, არა მარტო გაყიდვა, არამედ მათი გაჩუქების და მზითევში გატანების პრაქტიკაც დანერგა; 6) კანონით ბატონს აკრძალული ჰქონდა ობლების ძალით წაყვანა შინამომსახურეებად; 7) ყმას ჰქონდა პატრონის ჩივილის უფლება, მაგრამ ცხოვრებაში ასეთი რამ არ ხდებოდა.

ამრიგად ბატონ-ყმური ცხოვრება გლეხებისათვის აუტანელი ხდებოდა და იგი სრულად დამოკიდებულნი გახდნენ მემამულეებზე რაც თავის მხრივ ხელს უშლიდა მეურნეობიობრის განვითარებას.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპაში კაპიტალისტური მეურნეობა სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა, განსაკუთრებით მანუფაქტურული წარმოება. წარმოების განვითარებასთან ერთად დღის წესრიგში იდგა გასაღების ბაზრების გაფართოების და სანედლეულო ბაზის მოძიების პრობლემები. საქართველოს თავად-აზნაურობა კი შუა საუკუნეებისყველაზე რეაქციული დამოკიდებულებას შენარჩუნებას ცდილობდა,ამდენად აქ არსებობდა უამრავი ობიექტუი და სუბიექტური ფაქტორები თავისუფალი მოსხლეობის ფენის წარმოშვების ხელშესაშლელად, რაც აუცილებელია თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათის, ძირითადი პრობლემა მაინც ყმისა და მებატონის დამოკიდებულება იყო. მებატონეები ქვეცნობიერად ხვდებოდნენ გარდაქმნების მოსალოდნელ საფრთხეს და ცდილობდნენ გლეხებზე აბსოლუტური ძალაუფლების შენარჩუნებას და ახერხებდნენ კიდევაც.

მიუხედავად ასეთი არქაული დამოკიდებულებისა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა წოდებას შორის ცივილიზაციის გავლენა მაინც იგრძნობოდა და ერც შეიძლებოდა ყოფილიყო სხვაგვარად. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ვაჭრობის განვითარებას აქა იქ მანუფაქტორების წარმოშვებაც თან სდევდა. ამავე ხანებში თბილისში ფუნქციონირება დაიწყო ფეხსაცმელების გ.ზარდანოვის მანუფაქტურამ, რომელიც სამხედრო ფეხსაცმლით ამარაგებდა ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსეთის მეფის საჯარისო ნაწილებს. იქრდებოდა, როგორც სახელმწიფოს, ასევე თავადთა მოთხოვნილება ფულის ერთეულებზე, ამიტომ 1837 წლიდან პრაქტიკაში შემოვიდა ბეგარა - გადასახადების აკრეფა ფულადი ფორმით (კომუტაცია). ამ მოვლენას საქარტველოს მოწინავე ინტელიგენცია არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით შეხვდა. მაგალითად, ი. ჭავჭავაზე მიუთითებს, რომ

„წინათ ხალხი სახელმწიფო გადასახადებსაც კი პურით და ღვინით იხდიდა და კომუტაციამ მოშალა ტრადიციული მეურნეობა და გააღარიბა მოსახლეობა“. პროფესორი ფ. გოგიჩაიშვილი კი მოგვიანებით აღნიშნავდა: „კომუტაციამ დადებითად იმოქმედა კარჩაკეტილობის აღმოსაფხვრელად“ თუ კომუტაციისადმი უარყოფითი დამკიდებულება ჰქონდა, ვათქვათ ა. ფურცელაძეს, მას მიესალმებოდა ნ. ნიკოლაძე და ა.შ. ასეთი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი გამოწვეული იყო გლეხთა დავალიანების ზრდით, ჩარჩ-ვაჭართა მომრავლებით, თუმცა იგი არღვევდა მანამდე ფესვგადგმულ კარჩაკეტილ მეურნეობას.

მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ფულის ბრუნვის საჭიროების გაზრდასთან ერთად საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო საიმპერატორი ბანკთან ერთად სხვადასხვა კომერციულმა ბანკებმაც, რომლებიც ძირითადად რუსეთის დიდი ბანკების ფილიალებს წარმოადგენდნენ.

საბანკო სისტემის განვითარებამ გაზარდა მოსახლეობის დავალიანებათა სიდიდეები სხვადასხვა ბანკებში. 1973 წელს გაზეთ „გუნდის დედაში“ ანტონ ფურცელაძე წერდა: „რომ შეიკრიბებოდეს სტატისტიუკური მონაცემები, ვნახავთ, რომ მომეტებული ნაწილს ჩვენი მამულის მეპატრონეთ; გლეხთა თუ თავადაზნაურთა, ჰმართებთ ვალი, რომ ამათი მამულები არ აუხდებათ ამ ვალსა, მომეტებული ნაწილი ამ მამულების შემოსავლისა მიდის მამულის სარგებელში და რამდენის ხანი გადის, იმდენი მოკლების მაგიერათ ემატებათ ამ ვალებსა“ და მიუხედავად ამისა საქალაქო ცხოვრება განუწყვეტლივ ვითარდებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო მთელს რუსეთთან ერთად სწრაფი კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა. საქალაქო ცხოვრების აღორძინებას, სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის გაფართოებას, ვაჭრობის განვითარებას, შედეგად მოჰყვა მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ

ხელს უწყობდა საგარეო ვაჭრობის გაზრდას. რუსეთიდან და უცხოეთიდან მეწარმე კაპიტალისტთა მოზიდვას, ხოლო თვით ქვეყნის შიგნით ფულადი კაპიტალის დაგროვებას, გაზრდას.

საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში წვრილ- ხელოსნურ და შინამრეწველური სარეწეების გვერიდით თანდათან ჩნდება მსხვილი კაპიტალისტური მანუფაქტორები. ამავე დროიდანვე ჩნდება ფაბრიკული - ქარხნული წარმოებაც.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით დაიწყო ფოთი - თბილისის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 1872 წელს. აღნიშნულმა გაადვილა არა მარტო მგზავრობის პროცესი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, არამედ გააუმჯობესა ტვირთ-ნაკადების მოძრაობის სისტემა. უცხოეთთან და რუსეთის დასავლეთ რეგიონებთან სასაქონლო ტვირთბრუნვა. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმ-ბაქოს რკინიგზასაც, რომლის მნიშვნელობაც 1883 წელს დასრულდა. 1895 წელს შენდება ვიწროლიანდაგიანი ჭიათურის რკინიგზაც. ეს უკანასკნელი ჭიათურის მარგანეცის საბადოების სამრეწველო დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. მეოცე საუკუნის დასაწყისში რკინიგზის ქსელებით უკვე ერთმანეთს უკავშირდებოდა ამიერკავკასიის ძირითადი სამრეწველო, ქალაქები და ყველა ამათი დაკავშირება იაფი გზით უზრუნველყოფილი იყო ცენტრალურ რუსეთთან. [17]

რკინიგზის არსებობა თავის მხრივ განაპირობებდა უმეტესწილად სამთო-სამთამადნო მრეწველობის განვითარებას. 1878 წელს დაიწყო ჭიათურის მარგანეცის საბადოების დამუშავება. რკინიგზის შტოს გაყვანამ კი განაპირობა ის, რომ ჭიათურის მარგანეცის მოცულობა უკვე უზრუნველყოფდა მისი მსოფლიო საჭიროების 54 პროცენტს. ჭიათურის მარგანეც მოიხმარდნენ ისეთი ინდუსტრიული სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ ინგლისი, გერმანია, ბელგია, აშშ და სხვა.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის რუსული მმართველობა ავრცელებდა აზრს იმის შესახებ, რომ საქართველო და საერთოდ კავკაცია იყო ჩამორჩენილი რეგიონი და მისი შენახვა საიმპერატორო კარს მნიშვნელოვან დოტაციას აიძულებდა. რაც სრულებითაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ცარიზმის ოფიციალური სტატისტიკითაც კი, რომელიც პროფესორმა ფ. გოგიჩაიშვილმა, მოიძია ბიუჯეტიდან ამ პერიოდისათვის ანგარიშწორება ამიერკავკასიისათვის 1896 – 1901 წლებში, ე.ი. 5 წლის განმავლობაში ცენტარულ ხაზინას ამიერკავკასიიდან სულ მიუღია 298 088 000 მანეთი, ხოლო ამიერკავკასიის მართვა - გამგეობაზე, იმ ორგანიზაციათა დაფინანსიბაზე, რომლებიც მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ხაზინას დაუხარჯია 27 838 000 მან., ასე რომ წმინდა შემოსავალი ცენტრალურ ხაზინას დარჩენია 26 250 000 მან., ანუ წელიწადში საშუალოდ 5 250 000 მან.

საინტერესოა ამ ციფრების შედარება რუსეთის სხვა გუბერნიების მონაცემებთან. 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ამიერკავკასიის ერთი მცხოვრები, ხაზინაში იხდიდა 10 მანეთს და 82 კაპიკს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამიერკავკასიის 5 გუბერნიდაან 2 ქართული იყო თბილისისა და ქუთაისის, ხოლო მოსახლეობა აქ არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო სხვებთან შედარებით. ეს ციფრი საქართველოსათვის, უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, რუსეთის ოთხი გუბერნიის: კურდიანდიის, პსკოვის, ტავრიდისა და უფის, რომლებიც როგორც სივრცით, ისე მცხოვრებთა რაოდენობით, ეთანასწორებიან ამირკავკასიას, ერთ სულ მოსახლეზე ხაზინაში გადახდილი თანხა 7 მანეთსა და 17 კაპიკს არ აღემატებოდა, ხოლო მათ მიერ ჯამში წლიურად გადახდილი თანხა საშუალოდ 39 242 000 მანეთი იყო.

ათ ცენტრალურ გუბერნიაში ხაზინას ეძლეოდა საშუალოდ კაცზე შემოსავალი მხოლოდ 5 მანეთი და 20 კაპიკი. ე.წ. სამრეწველო გუბერნიებშიდაც კი ერთი სული მოსახლიდან ხაზინის შემოსავალი

მხოლოდ 6 მანეთსა და 88 კაპიკის ტოლი იყო, ხოლო შუაგულ აზიაში, რომელიც ჩამორჩენილი მხარეების რიგს მიეკუთვნებოდა, ერთ სულზე შემოსავალი მხოლოდ 3 მანეთი და 2 კაპიკის ტოლი იყო.

მხოლოდ პოლონეთი და ბალტიისპირა გუბერნიები გამოირჩეოდნენ საქართველოზე უკეთესი მაჩვენებლებით, პოლონეთში ეს მაჩვენებელი 13 მანეთსა და 11 კაპიკის, ხოლო ბალტიისპირეთში 23 მანეთსა და 40 კაპიკის ტოლი იყო.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე - 20 საუკუნის დასაწყისში კაპიტალისტური სამრეწველო წარმოების სწრაფი ტემპები საქართველოში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში უკვე არსებობდა და ფუნქციონირებდა მრეწველობის სხვადასხვა დარგები, ამასთან ერთად ისინი განიწყვეტლივვ ვითარდებოდნენ. აღნიშნულის საილუსტრაცოდ 2.2 ცხრილში მოყვანილია მონაცემებიც გამოდგება. ამ დროისათვის მრეწველობაში საერთოდ უკვე დასაქმებული ყოფილა საშუალოდ, წლიურად შვიდი ათას კაცამდე. ამასთან ერთად უკვე ჩამოყალიბებული იყო მრეწველობის ისეთი დარგები, როგორებიცაა: ლითონდამუშავება, ქიმიური მრეწველობა, ქაღალდის წარმოება და სხვა, თუმცა ამ პროგრესულ დარგებში დასაქმებულთა რიცხოვნება უკიდურესად მცირეა. ხოლო რაც შეეხება ისეთ ტრადიციულ დარგებს, როგორიცაა მაგალითად ქვის და თიხის დამუშავება, აქ მომუშავეთა რიცხოვნება, მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნების ფონზე, მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუხლი - „სანოვაგის, სასმელების და ნარკოტიკების წარმოება“. აქ ნარკოტიკებში საგულისხმებია მხოლოდ თამბაქოს ნაწარმი. ასეთი საწარმოები უმეტესწილად თბილისში იყო თავმოყრილი. თამბაქოს ნაწარმს უშვებდნენ აჭარაშიც, კერძოდ ბათუმში, სადაც ორი ასეთი საწარმო იყო განლაგებული.

ორმოციანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში მრეწველობა საკმაოდ განვითარებულ ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენდა. მეორე მსეოფლიო ომის გავრცელებით მაშინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, შეიცვალა ყველა ის მიზნები და ამოცანები, რომელებიც მესამე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული საქართველოს მრეწველობაში. დარგის წინაშე დადგა პრობლემა სწრაფად და წარმატებით ათვისებული სამხედრო დანიშნულების პროდუქცია, რომელმაც გარკვეული სირთულეები წარმოქმნა მისი ნორმალური ფუნქციონირების საქმეში. ამას თან ერთვოდა ფრონტის ხაზის მოახლოებით გამოწვეული კოოპერირებადი კავშირირების იძულებითი გაწყვეტა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის საწარმოებთან.

ომის წლებში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა თითქმის ყველა დარგში შემცირდა გარდა მრეწველობისა. პირიქით, მრეწველობაში განხორციელებული დაბანდებები გაცილებით აღემატებოდა წინა წლების კაპიტალურ დაბანდებებს, თუმცა წინა წლებშიდაც გაწეული ხარჯები ამ მხრივ სოლიდური იყო. მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაკუთრებით გაიზარდა 1941 და 1944 წლებში, რაც უკავშირდება საავიაციაო და მეტალურგიული ქარხნების მშენებლობას. [18]

1941 წლის ოქტომბერში ტაგანროგიდან თბილისში ევაკუირებული იქნა საავიაციო ქარხანა თავისი საწარმოო კოლექტივის ძირითად ბირთვთან ერთად, რომელიც უნდა შეერთებოდა აქ მშენებარე საავიაციო ძრავების ქარხანას. ევაკუირებულმა ქარხანამ პირველი პროდუქცია უკვე ნოემბერში გამოუშვა, ხოლო 1942 წლიდან ქარხანამ აითვისა „იაკ-1“, „იაკ-3“ და „ლახვი-1“ სერიის ავიაგამანადგურებელთა წარმოება. თბილისის საავიაციო ქარხანა თავისი მასშტაბით მნიშვნელოვანი შენაძენი იყო საქართველოს მრეწველობისათვის.

ომის პერიოდში საქართველოში ორი ქიმიური ქარხანა არსებობდა, თბილისის ქიმიური კომბინატი და ქუთაისის ლითოფონის ქარხანა.

ორივე ქარხანა ტრადიციულად პროდუქციასთან ერთად ამზადებდა ქიმიურ საომარ იარაღსაც, ამიტომ მათი მასშტაბები ომის პერიოდში გაიზარდა.

1944 წლიდან დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაც, რომელიც შემდეგ საქართველოს მრეწველობის ერთადერთი ფლაგმანი გახდა.

საქართველოში მსუბუქი მრეწველობა ომის წინა პერიოდში ჩამოყალიბებული იყო როგორც მძლავრი დარგი. საქართველოს მსუბუქი მრეწველობა უშვებდა ფეხსაცმელს და ფეხსაცმლის ტყავს, ქსოვილებს დიდი რაოდენობით. განვითარებული იყო სამკერვალო წარმოებაც. ომის პერიოდში გაიზარდა კვების მრეწველობის საწარმოოო სიმძლავრეებიც. ძირითადად საკონსერვო ხარჯზე. მიუხედავად ფრონტისათვის მომუშავე მრეწველობის დარგთა და წარმოებათა ზრდისა, მთლიანად საქართველოს სამრეწველო წარმოება 1945 წელს 1940 წელთან შედარებით ერთი მეხუდედით შემცირდა.

1946 – 1950 წ.წ.-ში საქართველოს მრეწველობაში კაპიტალურმა დაბანდებებმა 326 მილიონი მანეთი შეადგინა, ეს თითქმის იმდენივეა, რაც მთლიანად 1921 – 1945 წწ. ამ ხუთწლედში მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი 1,6 - ჯერ გაიზარდა.

სამრეწველო სიმძლავრეების შემდგომ ზრდას ჰქონდა ადგილი მომდევნ ო 1951 – 1955 წკების ხუთწლედში. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 1953 წელს გამოშვებული იქნა კოქსი, 1954 წელს თუჯის ნადნობი, ხოლო ფოლადის წარმოება ხუთწლედში 9,5 - ჯერ. ეს მიღწევები იქნა შესაბამისი სიმძლავრეების შექმნით. ასევე ახალი საამქროები აშენდა ზესტაფონის შეროშენადნობთა ქარხანაში. დამთვარდა შაორის, გუმათის და სხვა, სულ 240 ათასი კვტ-ის საერთო სიმძლავრის ჰიდროსადგურის მშენებლობა. დაიწყო ლაჯანურისა და ხრამი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ნახშირის ამოღების მოცულობა გაიზარდა 2-ჯერ.

70- იანი წლებიდან მოყოლებული ეცემოდა ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტი. მაშინ როცა მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესიის მიღწევებიდან გამომდინარე, პირიქით პროცესს უნდა ჰქონოდა ადგილი. როგორც ზოგიერთი გამოჩენილი მეცნიერ ეკონომისტთა გამოკვლევები ამტკიცებენ, 50 -იანი წლების მეორე ნახევრიდან ცენტრალიზებული მართვის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სამეცნიერე აღმოჩენა-გამოგონებიდან მათ საწარმოო რეალიზაციამდე დროის პერიოდი სსრკ-ში და შესაბამისად საქართველოში 18-25 წლით განისაზღვრებოდა, მაშინ როცა შესაბამისი დროის პერიოდში აშშ-ში 6-7 წელს, ევროპაში 7-8 , ხოლო იაპონიაში 5-6 წელს არ აღემატებოდა.

ბოლო ათწლეულში საქართველოს მრეწველობა დაღმავალი გზით მიექანება და პერმანენტულ კრიზისში გადაიზარდა. წინაპირობები ამისათვის ჯერ კიდევ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაცხადებამდე გამოვლინდა, რასაც სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამ მიზეზებიდან უპირველესაც აღსანიშნავია ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან დისპროპორციების სიმპტომები სამრეწველო პროდუქციის მოცულობასა და მისი თანხმობრივ შესაბამისობას შორის. ასეთი პროცესები მაშნდელი საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი იყო საერთოდ, მაგრამ იგი საქართველოში განსაკუთრებით გამოვლინდებოდა. ქვეყანაში იმატა ფულადმა შემოსავლებმა, მაშინ როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოცულობები უმნიშნელოდ იზრდებოდა. 1991 წლის დასაწყისში რუსი მეცნიერის ს. როზინის გათვლებით სსრკ-ის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის სიდიდე მიმოქცევაში 139 მლრდ. მანეთი იყო და გარდაბნის პერიოდში (1986 – 1990 წ.წ.) გაიზარდა ჯერ, ხოლო როცა საქონლისა და მომსახურეობის ღირებულება 1,4 - ჯერ გაიზარდა. დამოუკიდებელი მოთხოვნილების მოცულობა 238 მლრდ. მანეთს შეადგენდა და იგივე პერიოდში 4 - ჯერ გაიზარდა. მხოლოდ 1991 წლის იანვარში სსრკ-ს მასშტაბით

იძულებითი დანაზოგი 5,5 მლრდ. მანეთი იყო. უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში. 1985 წელს ყველა წინა წელთან შედარებით ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ემისიის დონე იყო, მიუხედავად იმისა მომდევნო ხუთწლედში სახელმწიფო - საგარეო კომიტეტმა მოსახლეობის შემოსავლების დონე 2,6 მლრდ. მანეთით მეტი დაგეგმა, ვიდრე ხარჯები. ასეთი მაჩვენებელი წინა ხუთ წელიწადში 773 მლნ. მანეთი იყო, ანუ ამ უარყოფითი მაჩვენებლის მატება თითქმის 3,5 - ჯერ მეტი სიდიდით დაიგეგმა, ხოლო პრაქტიკულმა რეალიზაციამ გაცილებით მაღალი სიდიდე აჩვენა, რის გამოც შეიქმნა დისპროპორციები, როგორც სამომხმარებლო ბაზარზე, ასევე სამრეწველო საწარმოთა მომარაგების მხრივ. საწარმოებს გააჩნდათ საბრუნავუი საშუაკებები ფულის სახით, მაგრამ ვერ ხდებოდა მისი რეალიზაცია ხარჯვა. ამიტომმ ეს საწარმოები თავის მხრივ ვერ უზუნველყოფენ უმეტესწილად ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობებს, ხოლო ზოგჯერ ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის წარმოებასაც კი, რომლის მოცულობაც ცენტრალიზებულად განისაზღვრებოდა და მისთვის ნედლეულის და მასალების მოწოდებაც ასევე გარანტირებული იყო ცენტრალიზებულად.

საბჭოთა კავშირში არსებობდა შეუსაბამობა დახარჯული შრომის ანაზღაურებისა და შრომის მოცულობას შორის. ამ ქვეყნის არსებობის ბოლო წლებისათვის ხელფასის საშუალო სიდიდე 200 მანეთის ფარგლებში იყო, რაც შეიძლება დღევანდელ 200 აშშ დოლარს გავუტოლოთ უხეშად, რადგან ოფიციალური კურსი მანეთისა მეტი იყო ვიდრე დოლარის (1 აშშ დოლარი - 0,86 მანეთს), მაგრამ შავ ბაზარზე თანაფარდობა გაცილებით უაროფითი იყო. (1 აშშ დოლარი იყიდებოდა 2 მანეთად და მეტად.) ამ დროს კი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სიდიდე იაპონიაში, რომელიც ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა, შეადგენდა 23 ათას აშშ დოლარს წელიწადში, ყოველთვიურად ხაადლოებით 1900 აშშ დოლარს,

შესაბამისი მაჩვენებელი გერმანიაში იყო წლიურად - 211000 აშშ დოლარი. თვეშ 1758 აშშ დოლარი, ამერიკაშ - 18163 წლიურად. შემდეგ შემოსავლებით მოდიოდი იტალია, ინგლისი და კაპიტალისტური სამყაროს სხვა ინდუსტრიული სახელმწიფოები, ანუ ამ სახელმწიფოებს შორის ანაზღაურების დონე რამდენჯერმე მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში., ამიტომ დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან ერთად, აუცილებელი ხდებოდა ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებაც, რომლისათვისაც მაშნდელმა ხელისუფლებამ ყველაზე ცუდი - ემისიის გზა აირჩია. შედეგად მოსკობის ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებით, მანეთი ყოველწლიურად უფასურდებოდა 8,4 %- ით, 1989 წლისათვის ბრუნვაში, კავშირის მასშტაბით, იყო 750 მილიარდამდე მანეთი, მათგან 310 მლრდ, ბანკში ინახებოდა. საქართველოს ბანკებში არსებული ანაბრები დაახლოებით 1,5 მლრდ, მანეთის ტოლი იყო. [19]

1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ კიდევ უფრო გააუარესა სამრეწველო საწარმოთა მომარაგება ნედლეულით და მასალებით, როგორც რუსეთიდან, ასევე სსრკ,ს სხვა რესპუბლიკებიდან. პრობლემამ იჩინა თავი წარმოებული პროდუქციის გასაღების მხრივაც. ამას ემატებოდა ნაღდი და ანგარიშებზე არსებული ფულადი მასების სხვადასხვა მსყიდველუნარიანობაც. ამიტომ 1991 წლიდან საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა მცირდებოდა, თიმცა ეს შემცირება არც ისე მასშტაბური იყო და თავისუფლად ჯდებოდა ჩვეულებრივი საწარმოო კრიზისებით გამოწვეული საწარმოო ვარდნის პარამეტრებში. საწარმოთა ფუნქციონირების ასეთ შესაძლებელობებს განაპირობებდა მარაგების საკმაოო სიდიდეები სამრეწველო საწარმოებში, როგორც მატერიალურ ფასეულობათა სახით, ასევე ანგარიშებზე ფულადი მასის სახითაც.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1996-1999 წლებში საქართველოში მშპ-ის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა

(საშუალოდ 10-12% წელიწადში), რაც არარეალური ასახვა იყო მიმდინარე ეკონომიკური პროცესების და ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესს თუ არა, სტაგნაციას მაინც. ამაზე მიგვითითებს იგივე უწყების მიერ გამოქვეყნებული დასაქმებული მომუშავეების რიცხოვნებაც. აღნიშნული ფაქტი ამავე უწყებამ შემდეგ ნაწილობრივ უარყო, ხოლო ასეთი „ზრდის მაღალი ტემპის“ მიღწევა აიხსნა ინფლაციის ტემოპით, რომლის არასათანადო გათვალისწინება ხდებოდა სტატისტიკურ აღრიცხვაში.

უკანასკნელ ბოლო ათწლეულში ეკონომიკის და მათ შორის მრეწველობის დაცემამ მძიმე პირობებში ჩააყენა მთლიანად საქართველო. ექსპორტ - იმპორტის უარყოფითი სალდო დაუძლეველი პრობლემაა. მცირეა მომუშავეთა შემოსავლები, რომელთა სიდიდე ხშირად ოფიციალურად აღიარებულ საარსებო მინიმუმზე დაბალია, დიდია უმუშევრობის დონე, რის გამოც ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას უცხოეთის სახელმწიფოებში.

საქართველოსეკონომიკა უკანასკნელ პერიოდში ღრმა რეფორმირებას ექვემდებარება. ასევე რეფორმები განხორციელდა მთელ პოსტ საბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიც, რომლებშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განსაკუთრებით დაჩქარდა ეკონომიკის ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობის დაშლა, განხორციელდა ღონისძიებები სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობის ჩატარებისათვის, ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების დანერგვისათვის და კერძო ინიციატივის განვითარებისათვის. ამ ღონისძიებათა გატარებამ მეტნაკლები წარმატებით მოიტანა გარკვეული შედეგები ეკონომიკისათვის, მაგრამ ამავე დროს ხელი შეუწყო ტრადიციულად ჩამოყალიბებული საწარმოო - სამეურნეო კავშირების რღვევის პროცესს, რომლის გავკლენითაც ძირითადად, ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეკონომიკის ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი ტკივილების გარეშე. ზოგიერთმა

სახელმწიფომ დეინტეგრაციული პროცესების რღვევით გამოწვეულ შედეგებს სწრაფად დააღწია თავი და ეკონომიკის აღმავლობის გზას დაადგა. ამ სახელმწიფოთაგან უპირველესად აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, იუგოსლავია და სხვა. შედარებით რთულად მიმდინარეობს აღმასვლის პროცესი პოსტსაბჭოთა სივრცეში. აქაც შედარებით მაღალი ტემპებით ხასიათდება ყოფილი ბალტიისპირეთის სახელმწიფოები: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. დანარჩენი 12 სახელმწიფო აღნიშნული სივრციდან, რომლებმაც ჩამოაყალიბეს, შედარებით რთულად გადაეწყვნენ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე, თუმცა აქაც გამოირჩევიან შედარებით წარმატებული და ჩამორჩენილი სახელმწიფოებიც.

1998 წლისათვის საქართველოში მოქმედ საწარმოთა რიცხოვნებამ 13800 ერთეული შეადგინა, ანუ მათი რიცხვი 11-ჯერ გაიზარდა. რასაკვირველია ასეთი ზრდა მიღწეული არ არის ინვესტიციათა განხორციელებით და ახალი სამრეწველო საწარმოთა მშენებლობით, არამედ მსხვილ საწარმოთა დაშლით შემადგენელ ნაწილებად, მათი შემდგომი პროვატიზაციის მიზნოთ. [20]

სამრეწველო საწარმოთა პროვატიზაციისათვის, რამდენადაც პრივატიზაციას მოითხოვდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, პრაქტიკაში დაინერგა ნულოვანი აუქციონების სისტემა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ საპრივატიზაციო საწარმოები გასაყიდად გამოიტანეს საწყისი ფასის გარეშე. მაგალითისათვის მეორე ნულოვან აუქციონს შევეხოთ, რომელიც 1998 წლის მარტ-აპრილში განხორციელდა. რამდენადაც საწარმოებს არ გააჩნდათ საწყისი ფასი აქციები განაწილდა მყიდველების მიერ გადახდილი თანხების პროპორციულად, ამ გზით გაყიდული სამი კატეგორიის საწარმოების აქციები. პირველ კატეგორიაში მოხვდნენ ის საწარმოები რომელთა ფულად აუქციონებზე გაყიდვის სამი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, მეორე კატეგორიაში შედიოდნენ ის „სტრატეგიული“

საწარმოები, რომელთა საკონტროლო პაკეტების მფლობელები არ გამოუჩნდათ: ამ საწარმოთა სახელმწიფო აქციები გამოტანილი იყო ნულოვან აუქციონზე მსოფლიო ბანკთან დადებული შეთანხმების თანახმად, რომელიც ითვალისწინებდა სტრატეგიული საწარმოების 65 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქციათა პრივატიზებას. მესამე კატეგორიას კი მიეკუთვნებოდნენ ის საწარმოები, რომელთა აქციების 5 პროცენტზე ნაკლები სახელმწიფოს მფლობელობაში იყო. ნულოვან აუქციონზე გაყიდულ აქციათა საერთო ნომინალურმა ღირებულებამ 62,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რამაც სახელმწიფო 3,73 მილიონი ლარის შემოსავალი მოიტანა. აქ მოტანილი მსჯელობიდან საყურადღებოა ბოლო ორი ციფრის თანაფარდობა, ანუ სახელმწიფომ მიიღო 30-ჯერ ნაკლები შემოსავალი, ვიდრე ამ აქციათა ნომინალური ღირებულება.

რამდენადაც ნულოვანმა აუქციონმა მიიღო ქვეყნისათვის დამღუპველი მიმართულება, საერთაშორისო საფინანსო ორგანოების რეკომენდაციების გავლენით, პრაქტიკაში დაინერგა პრივატიზაცია ‹საინვესტიციო ტენდერით“. ამ გზით გაიყიდა უმსხვილესი საწარმოების საკონტროლო პაკეტები. ამ საწარმოთა უმეტესობა უცხოელმა ინვესტორებმა ან ერთობლივმა ფირმებმა შეიძინეს. ტენდერის პირობები ყველა შემთხვევაში ითვალისწინებდა საწარმოთა პროფილის შენარჩუნებას, ინვესტორების პროგრამას და დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნების გაზრდას ან შენარჩუნებას, საერთოდ სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ როგორც წესი ტენდერის პირობები შემდგომ არასრულად იქნა დაცული.

პრივატიზაციის პროცესის არასათანადო ორგანიზებულობის გამო დღეისათვის გაყიდულია მრეწველობის ძირითადი ფონდების აბსოლუტური უმრავლესობა 80-90 პროცენტი, რომელთა ნომინალური ღირებულება დაახლოებით 13-15 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო ამ გზით ამოღებული თანხების სიდიდე ძალზეც სიმბოლურია და 300

მილიონ აშშ დოლარს აღემატება. დღეისათვის მრეწველობის ობიექტიდან სახელმწიფო დაახლოებით ორასამდე საწარმოში ფლობს საკონტროლო პაკეტს, დანარჩენი პროვატიზებულია და პროვატიზაციის პროცესი მიმდინარეობს.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელებამ მისი გაუთვლელობის და არასაკმარისი ორგანიზაციული უზრუნველყოფის გამო, თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსზე, რეფორმების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველო უარყოფითი ექსპორტ-იმპორტის სალდოთი ხასიათდებოდა და იგი არათანაბარი იყო ცალკე წლების მიხედვით. 1977 წელს უარყოფითმა სალდომ შაედგინა 608448 ათასი აშშ დოლარი, 1998 წელს - 854478 ათასი აშშ დოლარი. 1999 წელს - 381832 ათასი აშშ დოლარი, 2000 წეკს - 370334 ათასი აშშ დოლარი. თუ აღნიშნული ციფრების სანდგოობას ვირწმუნებთ, მაშინ გამოდის, რომ უარყოფითი სალდოს სიდიდე დიდად არ განსხვავდებოდა 1977 და 1978 წელს, ასევე 1999 და 2000 წლებისათვის, ხოლო 1978წლიდან 1978 წლისათვის იგი ორჯერ და მეტად შემცირდა. აბსოლუტურ მაჩვენებლებში აღნიშნული პროცესიი ასე გამოიყურება, 1978 წელს მთლიანმა ექსპორტმა შეადგინა 194027 ათასი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა 1048607,1 ათასი აშშ დოლარი. 1999 წელს ექსპორტი იყო 240745 ათაში აშშ დოლარი, იმპორტი - 622580,7 ათასი აშშ დოლარი. მოყვანილი ციფრების მიხედვით ექსპორტი, მოცულობა ამ საანალიზო პერიოდში დიდად არ შეცვლილა, სამაგიეროდ საგრძნობი ცვლილებაა იმპორტის მოცულობაში, მისი სიდიდე - 426026,4 ათასი აშშ დოლარია, ანუ 40 პრეოცენტზე მეტით შემცირდა. საეჭვოა, რომ ასეთი შემცირება ობიექტურ რიცხვებს ეფუძვნებოდეს. აქ საქმე უნდა გვქონდეს იმპორტირებული პროდუქციის მოცულობის აღურიცხაობასთან, რამდენადაც ჩვენთან იმპორტზე გადასახადთა განაკვეთები დიდია, მომტანი მისი დამალვით დაინტერესებული. ხოლო ექსპორტზე გადასახადები ძალიან მცირეა

ამიტომაც ის ბიზნესმენები, რომლებიც თავიანთი პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანას უზრუნველყოფენმ არ მალავენ მის მოცულობას. აქ ადგილი გვაქვს უფრო პროდუქციის ფასის ხელოვნურ შემცირებასთან, ხშირად მყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე, იშვიათად კი ასეთი დაინტერესება მოდის გამყიდველისგან. უმეტესად იმ შემთხვევაში, როცა პრივატიზებული საწარმოებიდან მანქანა-დანადგარების გატანა ხორციელდება. ამ შემთხვევაში შიგა საგადასახადო კანონმდებლობისაგან თავის დაცვის მიზნით, საქონელი ფორმდება ჯართად ან მცირეფასიან პროდუქციად.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების და ეკონომიკის რეფორმების დასაწყისისათვ ის საკმაორდ დაბალი საგარეო სავალო ვალდებულებები ჰქონდა. თუმცა 1992-1994 წლებში წარმოების მოცულობის სწრაფი დაცემის, საექსპორტო ბაზის შემცირების, ხორბალზე მოტხოვნილებების და იმფორტულ ენერგომატარებელზე ფასის ზრდის პირობებში, უკვე 1994 წლის ბოლოსათვის ქვეყნის საგარეო ვალდებულებებმა თითქმის 1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ამ პერიოდისათვის საქართველოს ვალდებულებები ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებთან 664 მილიონი აშშ დოლარს შეადგენდა. მნიშვნელოვანი დავალიანებები წარმოიშვა თურქმენეთთან, რუსეთთან და ყაზახებთან

აღებული კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირისა და საწვავის შეძენას მოხმარდა, რითაც მოსახლეობაში ცოლიალური დაძაბულობა შემცირდა.

საქართველოს 1994 წლამდე მიღებული საერთაშორისო კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი და მოკლე პერიოდი ჰქონდათ. ამ დროისათვის კრედიტების მომსახურეობაშე გაწეულმა საერთო თანხამ 150 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლის და მომსახურეობის ექსპორტის 31 % შეადგინა. ოფიციალური რეზერვების სწრაფმა შემცირებამ გამოიწვია ახალი სესხების აღება 409 მილ. აშშ დოლარის

ოდენობით 1994 წელს. მომდევნო 1995 წელს მომსახურეობის დანახარჯმა 325 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლის და მომსახურეობის ექსპორტის 69 % იყო. დღეისათვის - 2001 წლის ბოლოსათვის საქართველოს საგარეო დავალიანება 2,1 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია.

რეფორმების პროცესში საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

1. ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი კ რ ე დ ი ტ ე ბ ი - რომლებსაც საფუძლად დაედო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უბბეკეთი) სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (დაახლოებით 13 %)

2. ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო კ რ ე დ ი ტ ე ბ ი - რომელსაც საფუძვლად დაედო მოწოდებული პროდუქციის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (დაახლოებით 45%).

3. ს ა რ ე ა ბ ი ლ ი ტ ა ც ი ო კ რ ე დ ი ტ ე ბ ი - მისი საფუძველია მსოფლიო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ცალკეულ სახელმწიფოების მიერ მოცემული სესხები ამა თუ იმ დარგის აღდგენა - განვითარებისათვის (დაახლოებით 37%).

საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების სიმცირის გამო შეუძლია აღებული საგარეო ვალდებულებების სრულყოფილი მომსახურეობა, ამიტომ პრაქტიკაში ადგილი აქვს დავალიანების რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის გატარებას.

1992 – 1994 წლებში საქართველოს მიმართა ე.წ. ლიბერალურ ფულად საკრედიტო პოლიტიკას ხელოვნური ემისიის გზით. ამ და სხვა ფაქტორების გამო წარმოიშვა შიგა დავალიანებას, რომელიც დაახლოებით იგივე ოდენობისაა, რაც გარე დავალიანება.

ამ მონაცემებით იმის ჩვენებას შევეცადეთ, რომ ჯერ-ჯერობით ეკონომიკის რეფორმების პროცესმა დადებითი ეკონომიკური შედეგები ვერ მოიტანა, რადგან გასაუმჯობესებელია ქვეყანაში სამეწარმეო გარემო.

მრეწველობის ეკონომიკური კრიზისის დაძლევა შეუძლებელია საქართველოში მაკროეკონომიკური მართვის ეფექტიანობის ამაღლების გარეშე. უფრო სწორად ჯერ-ჯერობით საქართველოს მაკროეკონომიკური მმართველობა საერთოდ არ ხასიათდება ეფექტიანობით. მის გარეშე კი შეუძლებელია შეიქმნას წარმატებული სამეწარმეო და ბიზნეს გარემო. თუ კონკრეტული საწარმოთა ფუნქციონირების შედეგები უმეტესწილად თვით ამ საწარმოს მენეჯმენტით და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ფაქტორებით განისაზღვრება, როდესაც საქმე გვაქვს ეკონიმიკის დაცემასთან ან მისი რომელიმე დარგის - ჩვენს შემთხვევაში მრეწველობის კრიზისთან, მაკროეკონომიკურ ღონისძიებათა წვლილი მოვლენათა განვითარებაში განუზაზღვრელია. მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ეკონომიკა არ არსებობს სახელმწიფო რეგულირების გარეშე, ასეთივე რეგულირებას ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკაც, რისთვისაც სახელმწიფოს უამრავი მექანიზმი და ბერკეტი გააჩნია. ამათგან ყველაზე თვალსაჩინოებია: საკუთრების ფლობის და ბაზრების ფუნქციონირების საკანონმდებლო საფუძვლების დამუშავება და მის ბაზაზე ბიზნესის წარმართვის ნორმების დადგენა; პროდუქციის და მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვა და გაყიდვა, სატრანსფერო გადასახადების განხორციელება; საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრა და გადასახადთა ამოღების პროცესის წარმართვა; სახელმწიფო რესურსების განაწილების წარმართვა და ა.შ. ეს ის მარეგულირებელი სფეროებია, რომელთა ეფექტიანობაზეც დამოკიდებულია ეკონომიკის მდგომარეობა. თავის მხრივ სახელმწიფო რეგულირების (ამ შემთხვევაში მაკროეკონომიკური) ეფექტიანობის კრიტერიუმი ეკონომიკის და მისი შემადგენელი დარგების განვითარების ტემპებია. სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის შემთხვევაში შეიძლება

ვიმსჯელოთ მაკროეკონომიკური მართვის ეფექტიანობაზე და პირიქით - ეკონომიკის განუვითარებლობის შემტხვევაში, საქმე გვაქვს მაკროეკონომიკური მართვის უვარგისობასთან. თუმცა ითვლება, რომ სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში ანუ მთლიანად საბიუჯეტო სექტორში დაკავებულთა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია ხოლმე. მაგალითად აშშ-ში იგი მთელი დასაქმებული მომუშავეთა დაახლოებით 16 %-ია, ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებში ეს მონაცემები მერყეობს 14-18 პროცენტის ფარგლებში. საქართველოში სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში დაკავებულთა რიცხოვნებას, ისე, როგორც საერთოდ დასაქმებულთა რიცხოვნებას საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი არ აფიქსირებს. ასეთი მაცვენებლის მიღება მხოლოდ გარკვეული ირიბი მონაცემების დამუშავებითაა მოსახერხებელი. 1999 წელს დაქირავებული შრომით დასაქმებულთა რიცხოვნებას, თუ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით ვიანგარიშებთ გამოდის 288 ათასი კაცი. 1998 წლის ანალოგიურ ცნობებში დაქირავებული შრომით დასაქმებულთა რიცხოვნება 785 ათასი კაცითაა განსაზღვრული, ხოლო 2001 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვი 2,1 მლნ. კაცია, რომელთა 88,6 პროცენტი დასაქმებულია ხოლო 11,4 პროცენტი უმუშევარი. ამ ბოლო მონაცემებიდან გამოდის, რომ ჩვენთან უკეთესი მდგომარეობაა შრომის ბაზარზე, ვიდრე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, რაც თავისთავად აბსურდია. ჩვენი გაანგარიშებით საქართველოში დაქირავებული შრომით დაკავებულთა რიცხვი 735 ათასი კაცია (არ იგულისხმება ერთობ გაუგებარი თვითდასაქმებულთა კატეგორია), აქედან სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულია 300 ათას კაცამდე, ხოლო დანარჩენი 435 ატასი კაცი სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულნი არიან. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საქართველოში დასაქმებულთა პროცენტი სახელმწიფო სტრუქტურებშია, ანუ მთელ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის

20,7 პროცენტი და თვითდასაქმებულთა გათვალისწინებითად კი მათში 23,4 პროცენტი სახელმწიფო მართვის ორგანოებში არიან დაკავებულნი. მიუხედავად იმისა მაკროეკონომიკური მართვის ეფექტი საქართველოში მინიმალურია.

ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მუხრუჭი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისადმი უნდობლობაა. აღნიშნული ყალიბდება ეკონომიკის მართვის ცენტრალური ორგანოების მიერ ზოგჯერ გამოცხადებული შეღავათების გაუქმებით. მაგალითად, ეკონომიკის სტიმულირებისათის მთავრობამ შეიძლება გამოაცხადოს ინვესტიციათა შეღავათიანი დაბეგვრის პოლიტიკა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობის აღმოფხვრის მოტივით, უარი თქვას მასზე. ასეთ ქმედებებს საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი. მეორე რიგის მაგალითია სახელმწიფოს მხრიდან პატენტის დაუცველობა. როდესაც სახელმწიფო არ გამოდის გარანტად პატენტის მოქმედების მთელი ნორმატიული დროის პერიოდში აღმოჩენებისა და გარიგებების ავტორთა აქსკლუზიური უფლებების უზრუნველსაყოფად. ასეთი არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად ინვესტორები უბრალოდ იზღვევენ თავს და არ ახორციელებემ ბიზნესში ინვესტიციას. ეკონომიკური აგენტების პოლიტიკის ეფექტიანობა მინიმუმამდე ეცემა.

ოპტიმალური და მეცნიერულად დასაბუტებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ეკონომიკა ვერ ასცდება ბუნებრივი განვითარებისაგან გადახრებს. როგორც აღიარებულია ეკონომისტთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ, თუ ეკონომიკური აგენტები, ისეთები, როგორიცაა საოჯახო მეურნეობები და ფირმები, პესიმისტურად აფასებენ ეკონომიკურ პერსპექტივებს ისინი ამცირებენ გასავლებს, ანუ ადგილი აქვს პროდუქციასა და მომსახურეობაზე მოთხოვნილების სემცირებას. ერთობლივი მოთხოვნილების შემცირება ტავის მხრივ განაპირობებს პროდუქციის წარმოებისა და

მომსახურეობის გაწევის მოცულობის სემცირებას. ფირმები ათავისუფლებენ მომუშავეებს ანუ ადგილი აქვს უმუშევრობის ზრდას, ამავე დროს მშპ და სხვა ეკონომიკური პარამეტრები მცირდება. უმუშევრობის ზრდა იწვევს ამ კატეგორიის ადამიანთა შემოსავლების შემცირებას, რაც ძალაუნებურად კიდევ უფრო ამცირებს მოთხოვნილების მოცულობას და ასე ჯაჭვური ურთიერთდამოკიდებულებებით ეკონომიკური დაცემის თავიდან აცილება შეუძლებელი ხდება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში, მაკროეკონომიკური პოლიტიკისადმი უნდობლობის გადიდებას, რასაც აღნიშნული პროცესები მოჰყვება „ფლუქტაციას“ უეოდებენ. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს რეცესიასაც - ეკონომიკური რესურსების უსარგებლო ხარჯვას. უმუშევრობი მონდომებულნი არიან ჰქონდეთ სამუშაო და შესაბამისი შემოსავლები. ასევე წარმოების ფუნქციონირებით და გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდით არიან დაინტერესებულნი მეწარმეებიც, მაგრამ არასათანადო მაკროეკონომიკური პოლიტიკა აიძულებს მათ საპირისპირო ქმედებისაკენ. მაკროეკონომიკური პოლიტიკა გამართლებული და კანონზომიერია, მაშინ როცა იგი უზრუნველყოფს ფლუქტაციის აღმოფხვრას და სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას. [21]

ეკონომიკური დაცემის თავიდან აცილებისას მძლავრი მაკროეკონომიკური იარაღია სწორი მონეტარული პოლიტიკის გატარება. არა მარტო მონეტარისტების მიერ, არამედ ეკონომისტთა აბსოლურური უმრავლესობის მიერაც, აღიარებულია, რომ დროის მოკლევადიან პერიოდში, მაშინ როდესაც მოსალოდნელია ფლუქტაცია, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს რომელიმე იმ დარგის ფინანსური დახმარება, რომელიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს და შემდეგ იდიკატირული ეფექტით ეკონომიკურ პროცესებს სტიმული მოეცემა, თუნდაც ეს მოხდეს ფულადი მისიის გადიდებითა და შესაბამისად

ინფლაციის ზრდით. მაგრამ საქართველოში ასეთი მაკრო ეკონომიკურ მექანიზმის არეალი არსებული სიტუაციის გამო, ძალზედ შეზღუდულია. შეზღუდულია იმიტომ, რომ ჯერ ერთი ლარს დაკარგული აქვს ნდობა მოსახლეობაში, იგი თითქმის ვერ ასრულებს ფულის ერთ-ერთ ძირიტად ფუნქციას დაგროვების ფუნქციას. ლარი არაკონვერიტირებადია საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს გარეთ და ნაწილობრივ ქვეყნის შიგნითაც. არის ტერიტორიის გარკვეული ნაწილები, სადაც ეროვნული ვალუტა არ არის გაცვლის ერთადერთი საშუალება, ამასთან მოსახლეობაც და ფირმებიც ამჯობინებენ ქვეყნის შიგნითაც კი დეპოზიტზე იქონიონ მხოლოდ საზღვარგარეთული ვალუტა აშშ დოლარი ან ევრო. ამდენად ეროვნულ ბანკს სხვა საშუალება არ აქვს, გარდა იმისა, რომ ლარი მიაბას, რომელიმე უცხოურ ვალუტას. მაგალითად აშშ დოლარს. ამ მიბმულობისაგან გამომდინარე ეროვნული ბანკის ყოველი მცდელობა ამა თუ იმ დონით განახორციელოს ემისია, უშუალოდ აისახება სავალუტო ბაზრის კურსზე და მისგან მიღებულ ეფექტს მინიმუმამდე დაიყვანს. უფრო მეტიც, ეფექტი მხოლოდ უარყოფითუ შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარე ბანკს და მისი სახით ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს ფულადი მასის ზრდა მხოლოდ იმ ზომით, რომელიც პროპორციული იქნება აშშ დოლარის ინფლაციის სიდიდის.

ლარის არასაკმარისი კონვერტირებულობის გამო საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გავლენაც საბანკო პროცენტის სიდიდეზე მინიმალურია, თუ აშშ-ში ფედერალურ სარეზერვო სისიტემას შეუძლია მათ მიერ კომერციულ ბანკენზე და სხვა საფინანსო ინსტიტუტებზე გაცემული კრედიტის პროცენტით არეგულიროს საპროცენტო განაკვეთები ეკონომიკაში, საქართველოს ეროვნული ბანკი ვერ დაუშვებს კომერციულ ბანკებზე სესხების მნიშვნელოვან გაცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში ტავიდან ვერ აიცილებს ჰიპერინფლაციას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1992 – 1994 წწ.-ში, ამიტომ საქართველოს

საფინანსო ინსტიტუტები სარესურსო წყაროებს მხოლოდ საკუთარი სახსრები და უცხოურ კომერციული ბანკებიდან მიღებული საფინანსო არხები წარმოადგენენ. ამდენად ამ მხრივ კრედიტის პროცენტის სიდიდე, უკვე წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელოვანწილად, აქ ზემოქმედება შეიძლება გატარდეს მხოლოდ სარეზერვო წილის მოცულობის დადგენის მიხედვით და ესეც შეზღუდულია, რამდენადაც სარეზერვო ნორმატივმა უნდა უზრუნველყოს ბანკების გაკოტრების რისკის მინიმიზაცია, ხოლო ნორმატივის ზრდა იწვევს საბანკო სესხის პროცენტის ზრდას.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სახელმწიფო ბიუჯეტია. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დონით შესაძლებელი ხდება ეკონომიკურ პროცეზებზე ზემოქმედება. ბიუჯეტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის მიერ აღებული სესხი - ეროვნული ბანკიდან ან უცხოეთიდან. ეროვნული ბანკიდან სესხის არების მოცულობა როგორც უკვე ავღნიშნეთ შეზღუდულია, ამიტომ ერთადერთ ქმედით წყაროდ რცება უცხოეთის სესხები და შიდა ვალების დაგროვება, რომლის მიხედვით საქართველოში არც ისე სახარბიელო მდგომარეობა. აქ ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენს 2,1 მილიარდ აშშ დოლარს და დაახლოებით ამდენივეა შიგა ვალიც, ანუ მთლიანად ვალების სიდიდე დაახლოებით 4,2 მლრდ. აშშ დოლარია. თუ საქართველოს მოსახლეობას მილიონ კაცად ჩავთვლით, მაშინ ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით ვალების მოცულობა 1050 აშშ დოლარია. ქვეყნის მოსახლეობის შემოსაბლები, რომ ნორმალური იყოს, მაშინ ეს ციფრი საბსებით ნორმალურია, რამდენადაც აშშ-ში შესაბამისი მაჩვენებელი 14 000 დოლარის ტოლია. მაგრამ იქ საშუალოდ ერთ სულზე შემოსავლენი შეადგენს 25 000 აშშ დოლარს. საქართველოში კი საშუალოდ 500 დოლარს წელიწადში. აქედან გამომდინარე ბიუჯეტის

დეფიციტის მინიმალურად შენარჩუნება მოსახლეობის შემოსავლების გადიდების გარეშე სათუოა.

საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში მაკროეკონომიკური მართვის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობასთან ერათად საჭიროა მიკროეკონომიკური პრობლემების თანდათანობითია გადაწყვეტა. ამ ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია წარმოების ტექნიკური ბაზის სრულყოფა, მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების და პროდუქციის რეალიზაციის სისტემის გაუმჯობესება და მაღალკვალიფიციური კადრებით საწარმოთა უზრუნველყოფა.

ბოლო 10 – 15 წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის მუშაობა არ ჩატარებული, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე უპირატესად კვების მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც დღეისათვის წარმატებით ფუნქციონირებენ და რომელთაც უცხოური ინვესტიციებით, უფრო იშვითად კი საკუთარი კაპიტალით შეძლეს უზრუნველყოთ ძირითადი კაპიტალის ხარისხობრივი და ტექნიკურ - ეკონომიკური პრამეტრების გაუმჯობესება ახალი მანქანა - დანადგარების შემოტანის და დადგმის, შენობა - ნაგებობათა რემონტის, ავტომატური ხაზების და მექანიზაციის საშუალებების დამონტაჟებით. საერთოდ კი მრეწველობაში არსებული ძირითადი კაპიტალის ასაკი საშუალოდ 25 – 30 წელია. აქედან მუშა მანქანების და იარაღების საშუალო ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 20 – 25 წლის ფარგლებშია, რაც თუ გავითვალისწინებთ მეცნიერულ ტექნიკური პროგრესიის გავლენით მანქანა - იარაღების მორალური დაბერების 10 – 12 წლის პერიოდს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მრეწველობაში არსებული ძირითადი კაპიტალი - წარმოების ტექნიკური ბაზა - მორალურად მოძველებულია და არ შეესაბამება ტექნიკური ღონისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

ტექნიკური გადაიარაღების პრობლემა ერთნაირად მნიშვნელოვანის მრეწველობის პრივატიზებული საწარმოებისათვისაც და ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სამრეწველო საწარმოებისათვისაც. ეს მიუხედავად ამისა, რომ ზოგიერთ სამრეწველო და აქედან გამომდინარე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა არ დგას.

საქართველოს იმ საწარმოების რიგს, რომელთა წარმოებული პროდუქციის გასარების პრობლემა არ დგას, მიეკუთვნება ზესტაფონის პეროშენადნობი ქარხანა, „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტი, რუსთავის აზოტი და სხვები. მოკლედ შევეხოთ ჩამოთვლილი საწარმოების ტექნიკური ბაზის მდგომარეობას.

ზესტაფონის შეროშენადნობი ქარხნის აქციათა პაკეტების უმეტესობა გადამწყვეტი ხმის უფლებით სახელმწიფო განმგებლობაშია, დანარჩენი აქციათა პაკეტი კი უცხოურ ინვესტიციებს (თურქებს) ეკუთვნის. აღნიშნული საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ორ ძირითად სახეობაზე - ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმზე. მიუხედავად ამისა, რომ მსოფლიოში საერთოდ შეინიშნება შავი მეტალურგიის საწარმოო სიმძლავრეების შემცირება, მაინც დიდი მოთხოვნილებაა და რაციონალური მენეჯმენტის პირობებში ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის რეალიზაცია პრობლემას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა საწარმო 2000 – 2002 წლებში დატვირთულია მისი სიმძლავრის მხოლოდ 10 პროცენტით. ქარხნის ძირითად კაპიტალს 1986 წლის შემდგომ არცერთი მნიშვნელოვანი აგრეგატი არ შემატებია. პირიქით არსებული მანქანა - მოწყობილობებიდან ზოგიერთი ცამოიწერა და გაიყიდა, ხოლო რამდენიმე ღუმელი საერთოდ უმოქმედოთაა დამხმარე მოწყობილობათა მწყობრიდან გამოსვლის გამო.

რუსთავის „აზოტში“ 1989 წლიდან მწყობრში არ ჩამდგარა არცერთი მნიშვნელოვანი აგრეგატი. აქაც საწარმოო სიმძლავრეები არ

არის სრულად დატვირთული. წლების განმავლობაში ვერ ხერხდება ქარხნის თანაბარი დატვირთვით მუშაობის უზრუნველყოფა, ამასთან ერთად ამიაკის საამქროში გაიძარცვა ერთ*ერთი აგრეგატი, რომლის ძირითადი კომპონენტის ძვირფასი ლითონი - პლატინა წარმოადგენს და იგი კატალიზატორის როლს ასრულებს ქიმიურ პროცესებში, რის გამოც საწარმოო სიმძლავრეები ცალკეული საამქროების მიხედვით არაპროპორციულია და ჯერ-ჯერობით მის აღმოფხვრისათვის ახალი დანადგარის შეძენა არ დგას დღის წესრიგში. აღნიშნულის გამო მექანიზაცია - ავტომატიზაციის დონე ქარხანაში 1990 წლის შემდეგ გადიდების მაგიერ შემცირდა კიდეც.

ანალოგიური სიტუაციაა „ჭიათურმანგანუმში“. აქ ბოლო ათწლეულში არ შეუძენიათ არც ერთი საშახტე ელმავალი, მადნის მოსანგრევი ექსკავატორი და სატვირთო ვაგონები. უფრო მეტიც რემონტის ჩაუტარებლობის გამო მწყობრიდანაა გამოსული ბაგირ-გზები, ისინი ვერ ფუნქციონირებენ, ხოლო მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის სიმძლავრის უმეტესი ნაწილი არაქმედუნარიანია. აქედან გამომდინარე, წარმოების მექნიზაციის და ავტომატიზაციის დონე მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

საქართველოს მრეწველობის მნიშვნელოვან საწარმოებში, მიუხედავად მათი სიმძლავრეების უმნიშნელოდ დატვირთვისა, ჯერ-ჯერობით მაინც შენარჩუნებულია ტექნიკური ბაზა, მისი გაუმჯობესება მართალია არ ხდება, მაგრამ იგი მაინც საკმარისია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის ან მოითხოვს მცირე მასშტაბის მოდერნიზაციას. ასეთებია ქუთაისის საავტომობილო სატრაქტორო და ლითოფონის ქარხნები, თბილისის საავიაციაო და ელმავალთმშენებელი ქარხნები, „მიკროძრავა“, „ელექტროაპარატი“, ბათუმის და ფოთის გემთმშენებელი ქარხნები, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა და სხვა. აღნიშნულ საწარმოებს ხელსაყრელი მიკროეკონომიკური კლიმატის პირობებში და რაციონალური მენეჯმენტით, დროის მოკლე

მონაკვეთში შეუძიათ დაასაქმონ მნიშვნელოვანი რაოდენობის (დაახლოებით 200 ათასი კაცი) პერსონალი და უზრუნველყონ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება.

კრიზისში მყოფი საქართველოს მრეწველობის გაჯანსაღების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა. საქართველოში მრავლადაა ღვინის ქარხნები (80 ერთეულამდე), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არ ფუნქციონირებას ან რომელთა საწარმოო სიმძლავრეები მინიმალურადაა დატვირთული, თუმცა ამ ქარხნების ტექნიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვანია. ასევე შეიძლება ითქვას საკონსერვო წარმოებაზეც. აქაც ტექნიკური ბაზა ძირითადად სენარჩუნებულია, მათი უმეტესობა ან არსებული ხაზების მოდერნიზაციას საჭიროებენ და მზად არიან ფუნქციონირებისათვის. მათი ამუშავების შემთხვევაში დიდი სტიმული მიეცემა მეხილეობის განვითარებასაც.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ტექნიკურ ბაზას რაც შეეხება, აქ უფრო მძიმე მდგომარეობაა. ამ საწარმოთა უმეტეს ნაწილში ძაფის სართავი და სამკრევალო დანადგარები ან ჩამოიწერა ან საზღვარგარეთ გაიტანეს, ხოლო არსებული ტექნიკური პარამეტრები არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. თუმცა სანედლეულო ბაზის განვითარების შემთხვევაში აქაც შესაძლებელია მნიშნელოვანი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება.

საქართველოს მრეწველობაში ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამაღლების ძირითად შემაფერხებლად აქ იაფი მუშახელის არსებობა და მზა პროდუქციის რეალიზაციისათვის არახელსაყრელი პირობების არსებობა უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ტექნიკური პროგრესისადმი ხელშეწყობა, როგორც ამ მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციების შეღავათიანი დაბეგვრის გზით, ასევე ზოგჯერ პირდაპირო დოტაციითაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ასევე

მნიშვნელოვანია საპატენტო საქმის ორგანიზაციის განმტკიცება და პატენტმფლობელთა უფლებების აუცილებელი აღსრულების ოპერატიული უზრუნველყოფა.

საქართველოს მრეწველობაში კრიზისის დაძლევის მიკროეკონომიკური პრობლემათაგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მატერიალური ტექნიკური მომარაგების და პროდუქციის რეალიზაციის საკითხებია. ამ მიმართულებით პრობლემის მასშტაბურობაზე ისიც მიუთითებს, რომ ისეთი საშუალო სიდიდის ქარხანა, როგორიც ვთქვით ქუთაისის საავტომობილო ქარხანაა, მისი სრული დატვირთვის დროის, საწარმოო კავშირები ჰქონდა 500-ზე მეტ მომწოდებელთან. ასევე კავშირების აღდგენის ან ყოფილი მომწოდებლების ჩანაცვლების გარეშე კი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება შეუძლებელია. განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე, არსებული კავშირები მოიშალა, რომელთა აღდგენის და ზოგიერთი მიმწოდებლის ახლით ჩანაცვლების გარეშე კი ქარხნის სრულად ამოქმედება ვერ მოხერხდა.

სახელმწიფო საკუთრების და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ცენტრალურად, დირექტულად განაწილების დროის მომარაგების საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო. საქართველოს დამოუკიდებლობამ და ეკონომიკის დეცენტრალიზაციამ, პრივატიზაციამ და კერძო საკუთრების განვითარებამ, ობიექტურად გამოიწვია მანამდე არსებული მჭიდრო საწარმოო ურთიერთობების რღვევა, ხოლო მომარაგების სისტემის ახლით ცანაცვლება ვერ განხორციელდა და ამისათვის სისტემის ახლით ჩანაცვლება ვერ განხორციელდა და ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნაც გაუმართლებლად ჭიანურდება.

სამრეწველო საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ძირითადი და დამხმარე მასალებით მომარაგება, უამრავი დასახელების მაკომპლექტებელი ნაკეთობები და ნახევარფაბრიკატები, სათბობისა და

ენრეგიის სხვადასხვა წყაროები და ა.შ. ყველა ამათი პირდაპირი კავშირებით მოპოვება, სათანადო ხელშეკრულებათა გაფორმება, თითოეული ხელშეკრულების მიხედვით ორგანიზაციული და მენეჯმენტის საკითხების გადაწყვეტა ძალიან რთულია, ხოლო რიგ შემთხვევებში შეუძლებელია. ამასთან ერთად კერძო ინიციატივაზე დაფუძვნებული ეკონომიკის პირობებში აუცილებლობას წარმოადგენს მომარაგების ალტერნატიული - სარეზერვო წყაროების არსებობაც. ამ უკანასკნელის მიღწევისათვის ქვეყანაში ფართოდ განვითარებას საჭიროებს ორგანიზებული სასაქონლო ბირჟების არსებობაც. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შემდეგ პარაგრაფში შევეხებით. აქ ავღნიშნოთ მხოლოდ, რომ საქართველოში სასაქონლო ბირჟების არ არსებობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზითაცაა განპირობებული.

მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების უზრუნველსაყოფად საქართველოში არასაკმარისია საბანკო - საკრედიტო სისიტემის დონეც. არსებული კომერციული ბანკები ჯერ ერთი ვერ სარგებლობენ საერთაშორისო აღიარებით, დაბალია მათი საიმედოობა შესაბამის უცხოურ საკრედიტო დაწესებულებებთან მიმართებაში და მეორეც - თვითონ სამრეწველო საწარმოებსა და მათ მომსახურე ბანკებს შორის საიმედობას და ურთიერთნდობის ქვოტა ძალზე დაბალია. მისი დაძლევა კი ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა სამრეწველო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისათვის სათანადო გარემოს შესაქმნელად. ამ მიმართულებით დიდი სახელმწიფო მმართველობის და ეროვნული ბანკის როლი როგორც შესაბამისი სამართლებრივ - საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე სადაზღვევო სისტემის განვითარებისათვის ხელშეწყობის მხრივაც.

მიკროეკონომიკურ პრობლემათაგან ერთ-ერთ ყველაზე ძირითადი მიმართულებაა საწარმოთა შესაბამისი კადრების უზრუნველყოფა. ეს შეეხება როგორც ძირითად და დამხმარე მუშებს,

ასევე უფრო მეტად, კვალიფიციურ ინჟინერ - ტექნიკურ პერსონალს - მენეჯერებს და სპეციალისტებს. საქართველოს მრეწველობაში დასახმებული იყო მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 28 პროცენტი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. რაც რაოდენობრივად თუ გავითვალიწინებთ ამ პერიოდში დასამებულთა საერთო რიცხვს 2,5 მილიონ კაცს, სეადგენს 700 ათას კაცს, 2001 წელს კი მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვმა მხოლოდ 354 ათასი კაცი შეადგინა და ესეც ძალიან გაზრდილი მაჩვენებელია, რამდენადაც მრეწველობის პროდუქციის მოცულობის რამდენიმე ათეულჯერ შემმცირების ფონზე შეუძლებელია დასაქმებულთა მხოლოდ ორჯერ შემცირება. მიუხედავად ამისა ფაქტია, რომ სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულთა შემცირება მნიშვნელოვანია გამონთავისუფლებულმა მომუშავეებმა თავიანთი შრომის დასაქმება უზრუნველყვეს სხვა - გაცილებით დაბალვალიფიცირებულ სამუშაოებზე ან საერთოდ უმუშევრები არიან, ანუ მათი კვალიფიკაცია არ ამაღლებულა, უფრო მეტიც ცნობილი ფაქტია, რომ სამუშაოს ხანგრძლივად სეუსრულებლობის შემთხვავაში მომუშავეთა კვალიფიკაციის დონე მცირდება. ამიტომ მართალია ჯერ-ჯერობით არ იგრძნობა მრეწველობის გამოცოცხლება, მაგრამ ეს გარდაუვალი პროცესია და აქ არ შეიძლება მრეწველობის კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფის პრობლემამაც არ იჩინოს თავი.

თავისუფალი, კერძო ინიციატივის მქონე ეკონომიკისათვის, ნეოკლასიკოესებისათვის შეხედულებებით, რაც საერთოდ გაბატონებულია ეკონომიკურ მეცნიერებაში, შრომა იგივე საქონელია, როგორც წარმოების სხვა ფაქტორები - ძირითადი კაპიტალი და ფინანსური რესურსები. ასეთ შეხედულებას შეუძლებელია ნაწილობრივ არ დავეთანხმოთ, მაგრამ ამავე დროს შრომა არის განსაკუთრფებული წარმოების ფაქტორი, რომელიც ნიშანთა გარკვეული ერთობლიობით

ჰგავს კიდევაც კაპიტალს, მისი კლასიკური გაგებით და განსხვავდება კიდეც მისგან.

მსგავსება უპირველესად იმით გამოვლინდება, რომ შრომა, როგორც ნებისმიერი კაპიტალი (საქონელი) იყიდება ბაზარზე (შრომის ბირჟა) და გააჩნია გარკვეული ფასი, მაგრამ ამავე დროს შრომა განყენებულად, როგორც ასეთად არ არსებობს, შრომის აუცილებელი ატრიბუტი ადამიანია, ხოლო ადამიანი როგორც სუბიექტები, ინდივიდები, განსაკუთრებულ მოპყრობას, განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვეენ. ამიტომაც არ შეიძლება შრომის გირაოდ ცადება, მისი ყველგან და ნებისმიერ ადგილას ნებისმიერ პირობებში გამოყენება ამავე დროის ქყვეყნის კანომდებლობა უნდა განსაზღვრავდეს შრომის ფასის მინიმალურ სიდიდეს, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამიტომაც შრომის ბირჟა, არ შეიძლება თავისუფლად ფუნქციონირებდეს და მას რიგი ჯანონები და ნორმატიული აქტები ზღუდავს.

განსხვავებაა ჩვეულებრივ საქონელს და შრომას შორის ინვესტირების მიხედვითაც. საქონელში (კაპიტალში) ივესტიცია უკუგებას დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ იძლევა, ხოლო შრომითი პროფესიონალიზმის მიღწევისათვის გაწეული ინვესტიცია 20-22 წელიწადს საჭიროებს უკუგებისათვის, ხშირად დროის უფრო დიდ პერიოდებსაც. განსხვავებაა ამ ორი სახის ინვესტიციის მოსალოდნელ ეფექტს შორისაც. პროფესიონალიზმში ცადებული ჯერძო ინვესტიცია, შესაბამისი ეფექტის მიურებლობის დიდი ალბათობით გამოირჩევა. ამიტომ ამ მხრივ მუშაობის ძირითადი ტვირთი სახელმწიფოზე გადადის და მოსახლეობის განათლება და პროფესიონალიზმი საზოგადოებრივ-სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების რანგშია.

კადრების მომზადების მხრივ დიდ როლს ასრულებს, როგორც საშუალო საგანმანათლებლო სისტემა, ასევე უმაღლესი

სასწავლებლები. თუმცა საწარმოო პრაქტიკის ხშირ შემთხვევაში არ არსებობა, რამდენადმე ამცირებს მათი მომზადების კვალიფიკაციას. ასევე აღნიშვნის ღირსია საშუალო პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების ქსელის მოშლა, რომლის შესაბამისი საკავშირო და რესპუბლიკური მმართველობაც კი არსებობდა 1991 წლამდე და მის კედლებში მრავალი კვალიფიცირებული მუშა ყალიბდებოდა. ასევე არ შეესაბამება ტანამედროვე მოტხოვნებს კომერციულ უმაღლეს სასწავლებელთა ლიცენზირების ქმედითი ორგანიზაციული წესები და მისი პრაქტიკაში დანერგვა ჯერ-ჯერობით ვერ განხორციელდა. ასევე დეფიციტ განიცდის ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლები თანამედროვე ინფორმაციის მიღება - დამუშავების საშუალებების (კომპიუტერული ქსელების), ლაბორატორიული და ტექნიკური მოწყობილობების მხრივ, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს, თანამედროვე მოტხოვნათა დონეზე, სპეციალისტთა მომზადებაზე.

აღნიშნულის დაძლევის გზაზე უპრიანი იქნებოდა სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდა, ხოლო მისი არ არსებობის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებლების, როგორიცაა თსუ, სტუ და სსუ, სწავლების ფასიანი სექტორებიდან მიღებული შემოსავლები განთავისუფლდნენ დაბეგვრისაგან. ამით გაჩნდებოდა მეტი ფინანსური საშუალებები მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის და შრომითი ბირჟების ქსელის და მათი ავტორიტეტის ამაღლების პარალელურად, შესაძლებელი იქნება შრომის ბაზრის უზრუნველყოფა ახალგაზრდა და მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით.

საბაზრო ურთიერთობების განვითარება გულისხმობს დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტების ტავისუფალ ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში საფინანსო, შრომითი და სასაქონლო ნიშნებით განსაზღვრული კავშირები ყალიბდებიან და ქრებიან

ბაზრებზე. ამის შესაბამისად დღის წესრიგში დგება საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება ისე, რომ იგი იყოს ყველაზე მოსახერხებელი კომერციული ოპერაციების განხორციელებისათვის. შესაბამისა ბაზარი აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად მოთხოვნილებებს: საიმედოობას, ოპერატიულობას, მოტხოვნა - მიწოდების შესაბამისობას და ა.შ. აღნიშნულის მიხედვით არსებული ბაზრები ჩამოყალიბდებიან, როგორც სავალუტო, საფონდო, სასაქონლო. [22]

საბაზრო ინფრასტრუქტურა მოიცავს რა სამივე სახის ბაზარს გულისხმობს მათ შორის გარკვეულ ურთიერთობებსაც - პორდაპირს თუ ირიბს. სპეკულაციური ნიშნების გავლენის მინიმუმამდე შემცირების მოთხოვნილების გამო, ბაზრები საჭიროა იყვნენ ორგანიზებულნი, წარმომდგარი შესაბამისი ბირჟების სახით და რეგულირებადი, როგორც მსოფლიოში აღიარებული წესებით, ასევე ქვეყანაში მოქმედი კანონებითა და ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საბაზრო ინფრასტრუქტურებიდან დრეისათვის ჩვენთან ყველაზე უფრო მოწესრიგებულად მიიჩნევა სავალუტო ბაზარი. იგი გულისხმობს სავალუტო ურთიერთობებს ეროვნულ და კომერციულ ბანკებს შორის, კომერციულ და საკრედიტო დაწესებულებებს შორის, კომერციულ და საკრედიტო ინსტიტუტებსა და კლიენტებს შორის. ეროვნულ ბანკსა და სხვა კომერციულ - საკრედიტო ინსტიტუტებში ურთიერთვაჭრობა, რაც განსაზღვრავს ეროვნული ვალუტის კურსის შესაბამისობას სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართევაში, ხორციელდება უპირატესად საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ „ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე“. ეს ბირჟა საქართველოში არსებულ ბირჟათაგან ყველაზე უფრო მოწესრიგებულია და შესაბამისად ყველაზე მაღალი ავტორიტეტითაც სარგებლობს. ბირჟაზე ვაჭრობა იმართება კვირაში ორჯერ და ვაჭრობის შედეგების მიხედვით ეროვნული ბანკი ადგენს ვალუტის გადაცვლის ოფიციალურ კურსს მომავალ საბირჟო ვაჭრობამდე. ქვეყნის

ეკონომიკის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის სტაბილური გადაცვლის კურსების შენარჩუნება სხვა წამყვან სახელმწიფოთა ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში, ასევე ვალუტის ინფლაციის ტემპების ისე შენარჩუნება, რომ იგი არ გამოვიდეს საყოველთაოდ აღიარებული ინფლაციის ტემპების გარეთ.

ეროვნული ვალუტის სტაბილურობამ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ვაჭრობათა შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმეტესად მიღწეულია, თუ არ ჩავთვლით 1998 წლის სავალუტო კრიზისს, მაგრამ ლარის კურსის მცირედი ცვლილებაც კი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იწვევს მისდამი ნდობას გაუფასურებას, ხოლო ეროვნული ვალუტისადმი ნდობის მოპოვების პროცესი ხანგრძლივია და ძნელად მიიღწევა.

საქართველოში მოქმედი ეროვნული ვალუტა - ლარი მიმოქცევაში შემოვიდა 1995 წლის ოქტომბრიდან. მანამდე 1993 წლიდან მიმოქცევაში იყო ე.წ. გარდამავალი ფულის ერთეული - კუპონი. ამ უკანასკნელის შემოღებიდან აღებული იქნა ოფიციალური კურსი 1 კუპონი = 1 რუბლს, ანუ 1 აშშ დოლარი = 200 კუპონად იყიდებოდა. კუპონის შემოღებიდან უკვე ერთ წელიწადში 1 აშშ დოლარი 2 მილიონ 300 ათასი კუპონი იყო, ანუ მისი კურსი 11500 ჯერ დაეცა. აღნიშნულის მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ყოვლად გაუმართლებელი ფულად - საკრედიტო პოლიტიკა გახლავთ, ბუნებრივია 1993 – 1995 წლებში ლარის შემოღებამდე კუპონის ავტორიტეტი ნულის ტოლფასი იყო ეკონომიკური სუბიექტებისა და მოსახლეობისათვის, იგი სრულყოფილად ფულის ვერც ერთ ფუნქციას ვერ ასრულებდა. ლარის შემოღებიდან შეიქმნა წინაპირობები მისი ავტორიტეტის შექმნისათვის და მისდამი ნდობის ამაღლებისათვის.

ლარის შემოღებიდან ეროვნული ბანკი მის მიმართ ატარებდა „მართვადი მცურავი კურსის“ პოლიტიკას. 1996 წელს ლარის კურსი აშშ

დოლართან მიმართებაში 3,1 პროცენტით დაეცა (1,24 - დან 1,28 - მდე). 1997 წელს ლარის კურსი აღნიშნული მიმართებაში კიდევ 3 პროცენტით დაეცა (1,28 - დან 1,32 - მდე) 1998 წლის 5 – 6 სექტემბერს (არასაბანკო დღეებში), ვალუტის გადამცვლელ პონქტებში ლარის კურსი უეცრად მკვეთრად დაეცა და 1 აშშ დოლარი უკვე 1,8 – 2 ლარზე იცვლებოდა. ლარის კურსის შესანარჩუნებლად ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მასშტაბური ინტერვენციის განხორციელება სავალუტო ბირჟებზე, რასაც მართალია ვალუტის დროებითი გამყარება მოჰყვა, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგები გაცილებით მასშტაბური იყო. ლარის ნდობის დაკარგვის გამო უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილება მაღალი იყო, ვიდრე ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟა აფიქსირებდა. ეს კი იძლეოდა საფუძველს მართომასშტაბიანი სპეკულაციისათვის, რაშიც მონაწილეობდა კომერციული ბანკებიც. ბანკები ბირჟაზე აშშ დოლარს ყიდულობდა შედარებით დაბალი ფასით და მის გადაცვლას შესაბამის პუნქტებში ახორციელებდა გაცილებით მაღალი კურსით. ამით მცირდებოდა სახელმწიფო სავალუტო რეზერვები და ცუდად მოქმედებდა საწარმოთა დაკრედიტებაზე.

1996 წლის ეროვნული ბანკის წმინდა ინტერვეციამ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 97,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 1997 წელს 39,5 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 1998 წელს - 84,2 მილიონი აშშ დოლარი. ამით სახელმწიფო სავალუტო რეზერვების საერთოდ ამოწურვის საშიშროების წინაშე დადგა, რამაც განაპირობა ბირჟაზე ეროვნული ბანკის ინტერვეციაზე უარის თქმა. ლარის კურსი დაეცა დოლართან მიმართებაში 1,28 - დან 2,8 – 3 აშშ დოლარამე და შემდეგ დასტაბილურდა 1,80 – 1,85 ნიშნულამდე. სავალუტო კრიზისი ზოგიერთმა მკვლევარმა ახსნა ამავე დროის პერიოდისათვის რუსეთის საფინანსო კრიზისით, სადაც რუბლის კურსი დოლართან მიმართებაში 2,5 – 3 - ჯერ დაეცა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნდა და დღესაც გააჩნია სახელმწიფოს. სახელმწიფო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნენ რა სააქციო საზოგადოებებად. აქციების პრივატიზაცია მოახდინეს ტენდერის გამოცხადებით ან , ქონების მართვის სამინსტროში გამართულ აუქციონებზე. მაშინ, როცა უფრო დიფერენციაცია და ამ აქციათა ნომინალური ღირებულებების უფრო უპრიანი იქნებოდა აქციათა ნომინალური ღირებულებების უფრო დიფერენციაცია და ამ აქციათა ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გატანა ეს პროცესი მხოლოდ ეხლა იკიდებს ფეხს და ქონების მართვის სამინისტრო ცდილობს საპრივატიზაციო ობიექტების ნაწილის მართვის სამინისტრო ცდილობს საპრივატიზაციო ობიექტების ნაწილის პროვატოზება მაინც მოახდინოს ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე.

ფასიანი ქაღალდების ბირჟის ორგანიზაციული სტრუქტურა ჩამოყალიბებულია. მისი სრულად ამოქმედებისათვის საუცილებლობას წარმოადგენს საწარმოებში სააღრიცხვო საქმის მოწესრუგება, საპრივატიზაციო ობიექტების აქციათა ბირჟის მეშვეობით რეალიზაცია და ბირჟაზე გამოტანილი აქციების რაოდენობის გაზრდა ვაჭრობაში მონაწილე სააქციო საზოგადოებათა რიცხვის ზრდის საშუალებით.

საბაზრო ინფრასტრუქტურა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ საქართველოში ფართო გასაქანი არ მიეცემა სასაქონლო ბირჟების ქსელს. საქართველოს გეო-სატრანსპორტო მდებარეობა ისეთია, რომ აქ პერსპექტივაში აუცილებლად შეიქმნება რეგიონალური, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ხელსაყრელი სასაქონლო ბირჟა, ისე როგორც დრეისათვის ბაქოში მოქმედი ნავთობის ბირჟაზე ვაჭრობას ახორციელებს აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქმენეთის, ყაზახეთის, რუსეთუს და სახვა მეზობელ სახელმწიფოების წარმომადგენლები, მანამდე კი საჭიროა სწრაფად, სახელმწიფო ხელშეწყობით და უცხოელ

ინვესტორთა მოძიებით სეიქმნას ადგილობრივი მნიშვნელობის სასაქონლო ბირჟები მაინც.

სასაქონლო ბირჟების შექმნა, როგორც წესი წინ უსწრებს სავალუტო და საფონდო ბირჟების ფორმირებას, ჩვენთან კი ფაქტიური მდგომარეობა ესეთია, რომ ასე თუ ისე ფუნქსიონირებს ბირჟების დანარჩენი სახეობები, გარდა სასაქონლო ბირჟებისა. 1990 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებისას, როდესაც იგი არ იყო არც ერთი სახელმწიფოს მიერ აღიარებული, თბილისში შეიქმნა რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მათ შორის ღვინის და ჩაის ბირჟები, მაგრამ მათ დიდი გასაქანი ვერ პოვეს და 1992 წლისათვის უკვე არ ფუნქციონირებდნენ. 1993 წელს, კუპონის მიმოქცევაში გაშვებამდე, ფუნქციონირება დაიწყო კავკაციის სასაქონლო ბირჟამ. ამ ბირჟის მოქმედება თავიდანვე სპეკულაციურ ხასიათს ატარებდა და ძირითადი ფაქტიური ფუნქცია ანგარიშზე მყოფი თანხების სხვადასხვა სასაქონლო ფიქტიური ოპერაციების გატარებით, ნაღდ ფულად გადაქცევა წარმოადგენდა. ამის მაგიერ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას დროულად მიეღო ზომები ამ სპეკულაციური მიმდინარეობის აღმოსაფხვრელად, პირიქით კუპონის შემოღებით, ემისიის არნახული ტემპების გატარებით, ობიექტურად გამოიწვია კავკასიის ბირჟის გადაქცევა თანხის გადამცვლელ დიდ მონსტრად. აქ ემისირებული თანხით კრედიტად ამღებები მიმართავდნენ ბირჟის მეშვეობით უსაქონლო ოპერაციების ჩატარებას, რის შემდეგაც ანგარიშზე მყოფი კუპონი გარდაიქმნებოდა უცხოურ ვალუტად, უმეტესად მისი ნაღდი ფორმით. ამდენად ბირჟა საერთოდ არ ასრულებდა მისი პირდაპირი - სასაქონლო ბაზრის - ფუნქციას და რეალურად გადაიქცა უსაქონლო დოკუმენტალური გადაცვლის - ბირჟად. ამის გამო ლარის ბრუნვაში შემოღების შემდგომ, როდესაც თითქმის გათანაბრდა დეპოზიტზე არსებული თანხები ნაღდ ფულად,

კავკასიის ბირჟამ თავისი რეალური ფუნქცია დაკარგა. აქ თავი იჩნა გაკრვეულმა თაღლითობამაც და იგი დაიხურა.

დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მაგრამ მათი ფუნქციონირება ვერ ხორციელდება, ამის მიზეზი შესაბამისი საბირჟო კანონმდებლობის უქონლობასთან ერთად, მწერველობის სტაგნანაცია, ეკონომიკას, ეკონომიკაში ჩრდილოვანი სფეროს დიდი წილი და პარალელურად სხვა სხვა სახის ბირჟათა არასაკმარისი განუვითარებკლობაა. საერთოდ სასწრაფოდაა მისაღები ზომები სასაქონლო ბირჟების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც ოფიციალური ატრიბუტია სამრეწველო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და პროდუქციის გასაღების ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭიროა როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მიკროეკონომიკურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. მათი პროპაგანდა და პრაქტიკაში განუხრელი გატარება. კრიზისის დაძლევას ვერ უშველის ცალკე აღებული რომელიმე ეკონომიკური ასპექტის სრულყოფა, ყველა ძირითადი ეკონომიკური ძალისხმევა კომპლექსურობით უნდა ხასიათდებოდეს და ყოველი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას სრულადაა საჭირო გათვალისწინებული იქნას არა მარტო მისი გავლენა მრეწველობის ამა თუ იმ ობიექტებისადმი ან დარგისადმი, არამედ სხვა ეკონომიკის სპეროებისადმიც. მრეწველობაში ერთიანი კომპლექსური და სრული სპექტრით ღონისძიებათა გატარების გარეშე შეუძლებელი იქნება მრეწველობის აღმავლობის მიღწევა.

უპირველესად აღსანიშნავია ის მაკროეკონომიკური გარემოება, რომ საქართველოში სამრეწველო პროდუქციის ბაზრის შემოსაზრვრელობის გამო სახელმწიფომ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. თავისუფალი კონკურენციისა და კერძო საკუთრებების პირობებში სახელმწიფოს მხრიდან პროდუქციის წარმოების მოცულობათა ცვლილებისადმი უშუალოდ ჩარევა ვერ მოიტანს სასურველ შედეგს და შეუძლებელიცაა. ამიტომ სახელმწიფომ ამა თუ იმ პრიორიტეტების მიხედვით ცალკეული დარგების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა უნდა არეგულიროს საგადასახადო სისტემის დიფერენციაციით, დოტირების მექანიზმის სრულყოფით, მისი სამართლიანობის უზრუნველყოფით და სახელმწიფო შესყიდვებით - სახელმწიფო რეზერვების ხელახალი შექმნით. ამ სამი მიმართულებიდან დღეისათვის სახელმწიფო ვერც ერთს ვერ ფლობს. არ არის დიფერენცირებული საგადასახადო ტარიფები, ისინი ერთიანია არა მარტო მთელი მრეწველობისათვის, არამედ მთელი ეკონომიკისათვისაც. სახელმწიფო დოტირების სისტემა 2000 – 2001 წლებში გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ ბიუჯეტის სეკვესტრის გამო გამოყოფილი თანხების რაოდენობა პრაქტიკულად ვერ მიიღეს კონკურსში გამარჯვებულმა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელმა სამრეწველო ფორმებმა (ღვინის და ჩაის). ამასთან დოტაციის და სახელმწიფო სესხის გამოყოფის სამართლიანობა და ამ მხრივ მისი ავტორიტეტი შორს დგას სასურველისგან. საქართველოში საერთოდ მოიშალა სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო სარეზერვო სისტემა. რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის მფლობელობაში არსებული სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ნაწარმი 1992 – 1996 წწ-ში მთლიანად იქნა გახარჯული, ხოლო მისი შევსება არ მოხერხდა. მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, ასევე შიდა ბაზრის რეგულირებისათვის.

ანტიკრიზისულ მაკროეკონომიკურ ღონისძიებებიდან განსაკუთრებულია საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება. გადასახადებს

ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია. უპირველესად მან უნდა უზრუნველყოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მესაკუთრეთა და მენეჯერთა დაინტერესება და მეორეს მხრივ კი აუცილებელია სახელმწიფო ხარჯების დაფარვა გადასახადების აკრეფის გზით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არსებობს ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადები, ისეთები, როგორიცაა დღგ, სოციალური დაზღვევის გადასახადები, საშემოსავლო, მოგების და სხვა. ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის, რეკლამის გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი და ადგილობრივი მოსაკრებლები. ამის გარდა პრაქტიკაშია ცენტრალური გადასახადებიდან რეგიონებში გარკვეული წილის დატოვების პრაქტიკაც. ასეთი შეღავათებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქ. თბილისი.

მოკლედ შევეხოთ გადასახადების მოქმედებას მის უმთავრეს გამოვლინებებში. იმ შემთხვევაში თუ სამრეწველო საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, მაგალითად 50 ლარია, საიდანაც 20 ლარი მატერიალურ დანახარჯებს უკავია და 30 ლარი ცოცხალი შრომის დანახარჯებს, საწარმოს გამგებლობაში დარჩენილი მოგება იმ შემთხვავაშიც კი, თუ უზრუნველყოფილი იქნება 100 პროცენტიანი რენტაბელობა და პროდუქცია 50 ლარის თვითღირებულებით, რეალიზდება 100 ლარად წმინდა მოგების სიდიდე მიზერული იქნება. აქ უპირველესად გადაიხდება დღგ - 20 %, რაც ჩვენს მაგალითზე 20 ლარს შეადგენს. ამის შემდეგომ გადაიხდება სოციალური დაზღვევა - 27 % დასახმება, ჯანდაცვა, უმუშევრობა და სხვა. სულ 4%- ანუ ხელფასიდან 31%. ამასთან ერთად შრომის ბაზარზე მომუშავის დაქირავებისას ინდივიდი დაინტერესებულია მისთვის უშუალოდ გადახდილი ხელფასით გადასახადების (საშემოსავლო) გარეშე, ანუ იგი არ ითვალისწინებს საშემსოავლოს 20 % - იან გადასახადს, მისი დარიცხვა და შემდგომ ბიუჯეთის ანგარიშზე შეტანა

მაინც დამქირავებელს ეკისრება. ამიტომ სამეურნეო სუბიექტი ფაქტიურად გადასახადის სახით 30 ლარიან ხელფასზე მის 51 %-ს იხდის. თუ ამას დავუმატებთ მოგების გადასახადსაც (20%), ჩვენ შემთხვავაში იგი შეადგენს 3 ლარს, მივიღებთ, რომ მხოლოდ გადასახადთა ამ სამი ჯგუფის მიხედვით ბიუჯეტში საბალანსო მოგების 50 ლარის (100%) ოდენობის შემტხვევაში შეიტანება 21 ლარის, ანუ საწარმოს განკარგულებაში 9 ლარიც არ რჩება (სინამდვილეში წმინდა მოგების სიდიდე კიდევ გაცილებით უფრო მცირეა). ბუნებრივია ასეთი მდგომარეობის დროს მწარმოებლები ეცდებიან თავიანთი მიღებული შემოსავლები დამალონ. ამიტომაც დიდია ფარული შემოსავლები ე.წ. არაოფიციალური ბიზნესი. მოყვანილ მაგალითში ჩვენ ავიღეთ რენტაბელობა 100%-ის ტოლად, მაგრამ საქართველოს მრეწველობის ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე კი არა, არამედ განვითარებულ სახელმწიფოთა უახლეს გამოგონებებზე და აღმოჩენებზე დაფუძნებული ბიზნესიც კი არ არის საგანგაშო მოგების მხრივ 100 პროცენტი რენტაბელობის მქონე. აქედან გამომდინარე მოქმედმა საგადასახადო გარემომ არ შეიძლება არ დათრგუნოს ეროვნული მრეწველობის განვითარება. აღნიშნულს ემატება საამორტიზაციო ანარიცხების ნორმატივებით ხელოვნურად, საგადასახადო კოდექსით შემცირებული მაჩვენებლები და ნათელია საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულად მიუღებლობა მრეწველობისათვის. ასეთი უარყოფითი საგადასახადო გარემოს არაქმედითუნარიანობაზე ისიც მიუთითებს, რომ ოფიციალური სტატისტიკით ჩვენთან ამოღებული თანხები გადასახადების სრულად ამოღების შემთხვავაში ეს უკანასკნელი 50 პროცენტი მაინც უნდა იყოს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს საგადასახადო სისტემის გამარტივების და მისი ლიბერალიზაციის აუცილებლობაზე.

საქართველოში მაღალი საგადასახადო სატარიფო განაკვეთებია მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მიმართებაშიც. თურქეთში, სასომხეთში,

აზერბაიჯანსა და რუსეთში მოქმედი გადასახადები გაცილებით დაბალია, ამიტომაც საქართველოს საცალო და ნაწილობრივ საბითუმო ბაზარიც გაჯერებულია ამ სახელმწიფოებში წარმოებული პროდუქციით. მაგალითად, საქართველოს საცალო ბაზარზე იყიდება სიგარეტები, რომლებიც წარმოებულია რუსეთში ან აზერბაიჯანში და მასზე აქციზური მარკებიც კი ამ ქვეყნებშია გაკეთებული, ბუნებრივია ეს გადასახადიც რუსეთის და აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიუჯეტებში შეიტანება საქართველოს მომხმარებლების ხარჯზე, ასევე მნიშვნელოვანი სექტორი უჭირავს რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოტანილ საწვავს, საქართველოში მოხმარებული საწვავის მოცულობაში, სასომხეთში წარმოებული ძეხვეული და შებოლილი თევზი მნიშვნელოვნად ავსებს აღნიშნულ პროდუქტზე საქართველოს ბაზრის მოთხოვნილებას. ჩამოთვლილი საქონლის უმეტესი ნაწილი საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოედინება და მას ვერ შველის ვერავითარი ორგანიზაციულ - აღმასრულებელი ღონისძიებების გატარება. ასეთი გამოვლენის წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებად მხოლოდ ეკონომიკური დაინტერესების შემცირება წარმოადგენს კონტრაბანდისტების მხრიდან ქვეყნის შიგნით წარმოებულ ან იმპორტირებულ პროდუქციაზე დაბალი გადასახადების დაწესების გზით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ღონისძიებები, რომელთა პრაქტიკაში გატარება აუცილებლად უზრუნველყოფს მრეწველობის კრიზისის დაძლევას, არ მოითხოვს ცენტრალიზებულ ინვესტიციებს, ან მისი მოცულობა ამდენად მცირეა, რომ საქართველოს მწირი ბიუჯეტისათვისაც აქ შეუძლებელი არაფერია. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაბამისი აღმავლობის პროცესს დაწყებისთანავე უნდა ველოდოთ უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას.

2.4 მრეწველობის საკრედიტო დაფინანსების გაუმჯობესების მაკროეკონომიკური ფაქტორების კვლევა

მრეწველობა მატერიალური წარმოების სფეროს განვითარებადი დარგია. სა-ქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა, სადაც მეწარმე თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში და დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა, აუცილებელია მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, საინვესტიო გარემოს გაუმჯობესება, საბანკო სექტორის აქტიური ჩართულობა საინვესტიციო პროექტებში, სამეწარმეო ბიზნესის დაკრედიტებაში წარმოქმნილი პრობლემების და რისკ-ფაქტორების გავლენის მინიმიზაცია, გამარტივებული დაკრედიტების სისტემის შექმნა, ნდობის ამაღლება საბანკო სექტორსა და სამეწარმეო სექტორს შორის, ლიზინგის აქტიური გამოყენება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმეა უმრავლეს სამრეწველო საწარმოებში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად გაცვეთილია, ინოვაციური პროცესი შეჩერებულია, ინფლაციის ფონზე გაიზარდა კრედიტის საპროცენტო განაკვეთი. ამ მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაა.

საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა – სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადა, უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენული გარემო და ა. შ. ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, თუმცა საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ

მოიტანა. ამასთან განხორციელებული რეფორმები, ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული და სპონტანური იყო. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადეული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი რჩება.

სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმსხვილესი დარგი მრეწველობაა. მმის სათანადო განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა. 2000 წლის შემდგომ პერიოდში მრეწველობა არსებითად გაიზარდა და ზრდის ყველაზე მაღალ ტემპს, 14%-ს, მიაღწია 2007წელს. შემდგომ ტემპები შემცირდა და 2009 წელს შეადგინა 9,0 %, ძირითადად, სამთომოპოვებითი და გადამამუშავებელი დარგების სტაბილური ზრდის ხარჯზე.

დარგის ძირითადი საწარმოებია სამთომოპოვებითი, ქიმიური და კვების საწარმოები. კარგად არის განვითარებული ქვანახშირის წარმოება. მანგანუმი და არალითონური მინერალები, მინერალური სასუქები, სინთეზური მასალები და ბოჭკოები, ფარმაცევტული პროდუქტები ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა.

მრეწველობის წილი მშპ-ში შემცირდა 1996 წელს 11%-დან 2003 წელს 8%-მდე ენერგოდეფიციტისა და არასაკმარისი ინვესტიციების გამო, მაგრამ 2003 წლის შემდგომ განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად, მისმა წილმა 2010 წელს მიაღწია 15,2%-ს.

2008-2009 წლებში გადამამუშავებელი მრეწველობა განიცდიდა დაცემას. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიოში მოთხოვნა საქართველოში წარმოებულ საქონელზე შემცირდა. მხოლო სამთო სექტორი ვითარდებოდა სტაბილურად, რამდენადაც საგარეო მოთხოვნა ოქროზე იზრდებოდა, თუმცა სხვა ლითონებზე საერთაშორისო ფასების შემცირებას ჰქონდა უარყოფითი ზეგავლენა ამ პროდუქციის წარმოებაზე საქართველოში, სადაც სპილენძის მადნები კონცენტრატები

ექსპორტის ძირითად პროდუქციას შეადგენდა. ამ პერიოდში მათი ექცპორტი ბევრად შემცირდა.

გარდა ამისა, გლობალური კრიზისის წლებში საავტომობილო ინდუსტრიაში მოთხოვნის მკვეთრი შემცირების შედეგად, შემცირდა საქართველოს მთავარი საექსპორტო პროდუქციის - ლითონების ექსპორტი. 2009 წელს გადამამუშავებელი დარგის 8.5%-ით შემცირების შემდეგ 2010 წელს მისი წარმოება გაიზარდა 20.3%-ით. ეს იყო დარგში ყველაზე მაღალი ზრდა, რაც მიუთითებს საქართველოს საექსპორტო პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდაზე.

ამჟამად საქართველოს უმთავრეს ამოცანას მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. არსებული მდგომარეობიდან გამოსავალია: მაკროეკონომიკური გარემოს ღრმა ანალიზი, რომელშიც აღნიშნულ დარგი ვითარდება; მაკროეკონომიკური ფაქტორების გამოვლენა, რომელიც მასზე ახდენს როგორც დადებით ასევე უარყოფით გავლენას; მათი გავლენის გაზომვა და შეფასება.

აღნიშნული ანალიზის ჩატარების შემდეგ უნდა მოხდეს დარგის დაფინანსების წყაროების შერჩევა, სადაც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას საბანკო სექტიორმა.

ეკონომიკური ციკლის სტიქიური თვითრეგულირება დამთავრდა XX საუკუნის 20-იან წლებში. 1929-33 წლის მსოფლიო კრიზისამდე საქმიანი აქტივობის მიმდინარეობის აქტუალობა არ იყო შემუშავებული. ამის შემდეგ წარმოიშვა ახალი ხარისხობრივი თავისებურებები ნაციონალური ეკონომიკების ციკლურ განვითარებაში, ისინი დაკავშირებული იყო მაკროეკონომიკური მასშტაბის 2 ფაქტორთან.

ჯ ფაქტორი დაკავშირებული იყო ყველა სახის საზოგადოებრივი პროდუქტის გაფართოვებულ კვლავწარმოებასთან ეს არის სამეცნიერო-

ტექნიკური რევოლუცია. მისი გავლენით სერიოზულად შეიცვალა კრიზისების მიმდინარეობა და გამოვლინდა მისი ახალი სახეები. ერთის მხრივ სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა მრეწველობის ახალი მეცნიერტევადი დარგები, რომლებიც მეტნაკლებად მყარნი აღმოჩნდნენ კრიზისული დაცემისას (მიკროელექტრონიკა ,რობოტომშენებლობა და სხვა). მეორე მხრივ მეცნიერულ -ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა სტრუქტურული კრიზისი მრეწველობის ტრადიციულ დარგებში, სადაც დარჩა უბრალო მექანიზებული ტექნოლოგია ნედლეულის გადამუშავებაში (ქვანახშირის, შავი მეტალურგია , საფეიქრო და სხვა).

სტრუქტურული კრიზისი ხასიათდება მეტი ხანგრძლივობით. იგი მდგომარეობს ძველი, ინდუსტრიული დარგების დაცემაში. ხასიათდება არა მარტო მათი ჩამორჩენით არამედ დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობით, მაღალი დანაკარგებით. ასეთი კრიზისები გარდამავალია თუ დარჩენილი დარგები რადიკალურად გადაერთვებიან ძირეულად ახალ მაღალეფექტურ ტექნიკაზე და ტექნოლოგიაზე. ამასთანავე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მნიშვნელოვნად ხელს უწყობს კაპიტალის ბრუნვის დაჩქარებას. ასეთი მიდგომით კრიზისის დაძლევა შესაძლებელია 10-12 წლის მაგიერ, 5-6 წელში.

ᲗᲗ ფაქტორი არის სახელმწიფოს აქტიური ჩარევა მაკროეკონომიკური ზრდის ყველა მიმართულებით, რათა შესუსტდეს კრიზისების დამანგრეველი გავლენა და მიღწეული იქნას სახალხო მეურნეობის განვითარების სტაბილურობა. პირველი მცდელობა ეკონომიკური კრიზისის გავლენის შესუსტებისა გამოავლინა ფრანკლინ რუზველტმა 1933 წელს აშშ-ში გატარებული „ახალი კურსით", სადაც ჩართული იყო გადამწყვეტი ზომები ნაციონალური ეკონომიკის რეგულირებაში.

ამ ორი, ზემოთ განხილული ძირითადი ფაქტორებიდან ჩვენ უნდა გამოვყოთ ის საყურადღებო ფაქტორთა ჩამონათვალი, რომელთა

ღრმა ანალიზი და გავლენის გაზომვა დაგვეხმარება პრობლემის გადაჭრაში.

მაკროგარემოს ფაქტორები ქმნიან ზოგად პირობებს ფირმის არსებობისათვის. ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე. ორგანიზაციის მაკროგარემოს შეფასებისას იყენებენ ე.წ.ჩქშთქლ - აანალიზს, რომლის მიხედვითაც მაკროგარემოში გამოიყოფა ექვსი ძირითადი სეგმენტი; 1. პოლიტიკური(ჩ); 2. ეკონომიკური(ქ); 3. სოციო-კულტურული (ჩ); 4. ტექნოლოგიური (თ); 5. გარემომცველი (ქ); 6. სამართლებრივი (ლ). მაკროგარემოს ანალიზი საშუალებას იძლევა მოხდეს მაკროგარემოში მიმდინარე ცვლილებების იდენტიფიცირება, მეთვალყურეობა, პროგნოზირება და შეფასება.

დარგში წარმოშობილი პრობლემების კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში და მის რეგიონებში; ცხოვრების დონე; უმუშევრობა და ინფლაცია; შიდა ეკონომიკური კონტაქტები და სხვა.

გასათვალისწინებელია აგრეთვა საერთაშორისო ფაქტორები:

1. მსოფლიო ბაზარზე წარმოების საშუალებებზე ფასების ზრდა;
2. მსოფლიო ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული კრიზისები, რომელიც უკავშირდება ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზრდას;
3. ქვეყნებს შორის ომები, რომელსაც თან ახლავს მოთხოვნა ფულზე;
4. უმუშევრობა.

ქვეყნის შიგნით არსებული სიტუაციის ანალიზისას საყურადღებოა:

ა) სახელმწიფო როგორ სწორად წარმართავს ბიუჯეტის შემოსავლებს და ხარჯებს;

ბ) ეროვნული ბანკი როგორ ახორციელებს ფულის საგანგებო ემისიას;

გ) ბანკები როგორ ახორციელებენ საკრედიტო ექსპანსიას;

დ) სახელმწიფო როგორ აუმჯობესებს თავის შინაგან მოვალეობას;

ე) ბანკები როგორ ახორციელებენ უცხოური ვალუტის გაცვლას ნაციონალურ ვალუტაზე.

საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვა და გამოყენება საბაზრო ურთი-

ერთობების დამკვიდრებისა და განვითარების, ეკონომიკური აღმავლობის უმნიშვნე-ლოვანესი ფაქტორია. მოცემულ ეტაპზე რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა. საწარმოებს დიდი ძალისხმევა უხდებათ ფინანსური რესურსების მოძიებაში. საწარმოებში გამოყენებული ფინანსური რესურსები წარმოშობის წყაროს მიხედვით არის შინაგანი და გარეგანი.

შინაგანს მიეკუთვნება: წმინდა მოგება; ამორტიზაციის ანარიცხები; კრედიტორული დავალიანება, მყარი პასივები, მომავალი პერიოდის შემოსავლები; გაუთვალისწინებელი გასავლების და ხარჯების სარეზერვო ფონდი.

გარეგანს მიეკუთვნება: ჩადებული კაპიტალი, სახელმწიფო სახსრები; მოქალაქეთა სახსრები; საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების სახსრები; არასაფინანსო-საბანკო ორგანიზაციების სახსრები; მიზნობრივი დაფინანსება და ა.შ.

გარეგანი დაფინანსების წყაროებიდან ცალკე აღსანიშნავია საბანკო კრედიტი, როგორც დაფინანსების ერთ-ერთი წყარო. კრედიტი არის როგორც ფულადი ასევე სასაქონლო ფორმით. საბანკო კრედიტი გავრცელებული ფორმაა . იგი ექვემდებარება უკან დაბრუნებას პროცენტის დამატებით.

კრედიტის ძლიერი მხარეებია:

-ეს ფორმა საშუალებას აძლევს საწარმოებს მიიღოს დიდი თანხა სპეციალური პირობების გარეშე;

-ყველაზე ხშირად კრედიტს იძლევა საწარმოს მომნსახურე ბანკი. ამის გამო კრედიტი მიიღება ოპერატიულად;

კრედიტის ნაკლია:

-კრედიტის ვადა უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება 3 წლით. რაც ითვლება ორგანიზაციისათვის მიუღებლად, განსაკუთრებით მათთვის რომლებიც ელიან შემოსავლებს ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.

-კრედიტის მიღება ითხოვს გირაოს ჩადებას;

-ზოგიერთ შემთხვევაში ბანკი სთავაზობს ანგარიშის გახსნას საბანკო კრედიტის პირობებით, რაც ყოველთვის მომგებიანი არ არის საწარმოსათვის;

საწარმოს დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ლიზინგი. იგი გულისხმობს განსაკუთრებულ კომპლექსურ ფორმას მეწარმეობრივ საქმიანობაში. ლიზინგის საშუალებით ერთი მხარე – ლიზინგის მიმღები-ეფექტურად განაახლებს ძირითად ფონდებს უახლესი საშუალებებით. ხოლო მეორე მხარე-ლიზინგის მიმცემი- აფართოვებს საქმიანობის საზღვრებს, რაც მომგებიანია ორივე მხარისათვის.

ლიზინგის ძლიერი მხარეებია:

- ლიზინგი გვთავაზობს 100%-იან დაფინანსებას და არ ითხოვს გადახდის დაწყებას დაუყოვნებლივ;
- ლიზინგი საშუალებას აძლევს ფინანსური რესურსების არ მქონე საწარმოს დაიწყოს მსხვილი პროექტების რეალიზაცია;
- საწარმოსათვის უფრო მნიშვნელოვანია მიიღოს სალიზინგო კონტრაქტი-ვიდრე აიღოს სესხი;
- სალიზინგო შეთანხმებები უფრო მოქნილია ვიდრე სესხი.

მრეწველობის დარგში შექმნილ სიტუაციას წლების მიხედვით კარგად ახასიათებს ქვემოთ მოცემული ცხრილი 1.

ცხრილი 1.

მშპ და მისი ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკა

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ბრუნვა მლნ.ლ-ში	3228.7	4362.1	4637.6	4407.4	5539.9	7232.0	7553.6	8041.3	9000.2	2055.4
გამოშვებული პროდუქცია მლნ ლარში	2779.0	3583.3	3821.8	3797.1	4849.7	6428.3	6868.3	7299.2	8201.5	1729.1
დამატებული ღი-რებულება მლ.ლ.	964.5	129.1	1636.6	1454.2	1914.5	2263.8	2421.8	2538.5	2753.8	- - -
შუალედური მოხ-მარება მილ. ლარში	1814.5	2292.2	2185.2	2342.9	2935.3	4164.5	4446.5	4760.7	5447.7	- - -
ფიქსირებული აქ-ტივები მლნ. ლარში	2124.4	2651.8	3276.2	3459.7	3856.2	4580.5	4982.5	5774.3	6097.6	- - -
დასაქმებულთა რაოდენობა კაცი	90311	88398	858711	93039	95849	109158	114843	112752	116568	105536
დასაქმებულთა საშ. შრ. ანაზღა-ურება ლარში	307.8	420.7	586.6	537.4	595.1	633.3	698.5	754.1	790.5	816.8

ცხრილში მოცემული მაჩვენებლები საგანგაშო სტატისტიკას ადასტურებს. 2014 წლამდე საქონელბრუნვა მრეწველობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და თითქმის გასამმაგებულია, ხოლო 2015 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 77.1%-ით. 2015წელს 2006 წელთან შედარებით ბრუნვა შემცირებულია 36%-ით.

ანალოგიური სიტუაციაა მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მიხედვითაც. ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა 2014 წელი. ეს მაჩვენებელი 2006 წელთან შედარებით გაზრდილია 3-ჯერ, ხოლო 2015 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 78.9 %-ით. პროდუქციის გამოშვება 2006 წელთან შედარებით შემცირებულია 37.78 %-ით.

მრეწველობაში შექმნილი ამ მეტად რთული სიტუაციის ფონზე ყურადღებას იქცევს დარგში დასაქმებული ადამიანების რიცხვის ზრდა და მათ მიერ მიღებული ყოველთვიური ანაზღაურება. დასაქმებულთა

რიცხვი 2006-2014 წლებში გაზრდილია 29%-ით, ხოლო 2015წელს 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 9.5%-ით. რაც შეეხება საშუალო ხელფასს – გამოირჩევა ზრდის ტენდენციით. იგი 2015წელს 2006 წელთან შედარებით გაზრდილია 2.5-ჯერ. 2015წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 3.32%-ით.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით დარგში მომუშავეთა რიცხვი შემცირებულია 11032 კაცით, ხოლო ხელფასი იგივე პერიოდში გაზრდილია 26.3 ლარით. [23]

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დარგი განიცდის მწვავე ეკონომიკურ კრიზისს რომელიც საჭიროებს დროულ ყურადღებას. ადგილი აქვს კვალიფიციური კადრების დენადობას და ხელფასის ზრდა ხდება თანამშრომელთა შემცირების ხარჯზე.

რაც შეეხება ქვეყანაში შექმნილ ზოგად სურათს მისი დახასიათება შეგვიძლია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საშუალებით, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მთლიანი შიდა პროდუქტი (მ.შ.პ.) მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი 2

საქართველოს მშპ ბოლო პერიოდში

	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	III კვ. 2015 წ.
მ.შ.პ. მიმდინარე ფასებში	20743.4	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	8239.1
მ.შ.პ-ს ზრდა %-ში წ. წელთან შედარებით	6.2	17.2	7.4	2.6	8.57	- - -
მ.შ.პ. ერთ სულზე ლარში	4675.7	5447.1	5818.1	5987.6	6491.6	2209.2
მ.შ.პ. ერეთ სულზე აშშ დოლარში	2623.0	3230.7	3523.4	3599.6	3676.2	950.5

კვლევისათვის მეტად საინტერესო სურათს იძლევა მ.შ.პ-ს მოცულობა მიმდინარე ფასებში. 2014 წელს 2010 წელთან შედარებით

გაიზარდა 40.5%-ით, ხოლო წინა წელთან შედარებით 8.57 %-ით. ერთ სულ მოსახლეზე მის რაოდენობა ხასიათდება ზრდის ტენდენციით 2014 წელს 2010 წელთან შედარებით გაზრდილია 40.1 %-ით, ამდენივე პროცენტითაა გაზრდილი იგივე მაჩვენებელი აშშ დოლარში.

სამრეწველო საწარმოთა წარმატებული ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ახალი, მუდმივი და უტყუარი ინფორმაციის ნაკადებზე. ნაშრომში მოყვანილი მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკა განიცდის უმნიშვნელო ზრდას, რასაც ვერ ვიტყვით მის ერთ-ერთ უმნიშვცნელოვანეს დარგზე მრეწველობაზე.

2.5 მიკროეკონომიკური ფაქტორები მრეწველობის საბანკო დაკრედიტებაში

მრეწველობა მატერიალური სფეროს მნიშვნელოვანი სექტორია. იგი სამ დარგად იყოფა: „მძიმე" ანუ მანქანათმშენებლობა; „მსუბუქი" ანუ ტყავ-ფეხსაცმელი და „კვების პროდუქტები".ასევე არის „ძველი"ანუ წიაღისეულის მოპოვება; „ახალი" იგივე მანქანათმშენებლობა და სასუქების წარმოება და „უახლესი" რობოტების შექმნა. ეკონომიკური ზრდა ზოგადად ხასიათდება წარმოების რესურსების ან მოცულობის ზრდით, წარმოების ეფექტიანობის ანუ შრომის წარმოების ზრდით. უწინარეს ყოვლისა, იზრდება იმ საქონლის და მომსახურების წარმოება რომელიც განსაზღვრავს პროგრესს. თანამედროვე პირობებში ეკონომიკაში სიტუაცია რთულია. პირველ რიგში ისევ დგას მოთხოვნა ინვესტიციებზე. საინვესტიციო აქტივობის და ეკონომიკური ზრდის ამაღლებაში ბანკები თამაშობენ უდიდეს როლს. ეკონომიკის რეალური სექტორის ამაღლებისათვის საჭიროა დიდი რაოდენობით ინვესტიციები მრეწველობის ყველა დარგში მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგრამ ასეთი

ინვესტიციის წყარო ჯერჯერობით ვერ მოიძებნა, პირიქით უკანასკნელი წლების მონაცემებზე დაკვირვებით იგი თან მცირდება.

სამრეწველო საწარმოებს, ისევე როგორც მომსახურების პროფილის საწარმოებს, ფუნქციონირება უხდებათ მუდმივად ცვალებად მარკეტინგულ გარემოში. ისინი წარმატებას ახდენენ მანამ, სანამ მათი წარმოებული საქონელი და მომსახურება შეესაბამება მარკეტინგულ გარემოს. კომპანიის საერთო მდგომარეობის ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი სტრატეგიის შესაბამისობა შიგა და გარე გარემოსთან. კომპანიების საქმიანობაზე გავლენას ახდენს მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური და გლობალიზაციის ფაქტორები, რომელთა გავლენა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი ისე ირიბი, ასევე სწრაფი და შენელებული მოქმედების.

ჩვენი ქვეყნის, როგორც სოციალისტური ქვეყნის მოდერნიზაცია, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, გულისხმობს დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას. ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლის პერიოდი შეიძლება დაიყოს 1990 წლიდან 2003 წლამდე და შემდეგ, როცა იყო მცდელობა ეკონომიკური პოლიტიკის კონსოლიდაციის, ეკონომიკური ლიბერალიზაციის და „მოდერნიზაციის" განახლებული ხედვების გარშემო.

მრეწველობის განვითარებაზე გავლენას ახდენს მიკროგარემოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. ბუნება-ბუნებრივი რესურსები, ტერიტორია, წყალი, ჰაერი, ნედლეული;
2. ტექნიკა-კაპიტალური რესურსები, შენობები, მანქანები ინსტრუმენტები, აღჭურვილობა;
3. შრომითი რესურსები-აქ შედის პერსონალი;
4. ინფორმაცია;
5. მეწარმეობრივი ფორმა, მენეჯმენტი;
6. დაკრედიტება.

საქართველოს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას 2008 წლამდე შეადგენდა პირ-
დაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო სისტემის განვითარება. 2003წლიდან ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ზრდა შეინიშნება, სიტუაცია მკვეთრად იცვლება 2007-2008 წლიდან.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 2003-2007 წლებში ასე გამოისახება.



ნახ. 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა

ამ პერიოდში შემოსავლების ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევამ ფულის დიდი ნაწილის ინვესტიცია მოახდინა სამშენებლო, ფინანსურ და ტელეკომუნიკაციების სფეროში, რამაც პოზიტიური გავლენა მოახდინა მ.შ.პ-ს ზრდაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2006 წელს იყო – 1.190.374.6 ათასი დოლარი, ხოლო 2007 წელს მან მიაღწია – 2.014.841.6 ათას დოლარს. 2008 წელს დაიწყო ინვესტიციების შემცირება განსაკუთრებით მე-3 და მე-4 კვარტალში მსოფლიო კრიზისის და საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის შემდგომ, თუმცა წლიურად შეადგინა 1.563.962.4 ათასი აშშ დოლარი. 2009-10 წლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მნიშვნელოვნად შემცირდა.

ჩვენი საუკუნის 2008-2012 წლის ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად აშშ-ს იპოთეკური კრიზისი მიიჩნევა, რამაც საბანკო სექტორის პარალიზება მოახდინა. წამყვანი ქვეყნების ლიდერები

ეკონომიკის რეგულირების ახალი და ნაცადი მეთოდების გამოყენებით ცდილობენ კრიზისის ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილებას. სტაგნაცია გაცილებით უფრო დიდი პრობლემაა ევროკავშირისათვის. კრიზისების პერიოდში ეკონომიკის ფუნქციონირებაში განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი.

სპეციალისტები შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს თვითონ საწარმოს საქმიანობაში ხედავენ მათ შორის მათთვის გადასახადების შემცირებას, უცხოურ ინვესტიციებს და საბიუჯეტო დაფინანსებას აქცევენ ყურადღებას. მითითებული საინვესტიციო წყაროები ცალ-ცალკე ვერ შეძლებენ ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციის შეცვლას, მაგრამ მათი კოორდინირებული გამოყენება, რამოდენიმე წელიწადში გამოიღებს ეკონომიკურ ეფექტს. ამ გაგებით უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება. მთლიანი მრეწველობის წარმატება დამოკიდებულია არა მარტო გარკვეული თანხის ჩადებაზე, არამედ იმაზე რამდენად ეფექტურად იმუშავებს დაფინანსების მექანიზმი.

კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე – მრეწველობაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) ეროვნული ვალუტით გაცემული სესხითი დავალიანება ათას ლარებში მოცემულია ცხრილ №1-ში.

ცხრილი 3.

მრეწველობის სექტორის დინამიკა 2010-2015 წწ.

	2010 წ. 01.01	**2011 წ. 01.01**	**2012 წ 01.01.**	**2013 წ. 01.01**	**2014 წ. 01.01**	**2015 წ. 01.01**
მრეწველობა	676.010	776.155	895.147	993.239	942.285	1.587.028



ნახ. 4. მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის დიაგრამა

ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს კომერციული ბანკების მიერ მრეწველობაზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების რაოდენობა 2010-2015 წლებში გაიზარდა თითქმის 2.5 ჯერ. კლება აღინიშნება მხოლოდ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით შემცირებულია 5.1%-ით. მაგრამ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ისევ გაზრდილია 68.4 %-ით.

სესხების მოცულობის ზრდაზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. ინფორმაცია მისი ცვლილების შესახებ მოცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრილის მონაცემების მიხედვით საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2009-2015 წლებში შემცირებულია 9.6%-ით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი შემცირებულია 7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტით გაცემულ სესხებზე შემცირებულია 13%-ით.

ცხრილი 4.

სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

წლები	**საპროცენტო განაკვეთები სესხებზე სულ**	**მათ შორის**					
		ეროვნული ვალუტა	აქედან		უცხოური ვალუტით	აქედან	
			იურიდიულ პირებზე	ფიზიკურ პირებზე		იურიდიულ პირებზე	ფიზიკურ პირებზე
2009 01.01	25.0	26.2	18.6	29.0	24.3	19.9	29.9
2010 01.01	22.0	22.8	17.0	29.3	21.4	18.1	27.0
2011 01.01	19.2	22.5	15.1	27.9	16.4	14.4	19.9
2012 01.01	20.5	23.7	14.7	28.2	16.8	13.9	22.9
2013 01.01	19.4	22.5	14.6	27.0	15.3	13.6	19.2
2014 01.01	18.4	21.0	12.5	24.3	12.9	11.7	15.6
2015 01.01	15.4	19.2	11.6	22.6	10.7	10.2	12.2

ჩვენს დროში კომერციული ბანკები ჯერ კიდევ ვერ გახდნენ მნიშვნელოვანი რესურსების აკუმულატორები და მათი ეფექტური ოპერატორები. ასეთი მდგომარეობის მიზეზი სხვადასხვაა მაგრამ მთავარია ეკონომიკური სიტუაციის არამყარი მდგომარეობა, რაც სრულად აისახება საბანკო სექტორზე. ინვესტიციების ვადის ზრდა და ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგების დაცემა არსებული ინფლაციის პირობებში ვერ იქნება საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესების პირობა.

მრეწველობა კაპიტალტევადი დარგია. მისი საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელსაყრელია მაკროეკონომიკური კუთხით და საკრედიტო დაწესებულების საქმიანობაზე ახდენენ საპირისპირო გავლენას ესენია: ინფლაციის ტემპის არსებითი შენელება , სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლების დაცემა სავალუტო და საფონდო ბაზარზე მდგომარეობის გაუარესება და სხვა.

ასეთ პირობებში ბანკები თავისუფალ ფულად რესურსებს მიმართავენ ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამ შემთხვევაში არ არის მოსალოდნელ, რომ ბანკების ინვესტიცია გაიზრდება. ბანკებისათვის დაკრედიტების სამიზნე ვაჭრობა ხდება და სამომხმარებლო სესხების ასეთი მკვეთრი ზრდა შეიძლება ქვეყნის ეკონომიკისათვის სახიფათოც კი იყოს. რაც შეეხება მოსახლეობას, სამომხმარებლო სესხებზე მათი მოთხოვნა ყოველთვის დიდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათი შემოსავალი ძალიან ნელა იზრდება, მათი მისწრაფებაა იცხოვრონ კარგად დღეს და არა ხვალ. მოქალაქეები კარგად ვერ თვლიან რამდენად გადახდისუნარიანი არიან ამავე დროს სამომხმარებლო სესხს არ სჭირდება იპოთეკა და ამ ფაქტორმა განაპირობა დაკრედიტების ზრდა. [24]

კომერციული ბანკების მიერ საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხების განაწილება მოცულობის მიხედვით მოცემულია ცხრილ 5-ში.

ცხრილი 5.

გაცემული სესხების დინამიკა

	ნოემბერი 2015 წ.	დეკემბერი 2015 წ.	იანვარი 2016 წ.
ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები (ათასი ლარი)	1.022.957	1.258.597	874.775
რაოდენობა	976.533	1.159.875	972.927
აშშ დოლარით გაცემული სესხები (ათასი აშს დოლარი)	368.660	441.116	245.224
რაოდენობა	27.278	21.980	17.989
ევროთი გაცემული სესხები (ათასი ევრო)	25.804	24.517	11.333
რაოდენობა	1.102	1.187	1.065

ცხრილში მოცემული მონაცემები მოწმობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მძიმე სურათს. სულ რაღაც 2 თვის (ნოემბერ-იანვარში) განმავლობაში მკვეთრად არის გაუარესებული სესხებზე მოთხოვნა, როგორც ეროვნულ ვალუტაში (-14.5%), ასევე დოლარში (-33.48%) და ევროში (-56.1%).

მრეწველობის თავისებურებიდან გამომდინარე ინდუსტრიაში რჩება უკიდურესად მაღალი საინვესტიციო რისკები. ეს განსაკუთრებით ეხება კაპიტალტევად საინვესტიციო პროექტებს. სამრეწველო საწარმოების დაკრედიტება ჩვენს დროში მოწოდებულია, როგორც წესი აანაზღაუროს საბრუნავი საშუალებების დროებითი უკმარისობა (დეფიციტი) და ატარებს მოკლევადიან ხასიათს. მოკლევადიანი კაპიტალდაბანდების რისკის დონე შეუთავსებელია ამ დაბანდებიდან მიღებულ მოგების ნორმის პოტენციურ შესაძლებლობასთან. მაღალი რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე. თვალნათელია, რომ ერთი წლის განმავლობაში სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის კარდინალური გაუმჯობესება და წარმატებული ფინანსური რეფორმის ჩატარება ვერ მოიტანს ასეთ შედეგს.

საფინანსო ბაზრის ინსტრუმენტების შემოსავლიანობის დაცემა ამცირებს ბანკების საინვესტიციო შესაძლებლობებს, ხდის მათ ფინანსურ მდგომარეობას არამყარს. ბანკები ზრუნავენ მიმდინარე ლიკვიდურობის მდგომარეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკეთესი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში ერთობლივი ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი საკმარისი არ არის სერიოზული კაპიტალდაბანდებისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტს და კავშირგაბმულობაში. საფონდო ბაზრების საპროცენტო განაკვეთებზე ინფორმაცია მოცემულია ცხრილ 6-ში.

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი 7 დღიანი ხასიათდება ჯერ ზრდის ხოლო შემდეგ კლების ტენდენციით. 2015 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირებულია 2.01%-ით, ხოლო 1 დღიანი ამავე პერიოდში გაიზარდა 1.6%-ით. სადეპოზიტო სერთიფიკატებზე ჯერ შეინიშნება ზრდა ხოლო შემდეგ შემცირება. საპროცენტო განაკვეთი სახელმწიფო ობლიგაციებზე ხასიათდება კლების ტენდენციით.

ცხრილი 6.

სესხები ვალუტის სახის მიხედვით

	ნოემბერი 2015 წ.	დეკემბერი 2015 წ.	იანვარი 2016 წ.
ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები (ათასი ლარი)	1.022.957	1.258.597	874.775
რაოდენობა	976.533	1.159.875	972.927
აშშ დოლარით გაცემული სესხები (ათასი აშს დოლარი)	368.660	441.116	245.224
რაოდენობა	27.278	21.980	17.989
ევროთი გაცემული სესხები (ათასი ევრო)	25.804	24.517	11.333
რაოდენობა	1.102	1.187	1.065

საინვესტიციო სფეროდან სახელმწიფოს მთლიანი გასვლა ნეგატიურად მოქმედებს ინვესტიციურ კლიმატზე. ასეთი მიდგომა ნდობას უკარგავს კერძო ინვესტორებს საინვესტიციო პროცესებისადმი. თუ სახელმწიფო თავის თავზე არ იღებს საინვესტიციო რისკს და არ გამონახავს საშუალებებს ამისათვის, გაუგებარის კერძო სექტორმა რატომ უნდა აიღოს მოვალეობა და ინვესტიცია თასვის თავზე.

უმეტესი საწარმო, როგორც არ უნდა პარადოქსული იყოს მზად არ არის მიიღოს ინვესტიცია. ასეთ საწარმოებში ჯერ არ მუშაობს ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმი მსოფლიოში მიღებული პირობებით. სადაც ინვესტორი თხოულობს საშუალებების ეფექტური ათვისების ფინანსურ „გამჭვირვალეობას". საწარმოს ხელმძღვანელების დიდ ნაწილს ძველებურად სურს მიიღოს ფინანსური რესურსები და თავის მხრივ არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს ეკონომიკურ მოვალეობებზე.

საკრედიტო-საფინანსო სისტემის კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლის

გააქტიურებას საინვესტიციო პროცესის უზრუნველყოფაში ანუ უნდა მოხდეს სახელმწიფო გარანტიის მექანიზმის განვითარება. ამაღლდეს სახელმწიფოს მაკოორდინირებელი როლი საინვესტიციო საქმიანობაში ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური წინაპირობების შექმნაში და ამავე დროს გაიზარდოს სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა. შეიქმნას ადეკვატური საკანონმდებლო ბაზა, მოხდეს გრძელვადიანი მიზნობრივი ინვესტიციის ჩადებაზე სახელმწიფოს გარანტიების გაცემის პრაქტიკაზე გადასავლა, განხორციელდეს სესხების დაზღვევაზე დაგასვლა რომელიც მიმართული იქნება ინვესტიციების და საწარმოო რისკების დაზღვევასა და გადაზღვევაზე. იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა და მისი მნიშვნელოვანი დარგი -მრეწველობა გახდეს მოქნილი საგარეო შოკებისადმი უნდა მოხდეს მისი დივერსიფიცირება სხვადასხვა დარგების მიხედვით. საჭიროა ისეთი პროგრამების შემუშავება, რომელთა განხორციელებაც ნაკლები ბარიერებით და რეგულირებით იქნება შემოსაზღვრული. ეს პროგრამები უნდა მოიცავდეს რეგიონების განვითარების გეგმას.

2.6 მრეწველობის საბანკო და არასაბანკო დაკრედიტების გაუმჯობესების მიმართულება

გარდამავალი ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის, რომელიც ახლად ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა ადამიანის წინაშე უამრავი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები დგას. დღეს საქართველო დემოკრატიული განვითარებისა და საბაზრო

ურთიერთობების დამკვიდრების გზას ადგას, რომლის გარანტიც ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა გახდეს, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა კი მრეწველობის აღმავლობის გარეშე შეუძლებელია.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს საბაზრო სტრუქტურებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ერთობლივი სინქრონული მუშაობის შედეგად. რაც თავის მხრივ მიიღწევა ეკონომიკის სხვადასხვა დარგების სწორი მიმართულების განვითარებით, რისთვისაც აუცილებელი პირობაა ფინანსური უზრუნველყოფა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში მრეწველობის დარგის საბანკო და არასაბანკო დაკრედიტების გაუმჯობესების გზების გამონახვა, საშუალებას მისცემს დარგს სწორი მიმართულებით განვითარდეს, რადგან ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ქართული კომპანიების მიერ დასახელებულია, როგორც ბიზნესის წარმოების შემაფერხებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

აღნიშნული ნაშრომი სწორედ მრეწველობის საბანკო და არასაბანკო დაკრედიტების გაუმჯობესების საკითხებს ეხება.

თანამედროვე პირობებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავათ ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. უმრავლეს სამრეწველო საწარმოში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად გაცვეთილია, დიდია იმპორტის და მცირეა ექსპორტის მოცულობა, ვალუტის დევალვაცია ინფლაციური პროცესების გაუარესებას იწვევს, არ არის საწარმოო პოტენციალის ამაღლებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების შემთხვევაში.ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი და მზარდი ფაქტორიაბიზნესის მხარდაჭერის ისეთი კომპლექსური სერვისები, როგორებიცაა: ახალი ტექნოლოგიების

დანერგვა და ინოვაციები. ეს, ასევე, არსებითიაევროკავშირის განვითარებულ წევრ ქვეყნებთან თუ რეგიონებთან არსებული განსხვავებების შემცირებისთვის.

საბაზროე კონომიკის პირობებში მრეწველობის სხვადასხვა ქვედარგების საქმიანობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი გზაა ფინანსური ინსტიტუტების (საბანკო და არასაბანკო) მხრიდან დაკრედიტების სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება. ზოგადად, ფინანსური ბაზრის მომავალი დამოკიდებულია საფინანსო ბაზრების განვითარებასთან, კერძოდ კი, ისეთი ოპერაციების განხორციელებასთან, როგორიცაა ლიზინგი, ფაქტორინგი, რაც წარმატებით შეიძლება შეასრულოს კომერციულმა ბანკებმა. ბანკები კომპრომისის წინაშე დგანან, შეასრულონ მხოლოდ მცირე მოცულობის საბანკო ოპერაციები, თუ გააფართოვონ მომსახურების სპექტრიდა მიიღონ შედარებით მეტი შემოსავალი.

ბანკის არსის, ფუნქციონირების, დაკრედიტების პრინციპების საკრედიტო ურთიერთობების განვითარების და მათზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ინტერესის ცენტრშია. ფაქტია, რომ საბანკო და საკრედიტო სისტემა თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც ტრანსფორმირდება და ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. მსოფლიოში საფინანსო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის მრავალი განსხვავებული მოდელი არსებობს, თუმცა ქვეყნების უმრავლესობა უპირატესობას ერთიან საზედამხედველო ორგანოს ანიჭებს. ზოგიერთ სახელმწიფოში საფინანსო სექტორის რეგულირების ფუნქცია შეთავსებული აქვს ცენტრალურ ბანკს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ამ მიზნით შექმნილია ცალკე სტრუქტურული ერთეული ქვეყნების უმრავლესობა მეორე მოდელით სარგებლობს.

საქართველოში კომერციული ბანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვ ოპროცედურების, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის და რთული პირობებისა დ აშეზღუდვების, აგრეთვე ეროვნულ იბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და მათ მიერ საკრედიტო რისკის მართვისას მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი აწესებს ბანკების მიერ ერთიან რამდენიმე პირისათვის, ან ურთიერთდაკავშირებული პირებისათვის დიდი ოდენობით სესხების გაცემის ან სხვა საკრედიტო მომსახურების გაწევის გონივრულ ზღვრებს, ადგენს იმ ლიმიტებსა და შეზღუდვებს, რომელთა დაცვით ბანკებმა თავიდან უნდა აიცილონ კრედიტების კონცენტრაცია და მის საფუძველზე წარმოშობილი მსხვილი რისკები. დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისათვის.

ეკონომისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა უნდა დავიდეს მინიმუმადე. მეორენი პირიქით, სახელმწიფოს ქმედით მონაწილეობას ემხრობიან ეკონომიკის რეგულირებაში. საუკეთესო გამოსავალი იქნება სახელმწიფო და საბაზრო ღონისძიებათა გონივრული შერწყმა ეკონომიკისა და საბანკო სისტემის რეგულირებისათვის.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიური ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს

გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. საინვესტიციო რესურსის პრობლემას წარმოადგენს არამარტო მისი სიმცირე, არამედ გრძელვადიანი სასესხო რესურსების ნაკლებობა. აღნიშნული ტიპის ფინანსური რესურსები მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. მოკლევადიანი საფინანსო რესურსი ზრდის სესხის ტვირთის სიმძიმეს და ბიზნესი სთვის დამატებითი რისკების შემცველია.

საბანკო სფეროში საჭიროა დაინერგოს დეპოზიტის დაზღვევის გამჭვირვალე და ნათელი სისტემა. ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდისთვის, შიდა დანაზოგების სტიმულირებასთან ერთად, საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. უცხოური კაპიტალის შემოდინება, თავის მხრივ გააიაფებს საკრედიტო რესურსს და გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში. ბაზარზე ეროვნული ვალუტის რესურსის ნაკლებობა აიძულებს მეწარმეებს აიღონ სესხი უცხოური ვალუტით და დაექვემდებარონ სავალუტო რისკს. დოლარი ზებული სესხები განსაკუთრებით ძვირია მცირე და საშუალობი ზნესისთვის, რომელსაც არ გააჩნია სავალუტო რისკის მართვის საშუალებები. შესაბამისად, სახელმწიფო, საბაზრო ინსტრუმენტებით წაახალისებს ლარიზაციას, რათა გაიზარდოს ლარში გაცემული გრძელვადიანი სესხების და ლარში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა. ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებს მცირე და საშუალო ბიზნესის რისკებს და გაზრდის მათ ხელმისაწვდომობას ფინანსებზე.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში გაიზრდება საკრედიტო რესურსის მოცულობა და შეიქმნება ფინანსებზე ხელმისაწვდომობისათვის გრძელვადიანი და სტაბილური ბაზა. ეს, თავისმხრივ, გააიაფებს საინვესტიციო რესურსს და გაზრდის ინვესტიციების მოცულობას ეკონომიკაში, რაც პირდაპირ აისახება

მთლიანი შიდა პროდუქტის და ზოგადად ქვეყნისკეთილდღეობის ზრდაზე.

საქართველოში ფინანსური შუამავლებიდან შედარებით განვითარებული მხოლოდ საბანკო სექტორია, რომელიც ბაზარს აწვდის შედარებით დაბალრისკიან კაპიტალს. ეკონომიკის სექტორული დივერსიფიცირებისთვის დაკონკურენტული დარგების აღმოსაჩენად აუცილებელია, არასაბანკო საფინანსო შუამავლობის განვითარება. ფინანსურმა შუამავლობამ ხელი უნდა შეუწყოს გრძელვადიანი კაპიტალის მიწოდებას ეკონომიკისთვის. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო, ასევე, დამწყები ბიზნესისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განუვითარებელი კაპიტალის ბაზრები. საფონდო ბაზრის განუვითარებლობა განპირობებულია მისი ორი ძირითადიე ლემენტის - კომპანიათა აქციების და კორპორატიული ობლიგაციების სიმცირით. ეს პრობლემა გამომდინარეობს როგორ ემიტენტების, ისე დანაზოგების მფლობელთა მხრიდან აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდების არამიმზიდველობით.

ერთისმხრივ, კომპანიები არ იღებენ გადაწყვეტილებას, განათავსონ აქციები ან ობლიგაციები საფონდო ბაზარზე და ფინანსური სახსრებისთვის ძირითადად მიმართავენ კომერციულ ბანკებს. კომპანიათა ამგვარი ქცევის მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებები: ა) საფონდო ბაზარზე შესვლა მოითხოვს გამჭვირვალობის სტანდარტებთან მისადაგებას, რაც ხშირ შემთხვევაში კომპანიების მხრიდან უკავშირდება როგორც ფინანსურ, ისე დროით დანახარჯებს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ისტორიულად არ ახორციელებდნენ აღრიცხვიანობას საფონდო ბაზრების მიერ მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად; ბ) გარიგების ღირებულება საფონდო ბაზარზე მაღალია, რაც მას საბანკო კრედიტთან შედარებით ნაკლებ მიმზიდველს ხდის. საწარმოთა გამოცდილების სიმცირე და მათი საფონდო ბირჟის საქმიანობის მიმართ

გაუთვიცნობიერებულობა ცუდ სასტარტო პირობებში აყენებს საქართველოს საფონდო ბაზარს. მეორესმხრივ, დანაზოგების მფლობელები არ იღებენ გადაწყვეტილებას თავიანთი დანაზოგები დააბანდონ კორპორაციულ აქციებსა და ობლიგაციებში.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოზიდვის და ვენჩერულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის მიხედვით. ასევე, ვენჩერული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსში (2013) საქართველო 118 ქვეყნიდან 72-ე ადგილზეა. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არასაბანკო საფინანსო შუამავლობის გაუმჯობესებაზე, რაც ხელს შეუწყობს არსებული დანაზოგების ეკონომიკის რეალურ სექტორში მიმართვას. არასაბანკო საფინანსო შუამავლობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საფონდო ბაზრების განვითარება, არასაბანკო ინსტიტუციონალური ინვესტორების წახალისება, ვენჩურული ტიპის ინსტიტუტის შექმნა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ასევე სოფლის მეურნეობის სექტორის კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ზრდა შესაბამისი ინოვაციური ფინანსური პროდუქტების შემოღება-დანერგვისწახალისებით.

ფასიანი ქაღალდების ბაზრისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სავალო ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზრის არსებობა და მათი დივერსიფიცირებულება ვადიანობის მოიხედვით. დღეისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დომინირებს მოკლევადიანი ინსტრუმენტები, რაც ართულებს სახელმწიფო ფასიანიქაღალდების ბენჩმარკად გამოყენებას, რაც მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის კორპორაციული ობლიგაციების ბაზარს. აღნიშნულიმი მართულებით, ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას, სახელმწიფომ აქცენტი უნდა გააკეთოს უფრო გრძელვადიან ინსტრუმენტებზე. საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება - ფინანსებზე ხელმისაწვდობომის ზრდის მიზნით, ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის, მათშორის,

საფონდო ბირჟის განვითარებას კომპანიებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნით. საფონდო ბაზრების განვითარება ითვალისწინებს არსებული ფულადი, სავალუტო და სახელმწიფო სავალო ვალდებულებების უკვე განვითარებულ ბაზრებზე უპირველეს ყოვლისა კორპორაციული ობლიგაციების ბაზრების ინფრასტრუქტურის დაშენებას. ეს კი, თავის მხრივ, შექმნის ეფექტურ საფუძველს სააქციო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს საფონდო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც დაიცავს ბაზარს სპეკულაციური და ინსაიდერული გარიგებებისაგან.

საფინანსო შუამავლობის გაუმჯობესების მხრივ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ისეთმა ფინანსურმა დაწესებულებებმა, როგორიცაა ფინანსური ლიზინგის და სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და სხვა, როგორც ეს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია მიღებული. დღეისათვის ქვეყანაში არსებობს, როგორც სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ამ დაწესებულებებს სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი.

ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიათა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა. დღეისათვის, საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში ძირითადად თავმოყრილია მხოლოდ საკრედიტო ინფორმაცია. ყოვლის მომცველ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ზრდის ინსტიტუციონალური ინვესტორების განვითარების შესაძლებლობებს. დამწყები და მაღალი რისკის მქონე ბიზნესის დაფინანსებისთვის აუცილებელია ვენჩურული ტიპის დაფინანსების განვითარება. ვენჩურული კაპიტალი მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის. ასეთი ტიპის დაფინანსება ხშირად დაკავშირებულია შედარებით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთთან. შესაბამისად, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კერძო, მოგებაზე ორიენტირებული ვენჩურული ფონდების განვითარებას და შესაბამის ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფას. პროექტების თანადამფინანსებელი ფინანსური

სექტორის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს. აღნიშნული ორგანიზაციები ქვეყანაში მრავლად არის წარმოდგენილი, რომლებიც სოლიდურ კაპიტალს ფლობენ. თუმცა, მათი საქმიანობა, ძირითადად ორიენტირებულია სამომხმარებლო სესხების გაცემაზე, და არა მრეწველობის დაფინანსებაზე. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საჭიროა შეიქნმას სტიმულები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათის, რათა გაიზარდოს მცირე ბიზნეს-პროექტების და ახალი ბიზნეს წამოწყებების დაფინანსება მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მხრიდან.

ნებისმიერი სახით და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით განხორციელებული ბიზნესი მეტნაკლებად არის დაკავშირებული მოსალოდნელი ზარალის ალბათობასთან, ანუ რისკთან. ამ მხრივ ყველაზე რთულია საწარმოო ბიზნესი. ამიტომაცაა, რომეკონომიკურად აქტიური ადამიანები, რომელთაც სურთ, წამოწყებული საქმიდან სწრაფად მიიღონ შემოსავალი, ინვესტიციებს უპირატესად სავაჭრო, სადაზღვევო და საბანკო საფინანსო ბიზნესში აბანდებენ. დღევანდელ საქართველოში ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა სწორედ შეუმჩნეველი საწარმოო და აშკარად გამოკვეთილი საბანკო-სავაჭრო ბიზნეს აქტიურობა, ე. ი. ჩვენ ქვეყანაში ადგილი აქვს არა ფულით საქმის კეთებას, ანუ საქონელ-მწარმოებელთა სიმრავლეს, არამედ ფულით ფულის კეთებას.

მსოფლიო ბანკის „DOING BUSINESS“ ანგარიშის მიხედვით, ბოლო წლებში,საქართველომ ბიზნეს-გარემოს რადიკალური რეფორმები განახორციელა. ამ რეფორმების წარმატების შედეგად, ქვეყანამ ბიზნესის კეთების შესახებ 2006 წლის 112-ე ადგილიდან 2014წელს მერვე ადგილზე გადაინაცვლა. ამან ხელი შეუწყო პირდაპირ უცხოურ ინვესტირებას და ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომმა, რასაც გლობალური ეკონომიკური კრიზისიც დაერთო, პირდაპირი უცხოური ინვესტირების, ექსპორტის, ანაზღაურებისა და საბანკო სესხების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. საქსტატის მონაცემებით, 2012

წლის მშპ-ს რეალურმა ზრდამ 6,2% შეადგინა, ხოლო 2013 წლის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ს რეალური ზრდა 3,2%-ს გაუტოლდა ამავე წლის მონაცემებით, საქართველოში 914,4 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირიუცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 6,0%-ით აღემატება 2012 წლის წინასწარ და 0,3%-ით ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი (22%), ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ენერგეტიკაზე მოდის (198 მლნ. აშშ დოლარი). შემდეგ მოდის: საფინანსო სექტორი - 19% (170 მლნ. აშშ დოლარი) და ტრანსპორტი დაკავშირგაბმულობა - 15% (138 მლნ. აშშ დოლარი).

ცხრილი 7.

გაცემული სესხები ეკონომიკის სექტორების მიხედვით

წელი	სულ	Iკვარტალი	IIკვარტალი	IIIკვარტალი	IVკვარტალი
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114	177.2	173.2	194
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199	233.7
2013	914.4	226.2	232.4	238.7	217.1
2014	1273	265	151	508	349
2015	9 თვე-1,019	175	355		

მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო სიმძლავრეები, შრომის დაბალი ნაყოფიერება, წარმოების სხვა ფაქტორების განვითარების არსებული დონე და საჯარო ინტერვენციისა თუ ხელშეწყობის უკიდურესი შეზღუდულობა, დიდად აბრკოლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების განვითარებას. საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებათა შემუშავების

საფუძველია ამ საქმიანობის მიზნების სისტემა, რის პროცესშიც თანმიმდევრულად წყდება შემდეგი ამოცანები:

- ☐ პერსპექტიული პერიოდის ცალკეულ ეტაპზე ინვესტირების ფორმების თანაფარდობისგანსაზღვრა;
- ☐ საინვესტიციო საქმიანობის დარგობრივი მიმართულების განსაზღვრა;
- ☐ საინვესტიციო საქმიანობის რეგიონალური მიმართულების განსაზღვრა.

პერსპექტიული პერიოდის ცალკეულ ეტაპზე ინვესტირების ფორმების თანაფარდობის განსაზღვრა, პირველ რიგში, უკავშირდება ობიექტური გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებას. საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავების აქტუალობის განმსაზღვრელი არსებითი პირობაა საწარმოს ოპერაციული საქმიანობის მიზნების კარდინალური ცვლილებები ახალ კომერციულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამგვარი მიზნების რეალიზება მოითხოვს საწარმოო ასორტიმენტის შეცვლას, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვას, პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრების ათვისებას და ა.შ. ამგვარ პირობებში საწარმოს საინვესტიციო აქტივობის არსებითად მომატებასა და მისი საინვესტიციო საქმიანობის ფორმების დივერსიფიკაციას ისეთი პროგნოზირებ ადა ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომელიც მკაფიოდ ფორმირებული საინვესტიციო სტრატეგიით იქნება უზრუნველყოფილი.

როდესაც ვსაუბრობთ კომერციული ბანკების დივერსიფიკაციაზე, ვგულისმობთ ინვესტორის ქცევას, რომელიც რისკის შემცირების მიზნით ახდენს ინვესტიციების ოპერირებას სხვადასხვა კომპანიებში და სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის მრეწველობაში. სხვადასხვა სფეროში ან ინდუსტრიაში დივერსიფიცირებით შესაძლებელია ფასების მერყეობის შემცირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ სექტორებს შორის არსებული კავშირი დაბალი კორელაციით ხასიათდება.

2.7 პრობლემური ფაქტორები მრეწველობის საბანკო დაკრედიტებაში

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური რესურსების დღევანდელ ვითარებაში იგი არასაკმარისია რეალური სექტორის ეფექტურად მხარდასაჭერად, კერძოდ მრეწველობის დარგისა, რომელიც მაღალკონცენტრირებულობით გამოირჩევა. სტატიაში წარმოდგენილია ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც წარმოშობს საბანკო სექტორის და ეკონომიკის რეალურ სექტორს შორის ურთიერთმოქმედება. გამოვლენილია საბანკო ინვესტიციების აქტივიზაციის ხელის შემშლელი ფაქტორები, ასევე საბანკო დაკრედიტების პროცესებზე მომქმედი დარგობრივი სპეციფიკური თავისებურებები.

2008 წლიდან ქართული საბანკო სისტემა სერიოზული კრიზისის წინაშე იმყოფება. თუმცა, უნდა ვაღიაროთ რომ ასევევა საბანკო ზედამხედველობის სისტემაც. ეროვნული ბანკი ძირითადად ზედამხედველობას უწევს უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ ბანკებს, სადაც თავმოყრილია მთლიანი აქტივების 89,1%, მთლიანი სესხების 89,2%. საქართველოს საბანკო სექტორი 20 კომერციული ბანკით არის წარმოდგენილი. მათ შორის 15 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, 3 -უცხოური ბანკის ფილიალით [2]. ამას ემატება ასევე მოსახლეობის და ეკონომიკური აგენტების ნდობის ჯერ კიდევ დაბალი დონე საბანკო სისტემის მიმართ, რისი მიზეზიც არის ის,რომ უმრავლესი კომერციული ბანკის აქტივების უმეტეს ნაწილს მათ მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონევა წარმოადგენს [6]. ფინანსური მდგრადობა შეინარჩუნეს იმ ბანკებმა, რომელთა წარმოებაში ინვესტიციების წილი აღემატება სპეკულაციურ ოპერაციებში დაბანდებებს. ძირითადად ასეთი ბანკები არიან მცირე და საშუალო ბანკები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მუდმივად კლიენტების მოზიდვაზე და ნელ, ევოლუციურ,

ხარისხობრივ ზრდაზე. ამასთან ერთად, მცირე და საშუალო ბანკების წილი საბანკო სისტემის მთლიან აქტივებში არის მცირე, რის გამოც მათ ობიექტურად არ შეუძლიათ განახორციელონ მასშტაბური საინვესტიციო საქმიანობა.

კრიზისული მოვლენების შედეგად ფინანსური დაწესებულებების უმრავლესობას შეექმნა რესურსული ბაზის ფინანსირების მწვავე პრობლემა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა:

- საწარმოთა და ორგანიზაციათა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სახსრების, ვადიანი დეპოზიტების სტაგნაცია;
- ორგანიზებული დანაზოგების ზრდის შემცირება და მოსახლეობის ანაბრების გადინება;
- უცხოური საკრედიტო ინსტიტუტებიდან და საფინანსო კომპანიებიდან კრედიტების მოზიდვის შესაძლებლობების დაკარგვა;
- ბანკთაშორისი დაკრედიტების შეჩერება;
- საბანკო კაპიტალის დონის შემცირება.

ამის ფონზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო საბანკო კრიზისის ძალზე მწვავე ფორმების დაძლევა. მაკროეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის ძალისხმევით, რომელიც მიმართული იყო საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციაზე შესაძლებელი გახდა საბანკო სფეროში მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო, რაც გამოიხატა არამდგრადი მდგომარეობიდან შედარებით სტაბილურ მდგომარეობაში გადასვლით.

მაგრამ, საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური რესურსების დღევანდელ ვითარებაში იგი არასაკმარისია რეალური სექტორის ეფექტურად მხარდასაჭერად, ეკონომიკის ყველა დარგის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კერძოდ მრეწველობის დარგისა, რომელიც მაღალკონცენტრირებულობით გამოირჩევა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით კომერციული ბანკების მიერ 2014 წელს გაცემული კრედიტების 40% სამომხმარებლო სესხებზე მოდის; დანარჩენი 60% - ისეთ სექტორებზე გაიცა, რომლებიც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას

მცირედაც არ უწყობენ ხელს. კრედიტების თითქმის ნახევარი (48%) ვაჭრობის სექტორზე მოდიოდა [3]. ამასთან ერთად,პრობლემამდგომარეობს იმაში, რომ შექმნილ ვითარებაში ბანკები არ ახორციელებენ მათთვის მისაწვდომ საინვესტიციო პოტენციალის ეფექტურად გადანაწილებასაც კი.

საქართველოს ეკონომიკაში ბანკის უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სებ-ის სტატისტიკით აქტივების ჯამური წილი მშპ-ში გაცილებით მცირეა (44,5%) განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელთან შედარებით.

ეკონომიკის რეალური და ფინანსური სექტორების განვითარებას შორის დისპროპორციების ზრდის შედეგად ჩამოყალიბდა რეალურ სფეროში საბანკო კაპიტალის არა ჩართვის, არამედ პირიქით,იქიდან გამოდევნის წინაპირობები. ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუარესების პირობებში „ფული გარიგებისათვის“ ბაზარზე ბანკების დამოკიდებულებამ გამოიწვია კრიზისული პოტენციალის დაგროვება.ამასთან,ეკონომიკის რეალურ და საბანკო სექტორებში კრიზისულ პროცესებს შორის დამყარდა ურთიერთკავშირი. არასაფინანსო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება და შესაბამისად მათ საბანკო ანგარიშებზე სახსრების შეკვეცამ გამოიწვია კომერციული ბანკების რესურსული ბაზის და მათი წარმოებაში დაბანდებების შემცირება. საბანკო ინვესტიციებისა და კრედიტების მოცულობის შემცირების დროს ხდებოდა საწარმოთა გადახდისუნარიანობის შემდგომი დაცემა, რამაც გამოიწვია საინვესტიციო და საკრედიტო რისკების ზრდა. თავის მხრივ, რისკების ზრდა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც ბანკის საინვესტიციო საქმიანობის დესტიმულირებას ახდენდა, რამდენადაც რისკის ზრდის დროს ძლიერდებოდა წინააღმდეგობა ინვესტირების აქტივიზაციასა და ბანკის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების ამოცანას შორის, ამასთანავე იზრდებოდა გარღვევა საპროცენტო

განაკვეთებსა (რისკზე პრემიის გაზრდის დროს, რომელიც შედიოდა საპროცენტო განაკვეთში) და წარმოების რენტაბელობას შორის.

ბანკების წარმოების სფეროსთან კავშირის ხასიათის კარდინალური ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ეკონომიკის გაჯანსარების, არამედ თავად საბანკო სექტორის გაძლიერების მნიშვნელოვანი პირობაა. ამიტომ საბანკო სისტემის საქმიანობის გარდაქმნის სტრატეგიული მიმართულება უნდა იყოს ბანკებისა და ეკონომიკის რეალური სექტორის ურთიერთმოქმედება.

ახალ სიტუაციაში ფინანსური სპეკულაციების საშუალებით ფულის სწრაფად გამომუშავების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს აიძულებენ ბანკებს ეძებონ თავიანთი სახსრების ეფექტურად განთავსების შესაძლებლობები. ამავე დროს, საზოგადოებრივი წარმოების საშუალოდარგობრივი რენტაბელობის ზრდის დროს საბანკო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება ხელს უწყობს ეკონომიკის რეალური სექტორისათვის ფულის სესხებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლებას.

ბანკების საკრედიტო დაბანდებების ძირითადი ნაწილი მოდის მოკლევადიან კრედიტებზე. საკრედიტო დაბანდებების მთლიან მოცულობაში გრძელვადიანი კრედიტების წილი ძალზე დაბალი რჩება.

წარმოებაში საბანკო ინვესტირების აქტივიზაციის ხელის შემშლელი ძირითადი ფაქტორებია:

- ეკონომიკის რეალურ სექტორში დაბანდებების რისკის მაღალი დონე;
- ბანკების რესურსული ბაზის მოკლევადიანი ხასიათი;
- ეფექტური საინვესტიციო პროექტების ბაზარის არაფორმირებულობა.

რიგი ეკონომიკური და სამართლებრივი თავისებურებების გავლენით საქართველოს პირობებში იზრდება ტრადიციული საკრედიტო რისკები. მათ შორის, ჯერ-ერთი, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მიუხედავად გარკვეული

გაუმჯობესებისა, ხასიათდება რიგი საწარმოების ფინანსური არამდგრადობით, არაკვალიფიციური მენეჯმენტით და სხვ. მეორე, ბანკის, როგორც კრედიტორის ინტერესების იურიდიული დაცვის არასრულყოფილება, რომლისთვისაც დამახასიათებელია გირაოს გაფორმება და მისი უფლება კლიენტის ქონებაზე. ასეთ ვითარებაში გარკვეული რიცხვის მსესხებლებისათვის საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია წარმოებს.

რისკების შემდეგი ფაქტორია - საქართველოს ბანკების მოკლევადიანი პასივების შეუსაბამობა ინვესტიციების მოთხოვნებთან, რის შედეგადაც საინვესტიციო დაკრედიტება ბანკის ლიკვიდობის საფრთხის მატარებელია. ბანკის მიერ მოზიდული და განთავსებული სახსრების შესაბამისობის გაანგარიშება ადასტურებს იმას, რომ რესურსული უზრუნველყოფის თვალსაზრისით ძალზე გაწონასწორებულია მოკლევადიანი დაბანდებები.

რაკი მოკლევადიანი დაკრედიტებით ამა თუ იმ დონით დასაქმებულია მრავალი კომერციული ბანკი, ამიტომ საინვესტიციო კრედიტების გაცემა და საინვესტიციო პროექტების დაფინანსება გარკვეული კატეგორიის ბანკების საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, რომელთაც თავიანთი სპეციფიკის გამო შეუძლიათ შეამცირონ საინვესტიციო რისკები. ბანკების ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნება:

- საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებში შემავალი ბანკები. მათ საშუალება ეძლევათ აწარმოონ გრძელვადიანი დაბანდებები, დაადგინონ დაბალი საპროცენტო განაკვეთები (რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში ბანკის ინტერესებს გადაფარავს მთელი გაერთიანების ინტერესები), აკონტროლონ კრედიტის დაბრუნების რისკები;
- კორპორატიული ბანკები, ჩამოყალიბებულია დარგობრივ საფუძველზე და ემსახურება შესაბამის წარმოებას;
- საერთაშორისო ინსტიტუტების პროექტებში მონაწილე ბანკები (მსოფლიო ბანკი), რომელთა საპროცენტო პოლიტიკა რეგლამენტირდება შესაბამისი შეთანხმებებით;

- მსხვილი ბანკები, ქმნის საიმედო კლიენტურის ბაზას, ახორციელებს საწარმოო ინვესტიციებს აქციის პაკეტის მიღების პირობით, რომლითაც უზრუნველყოფს გაცემული სახსრების ეფექტურად ხარჯვის კონტროლს.

მოცემულ შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკაში პროექტების ფინანსირების ქვეშ იგულისხმება საინვესტიციო პროექტების ფინანსირება, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული უნარით უზრუნველყოს დაბანდებების დაბრუნება, რომელსაც საფუძვლად უდევს თავად პროექტის ინვესტიციური ხასიათი, ის შემოსავლები, რომელსაც მიიღებს მომავალში შექმნილი ან რესტრუქტურიზებული საწარმო. საპროექტო დაფინანსების სპეციფიკური მექანიზმი მოიცავს საინვესტიციო პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის ანალიზს და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. ხოლო დაბანდებული სახსრების დაბრუნების ბაზა არის პროექტის ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ დარჩენილი მოგება. ბანკში საპროექტო ციკლის ეტაპებია:

- პროექტის წინასწარი შერჩევა;
- საპროექტო დაბანდებების შეფასება;
- მოლაპარაკებების წარმართვა;
- პროექტის მიღება დასაფინანსებლად;
- პროექტის რეალიზაციაზე კონტროლი;
- რეტროსპექტული ანალიზი.

ჩვეულებრივ ბანკები არ ამუშავებენ პროექტებს. მათ შეუძლიათ დახმარების გაწევა დოკუმენტთა პაკეტის მომზადებაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ბანკები მონაწილეობენ საპროექტო კომპანიის კაპიტალში ან ახდენენ ფინანსურ კონსულტირებას კონსალტინგური კომპანიის ფუნქციების შესრულების დროს, მათ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ პროექტის შემუშავებაშიც კი.

ამავე დროს, საქართველოს ეკონომიკის რეალურ პირობებში, რომელშიც უკანასკნელ პერიოდში ფასიანი ქაღალდების ბაზარი

გამოირჩევა სპეკულაციური დაბანდებების დომინირებით, ჯერ კიდევ დიდხანს შენარჩუნდება საინვესტიციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საკრედიტო ფორმების მნიშვნელობა. ამიტომ ინვესტიციურ პროცესებში ბანკების როლის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნსა იყოს მათი საქმიანობის ორადი ხასიათი.

ზოგადად, არ არის ჩამოყალიბებული ინვესტიციური პროექტების ბაზარი. მოცემული პროექტები ხასიათდებიან არასაკმარისი დამუშავებით. ბანკები იძულებულნი არიან დამოუკიდებლად განახორციელონ პროექტების ფინანსირებასთან თანმხლები სამუშაოთა მთელი კომპლექსი.

საბანკო და რეალური სექტორების ურთიერთმოქმედების მნიშვნელოვანი მიმართულებაა კომერციული ბანკების მიერ მრეწველობის დაკრედიტება. ასეთი ბანკის საკრედიტო პოლიტიკა არის საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლებისა და საკრედიტო რისკების შემცირების ღონისძიებების მთელი კომპლექსი.

საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების დროს ბანკმა უნდა გაითვალისწინოს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები:

- მაკროეკონომიკური: ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მთავრობის საფინანსო პოლიტიკა;
- დარგობრივი და რეგიონალური: რეგიონის და დარგის ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც ემსახურება ბანკი, კლიენტების შემადგენლობა, მათი საკრედიტო მოთხოვნები; კონკურენტი ბანკის არსებობა;
- შიდასაბანკო: ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე, პასივების სტრუქტურა, პერსონალის უნარი და გამოცდილება.

მაკროეკონომიკური ფაქტორები ობიექტური ხასიათისაა, ამიტომ ბანკმა მას მაქსიმალურად უნდა მიუსადაგოს თავისი საკრედიტო პოლიტიკა. რასაკვირველია, ქვეყნის და ეკონომიკის რეალური სექტორის საერთო ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელ საფინანსო-საბანკო სისტემაზე. უფრო მეტიც, იგი

განსაზღვრავს სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის მიმართულებებს.

კრედიტის გაცემის თვალსაზრისით ბანკებისათვის ძალზე მიმზიდველია სტაბილური დარგები, რომელთაც კაპიტალის სწრაფი ბრუნვა აქვთ, რაც დღეს ძალიან ცოტაა. აქედან გამომდინარეობს მაღალი საკრედიტო რისკებიც. სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს საქართველოს საწარმოებს მოთხოვნა სახსრების სესხებაზე წარმოექმნებათ არა წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით, არამედ გადაუხდელობის შედეგად ფინანსური სიძნელეების მიზეზით. დღეისათვის ფართოდ გავრცელდა დარგების იძულებითი ურთიერთდაფინანსება. წარმოების დარგები დაიყვნენ წმინდა კრედიტორებად და წმინდა მსესხებლებად. პირველს მიეკუთვნებიან: მშენებლობა, სათბობ-ენერგეტიკული ინდუსტრია, ტრანსპორტი; მეორეს - ყველა დანარჩენი (მანქანათმშენებლობა, სოფლისმეურნეობა, ქიმიური, მეტალურგიული და სხვა დარგები).

შექმნილ ვითარებას სულ ცოტა სამი მიზეზი აქვს:

1. მეორე სექტორის დაბალი ეკონომიკური ეფექტურობა (წმინდა მსესხებლები), რაც დაკავშირებულია პროდუქციაზე მოთხოვნის დაცემის შემდეგ სიმძლავრეების სიჭარბესთან;
2. პირველი სექტორის საწარმოები (წმინდა კრედიტორები), უპირატესად ბუნებრივი მონოპოლიები, კარნახობენ მაღალ ფასებს;
3. სხვადასხვა დარგების პროდუქციაზე ფასების შესაბამისობის რადიკალური ცვლილება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვითარება ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკის გარდამავალ პერიოდთან, როცა საბოლოოდ მოქმედება დაიწყო საბაზრო მექანიზმმა. ძირეულად შეიცვალა შეფარდებითი ფასები (ფასობრივი შესაბამისობა სხვადასხვა სახის საქონელსა და მომსახურებას შორის), რაც არსებითად, გარდუვალია და სასარგებლოა მაკროეკონომიკურ დონეზე ოპტიმალური პროპორციების დასადგენად. მაგრამ, ყოველთვის არსებობს დარგობრივი სპეციფიკური

თავისებურებები, რომლებიც გავლენას ახდენენ საბანკო დაკრედიტების პროცესზე, კერძოდ:

- დარგის საწარმოთა საწარმოო-კომერციული ციკლის თავისებურებები;
- თვითღირებულების (ხარჯების) დარგობრივი სტრუქტურა.

რენტაბელური საწარმოები კაპიტალის სწრაფი ბრუნვით, წარმოების მოკლე პერიოდით, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების თანაბარზომიერი შემოსულობებით, ბანკების თვალსაზრისით დაკრედიტებისათვის ძალზე მიმზიდველები არიან. ასეთი თვისებები, უპირველეს ყოვლისა, გააჩნიათ საბითუმო და საცალო ვაჭრობის საწარმოებს ან სამრეწველო ორგანიზაციებს, რომლებიც უშვებენ სამომხმარებლო (განსაკუთრებით კვების) პროდუქტებს. ბანკებისათვის მიმზიდველია ასევე ექსპორტზე ორიენტირებული სანედლეულო დარგები, რომელსაც ხელს უწყობს საგარეო ეკონომიკური კონიუნქტურა და მათ პროდუქციაზე მაღალი მსოფლიო ფასები.

თვითღირებულების სტრუქტურაში დარგობრივი განსხვავება შეიძლება მდგომარეობდეს, დაკრედიტების დროს ბანკების მაღალ რისკებში, განსაკუთრებით ქვეყანაში საერთო ეკონომიკური არასტაბილურობის დროს. საქმე იმაშია, რომ საბანკო კრედიტი საწარმოთა საქმიანობაზე ორად გავლენას ახდენს. ერთი მხრივ, იგი ზრდის საფინანსო ბერკეტის ძალას: ნასესხი სახსრები აიძულებს საწარმოებს იმუშაონ თავიანთ ფინანსურ შედეგზე, ამავე დროს აამაღლოს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, რაც დადებითად ფასდება. მეორე მხრივ, საბანკო კრედიტი ერთდროულად ზრდის საწარმოს ოპერატიული (სამეურნეო) ბერკეტის ძალას, რომელიც შემოსული ამონაგების ჯამის ცვლილების პირობებში განისაზღვრება მოგების მაჩვენებლის დინამიკით, რაც ფასდება უარყოფითად. კომპანიებს, რომლებსაც წარმოების დანახარჯების შემადგენლობაში აქვთ მუდმივი ხარჯების მაღალი წილი და არ არიან დაკავშირებულნი

წარმოების მოცულობის ცვლილებაზე (ამორტიზაცია, იჯარა, ხელფასის მუდმივი ნაწილი) რეალიზაციის მოცულობის დაცემის შემთხვევაში უფრო სწრაფად კარგავენ მოგებას იმ საწარმოებთან შედარებით, რომელთა მუდმივი ხარჯების წილი მცირეა. საბანკო კრედიტის პროცენტების ზომა, რომელიც ტოლია რეფინანსირების განაკვეთს პლიუს 3%, მიეკუთვნება ორგანიზაციის ხარჯებს და ზრდის მათ მუდმივ ნაწილს. მოცემული ზღვარის ზემოთ პროცენტები მიეკუთვნება ფინანსურ შედეგს და ამცირებს კომპანიის მოგებას. ამგვარად, საწარმოებს, რომელთა თვითღირებულებაში მუდმივი ხარჯების მაღალი წილი გააჩნიათ, დიდი ალბათობით მიდრეკილნი არიან საბაზრო კონიუნქტურის არასასურველი ცვლილებებისაკენ. ბანკებმა დაკრედიტების დროს ეს უნდა გაითვალისწინონ.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული მეცნიერული კვლევა იძლევა საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები ;

1. ეკონომიკური კრიზისების მეცნიერული შესწავლა მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმატებით ხორციელდება. საქართველოში კი მიუხედავად ეკონომიკური კრიზისის ხანგრძლივად განვითარების პერიოდისა, მისი შესწავლა მეცნიერების მიერ არადამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის მრეწველობის ეკონომიკურ კრიზისზე. ამასთან საქართველოში ეკონომიკური კრიზისი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, რომელთაგან უპირველესია დენაციონალიზაცია და ეროვნული დამოუკიდებლობით წარმოქმნილი ობიექტური სირთულეები. ამიტომ კრიზისის დაძლევა როგორც მეცნიერ ეკონომისთა, ასევე პრაქტიკოს - ეკონომისტთა დიდ ძალისმევას მოითხოვს;

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიულად უფრო წინ იდგა, ვიდრე მეზობელი ქვეყნები. ბოლო საუკუნეებში განვითარებულმა მოვლენებმა კი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპები შედარებით შეამცირა. მიუხედავად ამისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკონომიკა შედარებით სწრაფად ვითარდებოდა და აქ ფეხი მოიკიდა კაპიტალისტურმა წარმოებამ. ამ პერიოდში არსებული ეკონომიკური კრიზისები თავისი ხასიათით და დროში მიმდინარეობით მსგავსი იყო რუსეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში განვითარებული კრიზისებისა, თუმცა ეკონომიკური აღმავლობის საერთო მიმართულება ეჭვგარეშეა;

3. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის საერთო დახასიათებისათვის გამოიყენება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, უმუშევრობის დონე და ინფლაციის სიდიდე. ეკონომიკის

დაბალანსებული განვითარებისათვის აუცილებელია წარმოებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით დინამიკაში არსებობდეს ზრდის ტემპები. ეს გამოიხატება, როგორც საერთო ეროვნული პროდუქტის, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით. ამავე დროს უმუშევრობის დონე არუნდა აღემატებოდეს მის ე.წ. ნორმალურ მნიშვნელობას, რომელიც საქართველოსათვის დასავლური სტანდარტებით გათვლის შემთხვევაში არ უნდა იყოს 10-12 პროცენტს ზევით, ხოლო ინფლაციის დონემ არ უნდა გადააჭარბოს წლიურად ერთნიშნა რიცხვს. წინააღმდეგ შემთხვავაში ადგილი აქვს ეკონომიკური კრიზისის დადგომას;

4. საყოველთაოდ აღიარებულია კრიზისის ორი სახე - გლობალური და დარგობრივი. იშვიათია შემთხვევა, რომ გლობალურ ეკონომიკური კრიზისი ს არსებობის რომელიმე დარგი არ აღმოჩნდეს კრიზისულ მდგომარეობაში, ხოლო დარგობრივი კრიზისის ეკონომიკური პარამეტრებით შეფასებისას საკმარისია ამ დარგში შექმნილი პროდუქციის მოცულობის და დასაქმებულთა რიცხოვნების შემცირების ტემპების შეფასება. ხშირად პირიქით, ადგილი აქვს კრიზისული დარგის პროდუქციის გაიაფებას ანუ ამ დარგის პროდუქციის მიხედვით ვალუტას მსყიდველუნარიანობის ამაღლებას. თუმცა არის საპირისპირო შემტხვევებიც - ზოგჯერ დარგების კრიზისს თან სდევს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დაფების ზრდა;

5. ეკონომიკური მეცნიერების წარმოქმნა და განვითარება არსებითად ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილების მეცნიერული გზების შესწავლას ეხება, თუმცა საკუთრივ ეკონომიკური კრიზისების დაძლევის გზებისადმი მიძღვნილი ეკონომიკური შრომები არც თუ ისე ხშირია, ამიტომ ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის მიზეზების და კზირიზების დაძლევის ეკონომიკური თეორიის შემუშავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური მეცნიერების

განვითარებისათვის და ეკონომიკის დაბალანსებული, პროპორციული ზრდისათვის. ეს შეეხება როგორც ეკონომიკურ კრიზისებს საერთოდ, ასევე დარგობრივ ეკონომიკურ კრიზისებსაც;

6. საქართველოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის დადგომის პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამ დროიდან მიუხედავად ეკონომიკაში და კერძოდ მრეწველობაში განხორციელებული მასშტაბური ინვესტიციებისა, ფონდუკუგების მაჩვენებელი მცირდებოდა. ვერ შეესაბამებოდა სასურველს შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპები, ხოლო ინფლაციური პროცესების მოქმედების სიღრმე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე საერთოდ სსრკ-ში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა ფართომასშტაბიან ხელოვნურ ინფლაციას, რომელიც სხვებთან ერთად გახდა ძირითადი მიზეზი საქართველოს მრეწველობაში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის განვითარებისა;

7. შუა საუკუნეებისას საქართველოს პოლიტიკური ძლიერების წინაპირობა მისი ეკონომიკის იმ დროისათვის შესაბამისი გაძლიერება იყო. მას თან დაერთო ვაჭრობის მოცულობის გადიდება აზია-ევროპას შორის, რომლის დამაკავშირებელი საქარავნო უმოკლესი გზა საქართველზე გადიოდა და უცხოელი საბაჟო სივრცის არსებობა მთელ სამხრეთ კავკასიაში. ეკონომიკის დაცემა გარეშე მტრების მოძალებამ და საქართველოს დაქუცმაცებამ გამოიწვია. ფეოდალური ეკონომიკის კრიზისს აღრმავებდა ყმა - გლეხებისათვის სეწერილი უამრავი გადასახადები, მაშინ, როცა შია საუკუნეებში საქართველო გადასახადების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სახელმწიფო იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში. მე-19 საუკუნის შუახანებიდან საქართველოს ეკონომიკის განვითარება აღმავლობის გზას დაადგა, რასაც ხელი შეუწყო სარკინიგზო მიმოსვლამაც. 1918-1921 წწ-ში საქართველოს ეკონომიკა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში

იმყოფებოდა. ეკონომიკური აღმავლობა მე-20 საუკუნის ოციანი წლების შუახანებიდან იწყება. ამის შემდგომ საქართველოში ჩამოყალიბდა მრეწველობის დარგი მისი კლასიკური გაგებით;

8. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა შემცირდა, თუმცა რუსეთიდან ქარხნების ევაკუაციის შედეგად, მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები იზრდებოდა. ომის შემდგომ 1947 წლისათვის საქართველოს მრეწველობის მოცულობამ გადააჭარბა ომამდელი დონეს და განუხრელად ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში საქარტველოში მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპი, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებლებში მაინც პროგრესული მაჩვენებლები იქნა შენარჩყნებული. ამის შემდგომ მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის და სხვა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული რესპუბლიკის იმიჯი. ხოლო ბოლო ათწლეულში განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა საქართველო განვიტარებად სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნა;

9. საქართველოს ეკონომიკაში და მათ შორის მწერველობაში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ბართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები. აღნიშნული გამოიხატება საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, საწარმოო სიმძლავრეების პრივატიზაციასა და კერძო საკუთრების ფორმის სრულყოფაში. ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა ღრმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. არანახულად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა საქართველო და მიგრანტებად იქცნენ. ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის მიუხედავად ამ გზით მობილიზებული თანხები მინიმალურია. კატასტროფიულად ქყვეყნის ექსპორტ-იმპორტის სალდოს მაჩვენებელი და უკიდურესად დაეცა

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. მისი დაცემის ტემპი გაცილებით მაღალია, ვიდრე საერთოდ ეკონომიკის დაცემა. მნიშვნელოვანია საქართველოს საგარეო და საშინაო დავალიანებაც;

10. მრეწველობის ეკონომიკური კრიზისიდან გამოთვლისათვის აუცილებლობას წარმოადგენს იმ მაკროეკონომიკური საკითხების დაგაწყვეტა, რომელთაც არსებითი გავლენა აქვთ ინვესტორთა და აქციონერთა დაინტერესებაზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდის მიმართულებით. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საგადასახადო გარმოს გაუმჯობესება და ინვესტიციების საგადასახადო ხელშეწყობა, აუცილებელია სახელმწიფო დონეზე შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც შემაცირებენ გადასახადებს ინვესტიციების შემოტანაზე, როგორც ნივთობრივად, ასევე სუფთა ფინანსურად. ინვესტირებით მოქმედებაში შესულ ძირითად კაპიტალზეც საჭიროა რამდენიმე ხნით საგადასახადო შეღავათების გავრცელება. საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი მობმულია ავტორიტეტულ უცხოურ ვალუტებზე. როგორიცაა აშშ დოლარი და ევრო, ამიტომ ინფლაციის სიდიდე საქართველოში არუნდა გამოვიდეს ამ ვალუტათა ინფლაციის მაჩვენებლის ფარგლებიდან, ანუ წლიურად მისმა სიდიდემ 3-4 პროცენტზე მაღლა არუნდა აიწიოს. ამით გაიზრდება ლარის ნდობა და მოქმედების არეალი. შემდგომ კი შესაძლებელი გახდება ლარის კონვერტირებულობა უცხოეთის სავალუტო ბირჟებზეც. საქართველოს ბიუჯეტი წლების განმავლობაში დეფიციტურობით იგეგმება. ამასთან ერთად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილიც ასევე წლების განმავლობაში ვერ სრულდება. აუცილებელია აღნიშნული ნაკლის აღმოფხვრაც;

11. საქართველოს ანტიკრიზისული მიკროეკონომიკური ღონისძიებებიდან უპირველესია კადრების მომზადება- გადამზადების სისტემის სრულყოფა და შრომითი ბირჟების ქსელის გაფართოება. მისდამი მოსახლეობის ნდობის ამაღლება. ასევე ტანამედროვე საბაზრო ურთიერთობებთან შესაბამისობაშია მისაყვანი საწარმოო

მენეჯმენტის პროცესიც. გარკვეულ ცვლილებებს, კერძოდ კი უშუალოდ ბიზნესმენებსა და საბანკო - საკრედიტო დაწესებულებებს შორის მჭიდრო ურთიერთობების საკითხები დასახვეწია, რასაც თან მოჰყვება კაპიტალის სარგებლის პროცენტის დაწევა და მისი შესაბამისობაში მოყვანა საშუალო დასავლურ მაჩვენებლებთან. განსავითარებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, იმ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს ჯერ კიდევ მის საკუტრებაში არსებული საწარმოების და სააქციო საზოგადოებების საკონტროლო პაკეტების აქციათა ბაზარზე გამოტანით. არსადგენი და განსავითარებელია სასაქონლო ბირჟების ქსელი, რომელსაც ხელი შეიძლება შეუწყოს შესაბამისი სამართლებრივი სივრცის გაუმჯობესებამაც. ასევე გადასაწყვეტია რიგი მიკროეკონომიკური საკითხები;

12. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკურ ანტიკრიზისული ღონისძიებათა ერთიან შრილში კომპლექსურად წარმართვას. ამ კომპლექსურობასთან ერთად აუცილებელია საქართველოს მრეწველობისათვის საგადასახადო სისტემის გამარტივება და ლიბერალიზაცია. აღნიშნული არ მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებს და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გადიდებას, ხოლო დროის მცირე მონაკვეთის შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზრდება სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა და სახელმწიფო ბიუჯეტიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 16. Горфинкеля В.Я., Купрякова Е.М.; Экономикс предприятия. Москва, 1996. 158-165.
2. P. W. Singer. Corporate Warriors: The Rise of the Privatized Military Industry. 2011. 345 p.
3. Harald Löberbauer. The Privatized Military Industry from a postinternational perspective. Seminar Paper, 2007, 37 Pages.
4. Glen Segell. Military-industrial complex -- Great Britain. London : G. Segell, ©1998. 159 p.
5. Efraim Inbar, Benzion Zilberfarb. The Politics and Economics of Defence Industries. 2013. 224 p.
6. Пачкория Д.С. К вопросу о самоотрицании войны.Сб. статей.Изд. «Петрополис», Санкт-Петербург.2001.стр.255-265.
7. ტყეშელაშვილი გ., სვანიძე მ. საქართველოს სამხედრო ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ძირითადი მიმართულებები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2010. 245 გვ.
8. Пачкория Дж. С. К вопросу о самоотрицании войны. Филасофские статый. изд. "Петрополис" Санк-Петербург 2001. стр. 225.
9. Financial Tunes. #18 (253). p. 27.
10. Грешнев М. Реконструкция стран НАТО на порогеXX1 века.МЭиМО, №6,1999,стр.17-24.
11. Народное чозяиство Грузинской ССР в 1987 году. Статистический ежегодник. Тбилиси, 1988. с.14.
12. იქვე, გვ. 176.
13. ბაღიშვილი გიორგი. საერთაშორისო შრომის დანაწილების მოდელების შემუშავება. სადოქტორო დისერტაცია. სტუ. 2013 წ. 163 გვ.

14. ესიტაშვილი მზია. შრომითი რესურსების გამოყენების ტენდენციები და შრომის ბაზრის განვითარების გზები აგრარულ სფეროში კახეთის რეგიონის მაგალითზე. სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. 2011 წ. 184 გვ.
15. მერეკლიშვილი მარინა. შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. 2006 წ. 177 გვ.
16. ბაღიშვილი გიორგი. საერთაშორისო შრომის დანაწილების მოდელების შემუშავება. დისერტაცია. 2013 წ. 163 გვ.
17. Мякушкин Д.Е. СОЦИАЛЬНО – ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ КОМПЛЕКСНОЙ ОЦЕНКИ ПЕРСОНАЛА ОРГАНИЗАЦИИ. Методические рекомендации. М., 2009. 178 с.
18. Разинькова, О.П. Управление персоналом предприятия в условиях нестабильного производства. монография. Тверь: ТГТУ, 2006. 144с.
19. Агошкова Н. Е. ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ УПРАВЛЕНИЯ ПЕРСОНАЛОМ НА ПРЕДПРИЯТИЯХ АПК. Орёл. 2013. 264 с.
20. Van der Waldt, M. S. Bayat, W. Fox. The Fundamentals of Public Personnel Management. Bern. 1998. 279 p.
21. Arun Monappa, Mirza S Saiyadan. Perdonnel Management. Second edition. India. 2006. 417 p.
22. Marco Köster. Human Resource Management Versus Personnel Management. Germany. 2012. 406 p.
23. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 г. Тбилиси, 1988г. стр. 14, 44.
24. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2015. თბილისი, 2016. გვერდები: 112-114.